

დამშვიდობება „ხრუშჩოვკებთან“ A2



სტუმრად საკუთარ სამშობლოში A6



"თქვენი აფხაზეთი" A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 24 მაისი, 2006 წელი. №113 (1265) | ფასი 50 თეთრი


## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების სასამართლო აღმასრულებელთა მიერ დანიშნული საჯარო აუქციონების შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე www.justice.gov.ge შეუძლიათ.

აღმასრულებელთა მიერ დანიშნული, იპოთეკით დატვირთული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონების შესახებ ცნობები მუდმივად განახლდება.

## პოლიტიკა

### აშშ-ისრაელის სტრატეგია პალესტინაში

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება. ეს მისი პირველი ვიზიტია ვაშინგტონში მას შემდეგ, რაც მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა.

A3

## სამართალი

### „მოსამართლეთა საქმე“ ევროსაბჭოში

ევროსაბჭოს ექსპერტები ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების დისციპლინარული დევნის საქმესთან დაკავშირებით სპეციალურ მოხსენებას ამზადებენ და ამ მოხსენებით შემოდგომაზე ევროსაბჭოს წინაშე წარდგებიან.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 24/05 | 25/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 28 |
| ტყიბული | 27 | 28 |
| სოხუმი | 27 | 30 |
| დმანისი | 22 | 24 |
| გორი | 25 | 26 |
| ონი | 23 | 22 |
| ზუგდიდი | 30 | 33 |
| ახმეტა | 29 | 27 |
| გაგრა | 26 | 27 |
| სამტრედია | 29 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3135 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3970 |
| რუბლი | 0.0667 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |


# სუამი საერთაშორისო ასპარეზზე და საფოსტო მარკაზე

### კიევში ახალი ორგანიზაცია იშვა

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად „24 საათისთვის“ კიევიდან*

*23 მაისს კიევში აზერბაიჯანის, მოლდოვეთის, საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ახალი ორგანიზაცია იშვა. „სუამი - დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის“ - ასე ეწოდება ამიერიდან ტრანსფორმირებულ რეგიონულ გაერთიანებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომელიც სულ მალე აპირებს თავისი „ხმამაღალი სიტყვა თქვას“ მსოფლიოში.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სუამ-ის ოთხეული ახალი ძალით იწყებს მსვლელობას.*

# კირკიტაძის „თვითშეწირვამ“ „ჩატეხილი ხიდი“ ვერ აღადგინა

გიორგი ასანიშვილი

*საპარლამენტო უმრავლესობა გულმოდგინედ ცდილობს თავისი კონსტრუქციულობის დემონსტრირებას და ოპოზიციას, ბოიკოტის შეწყვეტის სანაცვლოდ, კომიტეტებში თავმჯდომარის მოადგილის პოსტებს სთავაზობს. როგორც სავარაუდო იყო, ეს ნაბიჯი „დიდი შერიგებისთვის“ საკმარისი არ აღმოჩნდა: სახელისუფლებო ფრაქციის მხრიდან ამ დათმობაზე წასვლა ოპოზიციას არასაკმარისად მიაჩნია და კვლავ ჯიუტად ითხოვს მემორანდუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესრულებას. ასე რომ, „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგიდან არ იხსნება.*

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე დავით კირკიტაძემ განაცხადა, რომ უმრავლესობა ეთანხმება ოპოზიციის მიერ მომზადებულ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტს, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თანამდებობაზე ოპოზიციონერი დეპუტატის არჩევას გულისხმობს. კირკიტაძემ თანაგუნდელებს პირადად მისცა მაგალითი და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, რომელიმე ოპოზიციონერი კოლეგის სასარგებლოდ, გუშინვე დატოვა.

ოპოზიციის „უფლებების გაფართოების“ სურვილს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც გამოთქვამს. იგი ოპოზიციას ე.წ „ნდობის ჯგუფში“ საკუთარი კანდიდატურის წარდგენას სთავაზობს.

სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლების გუშინდელ ინიციატივებს ოპოზიციური ფრაქციების ლიდერები უმალ გამოეხმაურნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი შეფასებები გამოთქვეს.

„ახალი მემარჯვენეების“ თავკაცის დავით გამყრელიძის თქმით, პოლიტიკური ოპონენტების გულის მოსაგებად დავით კირკიტაძის მიერ თანამდებობის დატოვება კომიკურია და ოპოზიცია რაიმე გარიგებაზე წასვლას და თანამდებობებით ვაჭრობას არ აპირებს.

**„თუ ამ პარლამენტში რაიმე თანამდებობა გაგვაჩნია, მზად ვართ, ისიც დავტოვოთ“,** - უმრავლესობის „წყალობის“ მიღების კატეგორიული წინააღმდეგია დავით გამყრელიძე.

კირკიტაძის პოლიტიკურმა „თვითშეწირვამ“ „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილიც გაალიზიანა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ბორჯომი" ახალ ბაზრებს იპყრობს

### ქართულ მინერალურ წყალზე მოთხოვნა ყოველ წელს 50 პროცენტით იზრდება

B

მარიამ ჭაჭვაძე

*ამ დღეებში "ბორჯომს" რამდენიმე ქვეყანაში პირველად დალევენ. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" - GG&MW Co.N.V. - საკუთარი პროდუქცია ერთდროულად რამდენიმე ახალ ბაზარზე გააქვს. მოხდება თუ არა რუსული ბაზრის სხვა სახელმწიფოებით ჩანაცვლება და რა პერსპექტივა არსებობს ამ ქვეყანაში "ბორჯომის" დასაბრუნებლად? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათს" კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე ესაუბრა.*



# ლუკაშენკოს „სწორი“ დასკვნები

### ორიენტირი - რუსეთი და ჩინეთი, პრობლემა - ფასები ენერგორესურსებზე

*ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო გუშინ საკუთარი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. გარდა შიდაბელარუსული სტაბილურობისა, ლუკაშენკომ ბევრი ისაუბრა „მოძმე რუსეთზე“, „სუპერ-სახელმწიფო ჩინეთზე“ და „ველურ დასავლეთზე“. რუსეთმა როგორც ჩანს, სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ბელარუსს გაზის გაძვირებით დაემუქრა. ლუკაშენკო საბოლოოდ დატკბა... დღეს „ბატკას“ მთავარი საზრუნავი რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოს ძირითადი კონტურებია.*

სოფო ბუკია

ბელარუსის პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტის წინაშე ამ ქვეყნის კონსტიტუციითაა განსაზღვრული. ლუკაშენკოს საპარლამენტო გამოსვლას ყველა ტელევიზია და რადიო პირდაპირ ეთერში გადასცემს.

ტრადიციულად, საპრეზიდენტო ანგარიში წელსაც საკმაოდ ოპტიმისტური გამოდგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბელარუსში ყველაფერი კარგადაა. თანაც იმდენად, რომ ქვეყნის წინაშე ახალი ამბიციური ამოცანა დადგა. **„უახლოეს მომავალში ბელარუსი ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების რიცხვში უნდა მოხვდეს,“** - ასეთი მიზანი დასახა ალექსანდრ ლუკაშენკომ.

„ახალი ამბიციების“ ხორცშესასხმელად ბელარუსს მოკავშირეები სჭირდება. მოკავშირე ნაცადი სჯობია, ისტორიულად შემოწმებული. ამიტომაც ლუკაშენკომ საკუთარი საპარლამენტო გამოსვლის სოლიდური ნაწილი სწორედ რუსეთთან საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივებს მიუძღვნა. დასკვნა ასეთია: **„რუსეთთან ერთიანობის აუცილებლობა ბელარუსისთვის უდავოა. ეს ბელარუსის ისტორიული არჩევანია.“** მისი თქმით, უკვე დაწყებულია აქტიური მუშაობა ბელარუს-რუსეთის საკავშირო სახელმწიფოს ძირითად კონტურებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რატომ აღარ კითხულობენ წიგნებს ბავშვები?

ია ანთაძე

ბოლო ხანს მშობლები ხშირად ჩივიან, რომ ახალგაზრდები წიგნებს აღარ კითხულობენ. თუმცა, ახალ თაობას სიზარმაცეს ვერ დავწამებთ, რადგან საშუალო და მაღალი ფენის ოჯახების შვილები დაბეჯითებით ეუფლებიან უცხო ენებს და ძალიან მეგობრობენ კომპიუტერთან. მათ იციან, რა არის აუცილებელი წარმატებული კარიერისთვის. არის თუ არა აუცილებელი წარმატებისთვის წიგნების კითხვა, ზოგადი განათლება, ღირებულებების ღერძის სიმყარე?

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში წარმატებული ადამიანების ნუსხას, დაზუსტებით ვიტყვით, რომ საქართველოს არც ერთი პრეზიდენტის გარემოცვაში, ხელისუფლების არც ერთ შტოში და არც მეოთხე ხელისუფლებაში წარმატების უცილობელი პირობა წიგნების კითხვა და განათლება არ ყოფილა. უფრო მეტიც, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში წარმატებები არასოდეს ყოფილა დაკავშირებული ღირებულებებთან.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში საქართველოს ოფიციალურ პოლიტიკურ ლიდერებს თავისი გზა ჰქონდათ და ამ გზაზე მათთან ერთად კარიერისტების დიდი არმია მოძრაობდა. მაგრამ მათ გვერდით ყოველთვის იყვნენ სხვა წინამძღოლები, რომლებიც წესიერების ბილიკებით იკვალავდნენ გზას. ზოგი მათგანი მწერალი იყო, ზოგი - მეცნიერი, ზოგი - რეჟისორი ან მსახიობი - ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, რომელიც სხვებს ეხმარებოდა, თავის გულში გადაერჩინათ და ეცოცხლებინათ საქართველოს, როგორც ღირსეული ქვეყნის იდეა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მსჯავრდებული - შსს-ს თანამშრომელი

*ხელვაჩაურის რაიონის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მურად ლეთოდიანი გასული წლის აპრილში ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. მას ორმა სასამართლო ინსტანციამ 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბრალდება ერთადერთი მოწმის, თავადაც ბრალდებულის ჩვენებითაა გამაგრებული. კრიმინალური ექსპერტი ზურაბ მიქელაძე, რომელიც ლეთოდიანისთვის ქრთამის გადაცემის ბრალდებით დააკავეს, ახლა მსჯავრდებულია და, მიუხედავად ამისა, დღემდე შსს-ს დაქვემდებარებულ სტრუქტურაში მუშაობს.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

ხელვაჩაურის რაიონის სასამართლო ექსპერტი მურად ლეთოდიანი სამართალდამცველებმა გასული წლის 24 აპრილს დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს 300 დოლარის ოდენობით ქრთამის აღება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი - ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ძალაში დატოვა აჭარის სააპელაციო სასამართლომაც.

საქმის შინაარსი ასეთია: 2005 წლის 17 მარტს მოქალაქე ზურაბ ბოლქვაძე ურეხის ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულე გულნაზ დიასამიძეს დაეჯახა. ბოლქვაძემ დახმარებისათვის ზურაბ მიქელაძეს მიმართა. ამ უკანასკნელმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან - ლეთოდიანთან უშუამდგომლა და, შერბილებული საექსპერტო დასკვნის დაწერის სანაცვლოდ, 300 ამერიკული დოლარი გადასცა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე მიქელაძის წინააღმდეგაც აღიძრა. მას, ბოლქვაძის სასარგებლოდ ყალბი დასკვნის დაწერის სანაცვლოდ, ლეთოდიანისათვის ქრთამის გადაცემა ედებოდა ბრალად. 2005 წლის 9 დეკემბერს პროკურატურამ მიქელაძესთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. ამის გამო, მიქელაძეს სასჯელი შეუმსუბუქდა და, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გოჩა ფუტკარაძის განაჩენით, სამწლიანი პირობითი მსჯავრი წელიწადითა და 4 თვის ვადით შეეცვალა. მიუხედავად ამისა, ზურაბ მიქელაძე განაჩენის გამოტანიდან დღემდე იმავე თანამდებობაზე შეუფერხებლად მუშაობს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## თავისუფალი სიტყვა

**გადაცემა გადის რადიო „უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი, რომელსაც სტუმრად ჰყავს ცნობილი რუსი ჟურნალისტი ლეონიდ პარფიონოვი**

**ირაკლი იმნაიშვილი:** ჩვენს რადიოპროექტს „თავისუფალი სიტყვა" ჰქვია, ეს ერთადერთი პროექტია ქართლ მედიაში, სადაც სიტყვის ასპროცენტიანი თვისუფლებაა. როგორ ფიქრობთ, ვის სჭირდება თავისუფალი სიტყვა?

**ლეონიდ პარფიონოვი:** პირველ რიგში თავისუფალი სიტყვა ესაჭიროება საღად მოაზროვნე საზოგადოებას, რაღა თქმა უნდა, თუ არ სურს, რომ ზღაპრები მოისმინოს. მით უმეტეს, დღეს საზოგადოება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში დაინტერესებული უნდა იყოს სწორი ინფორმაცია მიიღოს, რომელიც დაგაფიქრებს, გაგაბრაზებს და ა.შ.

**ი.ი.** და რა ხდება რუსეთში?

**ლ.პ.** რუსეთში პარადოქსული სიტუაციაა. ტელეარხები, ის სეგმენტი, რომელიც ინფორმაციას გადასცემს, და პოლიტიკასთან არანაირ კავშირში არ არის, ტელეპროდუქციის განვითარების თვალსაზრისით შორს წავიდა. ხოლო, ის არხები, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას, პროვინციალიზმით არიან სავსე. ისინი პოლიტიკას „ალამაზებენ", ასევე აწარმოებენ საინფორმაციო ომს მეზობელ ქვეყნებთან, თუნდაც საქართველოსთან. ბევრი არასასიამოვნო მომენტია. ახლახან ლონდონის აკადემიურ ფორუმზე შედგა მედიის მრგვალი მაგიდა, სადაც გაირკვა, რომ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციაზე სრული კონტროლი ბელორუსსა და რუსეთში ხორციელდება. ამაზე ვიცინოდით კიდეც, ამ ამბის გასაგებად ლონდონში წასვლა აუცილებელი არ იყო.

**ი.ი.** თქვენ საქართველოში გიცნობენ, როგორც ტელეწამყვანს. გადაცემა „ნამედნი", რომლის წამყვანიც თქვენ იყავით, სიტყვის თავისუფლების უკმარისობით დაიხურა, თუ უბრალოდ გახურეს?

**ლ.პ.** რაც შეეხება ჩემს გათავისუფლებას, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც სამსახურის გარეშე დავრჩი. გადაცემის დახურვა იყო საბაბი, ხოლო მიზეზი გახლდათ ქვეყანაში არსებული სიტუაცია. „ნამედნი" ველარ იარსებებდა ბესლანში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, რადგან „ნორდ-ოსტის" ამბის შემდეგ როგორღაც გადავრჩით. მეორედ, უკვე არხის გენერალური დირექტორი შეეწირებოდა გადაცემის არსებობას. არადა, ის ახლაც კარგადაა. სამწუხაროდ, ასე მოხდა. მაგრამ გაბრაზებულის პოზიცია არ მაქვს. მართალია, ჩემთვის ყველა არხის კარი დაიხურა, მაგრამ ასეც ხდება. მე გავხდი ტელევიზიის თანამშრომელი, მას მერე, რაც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ერთ-ერთი ახალგაზრდული გაზეთიდან გამომაგდეს. ამდენად, გადაცემის დახურვა არასასიამოვნო იყო არა იმიტომ, რომ პირადად მე შემეხნენ, არამედ, იმიტომ, რომ შეეხნენ თავად გადაცემის აუდიტორიას. მე არ ვემხრობი იმ განცხადებას, რომ ქვეყანაში რთული პერიოდია და ყველა უნდა ვიყოთ, როგორც ერთი. განცხადებას სახელმწიფოს მხრიდან, რომ შენ თუ მღალატობ მე, ღალატობ მთელ ქვეყანას, არ ვეთანხმები და არ ვიღებ. მე არ მიყვარს ჩემი ქვეყანა უფრო ნაკლებად, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში იმყოფებიან. მე გავიზარდე ამ რეალობაში, გავიზარდე ვოლგოგრადის ოლქში და არ ვარ მოსკოველი აკადემიკოსის შვილი. ამდენად, მე ვერ ვხედავ უცხოურ გავლენას ჩემში, გარდა ელემენტარული ცივილიზებული მაგალითებისა.

**ი.ი.** ტელევიზიისკენ ხომ მიგიწევთ გული?

**ლ.პ.** მოვიტყუები, რომ ვთქვა, მნიშვნელოვანი არ არის და არ მაინტერესებსო. ტელევიზია ცხოვრების ნაწილია. ახლა მაქვს ფილმების გადაღების საშუალება. რისთვისაც ჩემი ძველი მეგობრის, რუსეთის პირველი არხის გენერალური დირექტორის კონსტანტინ ერნსტის მადლიერი ვარ. ეს შეიძლება პარადოქსია, მაგრამ პირველი არხი ერთადერთია, სადაც რაღაცის კეთების საშუალება მაქვს. თუმცა, ჩემი ფილმები დღევანდელობასთან კავშირში არაა. ახლა ვიღებ ფილმს ბრეჟნევის შვილიშვილთან, ანდრეი ბრეჟნევთან ერთად.

**ი.ი.** მართალია, რეალობისგან შორს არის, მაგრამ 10 წუთში „ნტვ"-დან რომ დაგირეკონ და გითხრან, ყველაფერი თავიდან დავიწყოთო?

**ლ.პ.** რას ნიშნავს თავიდან, ასე თითის ქნევაზე არსად მივდივარ. მე ვმუშაობ გაზეთის მთავარ რედაქტორად. ტელევიზია გასწავლის, რომ უნდა იმუშაო იქ, სადაც ამის საშუალებაა. ტელევიზიაში მუშაობის დროს, ალბათ, გვერდიდან ილბლიანი ვჩანდი, მაგრამ სინამდვილეში იყო დიდი პაუზებიც, რაღაც არ გამოდიოდა, სხვადასხვა მიზეზების გამო. ჟურნალისტიკა ძალიან ძვირად ღირებული რამაა, ტელეჟურნალისტიკა, მით უმეტეს. ჟურნალისტიკაში კაპრიზები არ შეიძლება.



**გარდაიცვალა ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოების დამფუძნებელი, დიდებული ქართველი ვაჟკაცი, კეთილშობილი რაინდი, დიდი და ნათელი კაცი**

## ირაკლი ჩხეიძე

გარდაიცვალა ადამიანი, რომელიც გაუნელებელი ჩირაღდანივით იწვოდა სიყვარულის კოცონზე. კაცი, რომლის საფიცარი იყო ოჯახი, სამშობლო და მეგობრები.

გარდაიცვალა პიროვნება, რომელიც მთელი სიცოცხლე იღწვოდა კეთილშობილური მიზნების განხორციელებისათვის; სამშობლოს თავისუფლება და საოცნებო მომავლი იყო მისი ძირითადი საზრუნავი.

იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რომელიც მორკინალის შემართებით ებრძოდა ბოროტების იმპერიას და თავისი წვლილი შეიტანა ქართველთა ნანატრ გამარჯვებაში.

ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოება პატივს მიაგებს თავისი ძმისა და მეგობრის ნათელ ხსოვნას და დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ირაკლის ოჯახსა და ახლობლებს.

**პანაშვიდი: 23, 24 მაისს 17 საათზე**
**მისამართი: ტიციან ტაბიძის პირველი შეს. N24**
**დაკრძალვა: 25 მაისს 14 საათზე**
**გამოსვენება: ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან (გრიშაშვილის ქუჩა).**



მეუღლე გივი, შვილი არჩილ ჭოჭუები, ძმის შვილები გიორგი, ირაკლი გურგენიძეები, რძლები თეა ხუადე, რუსუდან გურგენიძე, მული თინიკო ჭოჭუა ოჯახით, მძახლები რიჩარდ ხუადე, ნანა ჩემია, მამიდაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა:

## ციცო გიორგის ასული ჭოჭუა (ლაიშვილი)

**პანაშვიდი ქ. თბილისის სამების ეკლესია (ვაკეში) 24 მაისს 18 საათზე.**
**გასვენება ამბროლაურის რაიონი სოფელი წესი 27 მაისს 15 საათზე**

# კირკიტაძის „თვითშეწირვამ" „ჩატეხილი ხიდი" ვერ აღადგინა

პირველი გვერდიდან

**„რა, ბაბუამისის ქონება ხომ არ არის, თანამდებობა რომ დაგვითმოს? დღეს ასე სურს კირკიტაძეს, მაგრამ ხვალ სხვაგვარად რომ მოუნდეს, როგორ მოვიქცეთ? ასეთი საკითხები კანონმდებლობით, ინსტიტუციონალურად უნდა იყოს გამყარებული და არა „კეთილი ნების" გამოხატვით",** - მიიჩნევს ზურაბიშვილი. მისივე თქმით, რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თანამდებობაზე ოპოზიციონერი დეპუტატის არჩევას გულისხმობს, 'დემოკრატიულმა ფრონტმა" ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში მოამზადა, მაგრამ მისი არსებობა უმრავლესობას მხოლოდ ახლა გაახსენდა.

ამას დავით ზურაბიშვილი შემდეგნაირად ხსნის: **„საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არის მოთხოვნა, რომ თუ საქართველოს უნდა, დემოკრატიულ ქვეყნად წარმოჩინდეს, მაშინ საჭიროა, უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ოპოზიციის მონაწილეობა. ოპოზიციის ბოიკოტი კი მწარე რეალობას წარმოაჩენს და ხელისუფლების იმიჯს ძალიან ვნებს. ამიტომ არის უმრავლესობა მოწადინებული ჩვენი პროტესტის შეწყვეტით და ამ მიზნით, ათასგვარ ტრიუკებს იგონებს".**



კირკიტაძე თანამდებობიდან "ოპოზიციის სასარგებლოდ" გადადგა.

უმრავლესობის ნაბიჯს „მრეწველებიც" აკრიტიკებენ. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი კირკიტაძის თანამდებობრივ „გმირობას" „ძაღლისთვის ძვლის გადაგდებას" ადარებს და დასძენს, რომ მისი თანაგუნდელები ძაღლის მდგომარეობაში თავის ჩაყენებას არ აპირებენ.

რაც შეეხება „ნდობის ჯგუფში" ოპოზიციის წარმოამადგენლის შეყვანის თაობაზე ნინო ბურჯანაძის განცხადებას, ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის ის ყოვლად გაუგებარია.

**„ოპოზიციამ უკვე დიდი ხანია დაასახელა დავით გამყრელიძის კანდიდატურა. ჰოდა, თუ უნდათ, შეიყვანონ, ვინ უშლით ხელს?",** - კითხულობს დავით ზურაბიშვილი.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, უმრავლესობა-ოპოზიციის ურთიერთობები არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ სპორტსმენების განსჯის საგანიც კი ხდება.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მიერ ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით პარლამენტში გამართულ საზეიმო მიღებაზე მყოფმა ალექსანდრე ჩივაძემ ოპოზიციას უსაყვედურა: **„ჩვენმა მაშინდელმა გამარჯვებამ მთელი საქართველო გაახარა. ამიტომ, როდესაც პარლამენტში მოვდიოდით, იმედი გვქონდა, რომ ჩვენთან შეხვედრას ოპოზიციაც დაესწრებოდა. სამწუხაროა, ასე რომ არ მოხდა".**

რაც შეეხება თავად საზეიმო მიღებას, ის საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა: საქართველოს პარლამენტში ასეთი ხანგრძლივი და მქუხარე ტაში თითქმის არავის ღირსებია. მისასალმებელი სიტყვა პარლამენტის თავმჯდომარემ წარმოთქვა, რომელმაც ისე საფუძვლიანად მიმოიხილა და ღრმად გაანალიზა 25 წლის წინათ თბილისის „დინამოს" მიერ მიღწეული წარმატება, რომ სპორტულ კომენტატორებსაც კი შეშურდებოდათ.

# დამშვიდობება „ხრუშჩოვკებთან"

თამარ დვალი

*დაახლოებით ერთ წელიწადში ისანი-სამგორის რაიონში ე.წ „ხრუშჩოვკების" ნაცვლად, ახალი საცხოვრებელი კომპლექსი აშენდება. ცხრა ავარიული სახლის ადგილას, სამშენებლო კომპანია „სასკო" ექვს ცამეტსართულიან სახლს აშენებს. პირველი პროექტი გუშინ ონაშვილის ქუჩის N9-ში მდებარე ჩამონგრეული სახლის მშენებლობით დაიწყო.*

2005 წლის სექტემბერში მერვე ლეგიონის დასახლებაში მდებარე ე.წ „ხრუშჩოვკის" ტიპის საცხოვრებელი კორპუსის ერთი სადარბაზო მთლიანად ჩამოინგრა. ნგრევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. მაშინ თბილისის მერიამ ონაშვილის №9-ში მცხოვრები მოსახლეობა ქირით გაიყვანა. როგორც ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა განაცხადა, მათი რაიონი ავარიული სახლების სიმრავლით გამოირჩევა. დღეისთვის ისანი-სამგორის რაიონში ხუთი ათასამდე ავარიული სახლია და აქედან 250 საცხოვრებელი კორპუსი.





პოსტკომუნისტური უსახურობა თბილისს ტოვებს.

**„წინა წლებში ავარიული სახლების გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად თანხა გამგეობებს ჰქონდა ბიუჯეტში. წელს ეს პრეროგატივა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს გადაეცა. რაც შეეხება ონაშვილის ქუჩაზე ჩამონგრეულ საცხოვრებელ სახლს, ეს პრობლემა ინვესტორთან მოლაპარაკების შედეგად მოგვარდა. ამ სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ რვა ხუთსართულიანი ავარიული სახლი დაინგრევა. ინვესტორი მათ ნაცვლად ექვს მაღალსართულიან სახლს ააშენებს,"** - განაცხადა ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა.

მერვე ლეგიონის დასახლებაში მოსახლეობას მარტო ავარიული სახლების პრობლემა არ აწუხებს. როგორც აქაური მოსახლეობა აცხადებს, მათ დასახლებაში სამი საბავშვო ბაღია და დღეისთვის არცერთი არ ფუნქციონირებს. ერთი მათგანი მძიმე ავარიულია, ხოლო ორში ლტოლვილები ცხოვრობენ.

როგორც კომპანია „სასკოს" წარმომადგენელმა გიორგი სიჭინავამ განაცხადა, ახალ საცხოვრებელ კომპლექსში საბავშვო ბაღის აშენებაც იგეგმება. მშენებლობა სავარაუდოდ 2007 წლის ბოლოსთვის დასრულდება. მშენებლობის პერიოდში მოსახლეობის ქირით გაყვანას მერია უზრუნველყოფს.

როგორც მერვე ლეგიონის დასახლებაში მისულმა თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, თბილისში აღარ იარსებებს ე.წ პოპულარული უბნები. იქ, სადაც ავარიული სახლებია, თბილისის ხელმძღვანელობა ინვესტორებს ახალი პროექტების განხორციელებაში დაეხმარება. მერის თქმით, ე.წ „ხრუშჩოვკების" ნგრევა სხვა უბნებშიც იგეგმება, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული მისამართების დასახელებისგან უგულავა თავს იკავებს, რადგან ამას ბინებზე ფასების რყევა მოჰყვება.

# საქართველო დსთ-ს დოკუმენტებზე ხელს არ მოაწერს

25 მაისს ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრსახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომა გაიმართება. შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციას ვიცე-პრემიერი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე უხელმძღვანელებს.

განსაკუთრებით ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ დსთ ქმედითი გაერთიანების ფუნქციებს ვერ ასრულებს და საქართველოს მოლოდინს, რაც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საფუძველი იყო, ადეკვატურად ვერ პასუხობს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ვიცე-პრემიერი საბჭოს სხდომაზე დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებს ოფიციალურად აცნობებს საქართველოს პრეზიდენტის მთავრობისადმი მიცემული იმ დავალების შესახებ, რომლის მიხედვით შესწავლილ უნდა იქნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს წევრობის მიზანშეწონილობა.

დღის წესრიგის მიხედვით, დსთ-ს მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე 23 საკითხს განიხილავენ.

ქართული დელეგაცია არც ერთ დოკუმენტზე ხელმოწერას არ გეგმავს. ამავდროულად, საქართველოს ვიცე-პრემიერი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა, ასევე სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრებთან.

# გორელებს უფასო ადვოკატები მოემსახურებიან

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გორში, ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით, კონსტიტუციური დაცვის ცენტრის შიდა ქართლის ოფისი გაიხსნა. ოფისის ძირითადი დანიშნულება ხელმოკლე ადამიანებისთვის საადვოკატო მომსახურება გაწევაა, და, შესაბამისად, ადგილიც გორის რაიონულ სასამართლოსთან შენობის სიახლოვეს შეურჩიეს.

„ჩვენს მუშაობაში არიან ჩართული გორში მოქმედი უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც აქ უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები და შემდგომ ისინი აძლევენ კონსულტაციებს და უწევენ საადვოკატო მომსახურებას სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. ჩვენს ოფისში არის სამი ადვოკატი და 12 სტუდენტი. იმ ფონზე, რომელიც დღეს არის საქართველოში, ძალიან ბევრია სოციალურად დაუცველი ადამიანი, ისინი აქტიურად მოგვმართავენ ჩვენ და, თუ საჭიროა, ვეხმარებით სასამართლოში,"- ამბობს კონსტიტუციური დაცვის ცენტრის შიდა ქართლის ფილიალის ხელმძღვანელი გიორგი არაყიშვილი.

„აქ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ პრაქტიკული ჩვევები მიიღონ და საკუთარი ცოდნით კონსულტაციები და დახმარება გაუწიონ მოსახლეობას. ეს პროექტი საშუალებას იძლევა, სტუდენტები კარგ ადვოკატებად ჩამოყალიბდნენ," - აცხადებს ცენტრის თბილისის ოფისის გამგეობის თავმჯდომარე მარინა ლებანიძე.

კონსტიტუციური დაცვის ცენტრის შიდა ქართლის ფილიალის გახსნას გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე დადებით მოვლენად მიიჩნევს. „სამწუხაროდ ჯერ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებული არ არის. მოქალაქეებს ჰგონიათ, რომ სასამართლოში ადვოკატები გვყავს და ჩვენ გავუკეთებთ ყველაფერს. სინამდვილეში ჩვენ არა გვაქვს უფლება, კონსულტაციები მივცეთ და იურიდიული დახმარება გავუწიოთ ვინმეს, ამიტომ გაჭირვებულ ხალხს ვაგზავნით კონსტიტუციური დაცვის ცენტრში და აქ მომუშავე ადვოკატები კვალიფიციურ დახმარებას უწევენ უქონელ ადამიანებს. ბევრი საქმე იქნა მოგებული ამ ადამიანების დახმარებით"- აცხადებს გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ბონდო ვათიაშვილი.

## მოკლედ

### საქართველოს პრეზიდენტი „ინტურისტ პალასს" გახსნის

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დღეს ბათუმში ელიან, სადაც იგი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს „ინტურისტ პალასის" პრეზენტაციას დაესწრება.

სასტუმრო „ინტურისტი" პირველი ობიექტია, რომელიც აჭარაში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სამი მილიონ ოცი ათას დოლარად გაიყიდა, რითაც აჭარაში ე.წ. აქტიური პრივატიზაციის პროცესი გახსნილად გამოცხადდა.

უკვე ერთი თვეა, რაც სასტუმროს რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, რომელსაც თურქული კომპანია „ეკიდ ინსაიდი" აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთის ევროპის საკითხთა მინისტრს შეხვდა

გაერთიანებულ სამეფოში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ბრიტანეთის მინისტრს ევროპის საკითხებში ჯეფრი ჰუნს შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემები იყო საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები. მხარეებმა დეტალურად განიხილეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმის საკითხები და შეთანხმების მდგომარეობა. ბრიტანულმა მხარემ სრული მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც აღუთქვა.

როგორც პრემიერ-მინისტრის აპარატში განაცხადეს, შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე. აღინიშნა, რომ ენერგომატარებლების მოწოდების არასტაბილურობის გამო, ევროპაში აქტუალობა შეიძინა მოწოდების წყაროების დივერსიფიცირების პრობლემამ, ხოლო საქართველოს - თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე - ენერგომატარებლების ტრანზიტის კუთხით სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობა. ბატონმა ჰუნმა მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივების მიმართ. განსაკუთრებით აღინიშნა, ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციისადმი მიძღვნილი დონორთა კონფერენცია, რომელიც ივნისის შუა რიცხვებშია დაგეგმილი.

გუშინ ასევე გაიმართა პრემიერ-მინისტრის შეხვედრები ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში და ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

ზურაბ ნოღაიდელმა წაიკითხა ლექცია ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში „ჩეთემ ჰაუსში". დღის ბოლოს კი პრემიერმა ვინოპოლისის მუზეუმში ქართული ღვინის გამოფენა „საქართველო - ღვინის სამშობლო" გახსნა. **ინტერპრესნიუსი**

### იგორ გიორგაძე დღეს მოსკოვში პრესკონფერენციას გამართავს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე დღეს, დილით, მოსკოვში ჩასვლას და საგამომცემლო სახლის „არგუმენტი ი ფაქტის" ოფისში პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს.

ამის შესახებ საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრმა იგორ გიორგაძემ გუშინ რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

იგი ჯერჯერობით არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას რუსეთის ხელისუფლებისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ.

„არგუმენტი ი ფაქტის" საინფორმაციო სამსახურის განცხადებით, დღევანდელ პრესკონფერენციასთან დაკავშირებით სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ანონსები უკვე გააგზავნეს.

როგორც სააგენტოს თანამშრომელმა ინა ობრაზცოვამ განაცხადა, იგორ გიორგაძის პრესკონფერენციაზე დასასწრებად აკრედიტაცია 100-ზე მეტმა ჟურნალისტმა გაიარა. მისივე თქმით, სააგენტოს ოფისთან დღეს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გუშინ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმერ კოლესნიკოვის განცხადება გაავრცელეს, რომელიც პოლიტიკური პარტია „სამართლიანობის"' ლიდერს, საქართველოს ყოფილ უშიშროების მინისტრს იგორ გიორგაძეს შეეხება.

კოლესნიკოვის განცხადებით, მოსკოვმა შესაძლოა, გიორგაძისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა უზრუნველყოს.'

„მე გავეცანი მასალებს, რომლებიც ქართულმა მხარემ გადმოაგზავნა და მისი დაკავება და ექსტრადირება მოითხოვა... შემიძლია ოფიციალურად განვაცხადო, რომ თუ გიორგაძე დაუკავშირდება შესაბამის ორგანოებს, მე ეჭვი არ მეპარება, რომ მის წინადადებებს განიხილავენ და მას პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემენ რუსეთში", - აღნიშნა კოლესნიკოვმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძე ეჭვმიტანილია 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ორგანიზებაში. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სუამი საერთაშორისო ასპარეზზე და საფოსტო მარკაზე

პირველი გვერდიდან

მაგრამ იმისათვის, რომ ამ სიტყვას ფასი ჰქონდეს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის თქმით, საჭიროა, რომ სუამი ჯერ ეკონომიკურად განვითარდეს. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციად ტრანსფორმირებული ორგანიზაციის წევრებმა მიზნად დაისახეს თავისუფალი ვაჭრობის განვითარება გაერთიანების შიგნით, რაც შესაბამისი დეკლარაციის ხელმოწერითაც დაადასტურეს. საქონლისა და მომსახურების გადაადგილების შეზღუდვა და სასაზღვრო დაბრკოლებების შექმნა იყო კიდეც ის ძირითადი ფაქტორი, რამაც, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თქმით, დსთ ქმედითუუნარო გაერთიანებად აქცია. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი სუამ-ის კიევის სამიტზე მხოლოდ დსთ-ს კრიტიკით არ შემოიფარგლა და რუსეთი კრიმინალებისა და ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულა. **„ჩვენ პრობლემები შეგვექმნა კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლაში. წამყვანი ქართველი „კანონიერი ქურდები“ გადაბარგდნენ რუსეთში და არა არალეგალურად, არამედ მოქალაქეობა მიიღეს. მაგალითად, კრიმინალური სამყაროს ლიდერმა ონიანმა, რომელსაც ინტერპოლი ეძებს, სრულიად დაუბრკოლებლად მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ახლახან მოვიდა ინფორმაცია, რომ იგორ გიორგაძემ, რომელიც საფუძვლინად არის ბრალდებული ტერორისტული აქტების ორგანიზებაში, ოფიციალურად მიიღო თავშესაფარი რუსეთში,“** - ასეთი ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პრეზიდენტმა სუამის სამიტის მონაწილეებს.

უკრაინის და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა კი თქვეს, რომ მათ რუსეთთან „ეკონომიკური ინტერესები ჯერ კიდევ აკავშირებთ.“ უკვე ერთობლივ პრესკონფერენციაზე რუსეთის კრიტიკას მხარი აუბა მოლდოვეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმაც, რომელმაც გაიხსენა, თუ როგორ



პრეზიდენტები მომავალს ფრთხილი ოპტიმიზმით უყურებენ.

დემონსტრაციულად, ბულდოზერების გამოყენებით ანადგურებდნენ რუსეთში მოლდავურ ღვინოებს და დასძინა, რომ **„პოლიტიკაში უფროსი ძმების პერიოდი დამთავრდა“.**

### რეალური აგრესიული სეპარატიზმი და ვირტუალური ანტიტერორისტული ცენტრი

სუამ-ის წევრი ოთხი სახელმწიფოდან სამში - აზერბაიჯანში, მოლდოვეთსა და საქართველოში, აგრესიული სეპარატიზმის შედეგად, დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. სპარატიზმის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი კი სუამის ქვეყნების ლიდერებს, როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, აუცილებლად უკარნახებს უფრო ქმედითი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სანქციის ამოქმედებას: **„ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი ერთი მთელი შემადგენელი ნაწილია. ჩვენი ქვეყნები დაზარალდნენ ამისგან. სამ ქვეყანაში დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, აგრესიულმა სეპარატიზმმა გამოიწვია ეთნიკური წმენდა, დაირღვა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი და სამწუხაროა, რომ ეს ქვეყნები არ არიან დაგმობილნი საერთაშორისო საზოგადოების მიერ, მათ მიმართ არ ტარდება ისეთი სახის პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციები, რაც სახეზეა სხვა საერთაშორისო კონფლიქტების შემთხვევაში.“**

ალიევის სულისკვეთება სუამის ყველა წევრი ქვეყნისათვის აღმოჩნდა საერთო. ნიშანდობლივია, რომ სუამ-ის ტრანსფორმაციის ისტორიულ დღეს ხელი მოეწერა „ერთობლივ დეკლარაციას გაყინული კონფლიქტების თობაზე“.

ასეთი დეკლარაციები დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მეთაურებსაც არაერთხელ მიუღიათ. ამიტომ, სუამ-ის ქვეყნების განზრახვა მხოლოდ დეკლარაციად რომ არ დარჩეს, საქმეა საჭირო. როგორც უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ განაცხადა, ამ მიზნით სუამ-ის შიგნით უკვე დაწყებულია მუშაობა, რათა შეიქმნას კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი. უკრაინამ მოლდოვეთისადმი კეთილმეგობრობის ნიშნად, ცოტა ხნის წინ გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეგიონის მიმართ, რამაც ეკონომიკურად უნდა დაასუსტოს ტირასპოლი.

### სუამი - საფოსტო მარკაზე და სტუდენტების გულებში

აგრესიული სეპარატიზმის პრობლემის, მოსკოვთან საქართველოსა და მოლდოვეთის დაძაბული ურთიერთობის, გრანდიოზული სამომავლო გეგმების და ვირტუალური ანტიტერორისტული ცენტრის გარდა, საერთაშორისო გაერთიანება სუამს კიდევ საკუთარი საფოსტო მარკაც აქვს. უკრაინაში დაბეჭდილი საფოსტო მარკა 70 კაპიკი(დაახლოებით 15 თეთრი) ღირს და მისი მფლობელები, პრეზიდენტების გარდა, ის ჟურნალისტებიც გავხდით, ვინც სუამ-ის ტრანსფორმირების პროცესს ესწრებოდნენ. ინტერნეტის ეპოქაში წერილების წერა და მათზე მარკების დაწებება მოდაში არ არის, შესაბამისად ამგვარი მარკის გამოშვება მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა კოლეგა პრეზიდენტებს სუამ-ის პროპაგანდისათვის საკუთარი წინადადება შესთავაზა. 1 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სუამ-ის თემატიკის შემსწავლელელი კურსი გაიხსნება. ასე რომ, თუ სუამ-ის შტაბი და სამდივნო კიევში იქნება, მისი „კადრების სამჭედლო“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიდებს ბინას. თუ სუამის იდეები ღრმად გაიდგამენ ფესვებს სტუდენტების გულებში, სამეცნიერო კარიერა გარანტირებული იქნება.

# აშშ-ისრაელის სტრატეგია პალესტინაში

## ებრაელმა სამხედროებმა „ჰამასის“ ლიდერი დააკავეს

*ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეუდ ოლმერტი ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში იმყოფება. ეს მისი პირველი ვიზიტია ვაშინგტონში მას შემდეგ, რაც მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. ეუდ ოლმერტი შეხვდა აშშ-ს წარმომადგენლებს პენტაგონსა და თეთრ სახლში, მათ შორის აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს და თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს. ამ უკანასკნელთან ისრაელის პრემიერ- მინისტრმა ირანის მიერ ურანის გამდიდრების პროგრამაზე ისაუბრა.*

თეა მაისურაძე

გუშინ ეუდ ოლმერტი აშშ-ს პრეზიდენტს შეხვდა. შეხვედრაზე ოლმერტმა ხაზი გაუსვა ისრაელის სტრატეგიულ პარტნიორობას აშშ-სთან და ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ დაეხმარება აშშ-ს გავლენა ისრაელს „პალესტინიდან მომდინარე აგრესიის მოგერიებაში“. აშშ და ისრაელი ცდილობენ იპოვონ კონფლიქტის მოგვარების გზები პალეტინასთან, რომლის სათავეშიც „ჰამასის“ ლიდერები მოვიდნენ, და რომელიც ისრაელის სახელმწიფოს აღიარებასა, და ძალადობის შეწყვეტაზე უარს აცხადებს.

ისრაელისა და აშშ-ს შეთანხმების მიხედვით, მხარეებმა „ჰამასთან“ მოლაპარაკებები აღარ უნდა აწარმოონ, თუმცა აშშ-ს მხარე აცხადებს, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მაინც შეეცდება მოლაპარაკებები გამართოს პალესტინის ლიდერთან, მაჰმუდ აბასთან არსებული სიტუაციის მოსაწესრიგებლად. ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მაჰმუდ აბასს არ შეუძლია არსებული პრობლემის მოგვარება: „**პალესტინის ლიდერს იმის ძალაც კი არ შესწევს, რომ თავის სახელმწიფოს მიხედოს**“- აღნიშნა ეუდ ოლმერტმა კვირას სი-ენ-ენი-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

აშშ-ს წარმომადგენლები ისრაელის პრემიერ-მინისტრისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრიდან კონკრეტულ შედეგებსა და ნაბიჯებს არ მოელიან. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა ტონი სნოუმ განაცხადა, შეხვედაზე მხარეები მათ შემდგომ ნაბიჯებზე ისაუბრებენ, თუმცა კონკრეტული და მითუმეტეს, რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილების მიღება მოსალოდნელი არ არის.

გუშინ, როდესაც ისრაელის პრემიერ-მინისტრი მოლაპარაკებებს მართავდა აშშ-ს პრეზიდენტთან, ებრაელმა სამხედროებმა რამალაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად „ჰამასის“ დაჯგუფების სამხედრო ფრთის ლიდერი, 41 წლის იბრაჰიმ ჰამადი დააკავეს, რომელსაც ბრალი ედება ტერორისტული აქტების დაგეგმვაში, მათ შორის კაფეებზე თავდასხმებში და იერუსალიმის ჰებრეუს უნივერსიტეტში განხორციელებულ ტერაქტში.

„ჰამასის“ დაჯგუფება პალესტინის სათავეში ორი თვის წინ, არჩევნებში გამარჯვების შედეგად მოვიდა. ამ დაჯგუფების მიერ ისრაელის წინააღმდეგ 2002-2003 წლებში განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგად 48 ადამიანი დაიღუპა.

სამშაბათს დილით, ისრაელის სპეცსამსახურის წარმომადგენლები ჯიპებითა და ბულდოზერებით შევიდნენ რამალაში. მათ ალყა შემოარტყეს იმ მაღაზიებს, სადაც სავარაუდოდ ჰამადი იმალებოდა და რომლებიც პალესტინის ლიდერის, მაჰმუდ აბასის რეზიდენციიდან 200 მეტრით არის დაშორებული. სამხედროებმა მაღაზიის კარები შეამტვრიეს და ჰამასის ლიდერს დანებება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შენობის აფეთქებით იმუქრებოდნენ. ამის შემდგომ ებრაელმა სამხედროებმა ჰამადს განიარაღება მოსთხოვეს და დააპატიმრეს.

იბრაჰიმ ჰამადის ოჯახის წარმომადგენლის განცხადებით, ჰამასის ლიდერი ისრაელის მიერ უკვე 1998 წელს იძებნებოდა და დაპატიმრებულ იქნა პალესტინის ხელისუფლების მიერ მისი ანტიებრაული განწყობისა და ქმედებების გამო. პალესტინის ხელისუფლებამ ტერორისტი 2002 წელს გაათავისუფლა.

ისრაელის არმიის ოფიცერი ამირი, რომელიც სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ „ჰამასს“ მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება ახალი ლიდერის მოძებნაში: **„ის, რაც მას გამორჩეულს ხდიდა, არის მისი ნიჭი მიაკვლიოს ისრაელზე თავდასხმის ყველაზე რთულ და ორიგინალურ გზებს,“** - განაცხადა მან.

იერუსალიმში ბი-ბი-სის კორესპონდენტის, კაროლინე ჰავლეის აზრით, ისრაელის არმიის მიერ ჰამადის დაპატიმრება „გაუგებარი და მოულოდნელია“, რადგან „ჰამასის“ დაჯგუფებას 15 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია ისრაელში ისეთი ტერორისტული აქტი, რომელიც მსხვერპლით დასრულდებოდა. შესაბამისად, ისრაელის სამხედრო ოპერაციები ბოლო ორი თვის განმავლობაში მთლიანად დაჯგუფება „ისლამური ჯიჰადის“ წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა ბოლო პერიოდში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებზე.

პალესტინის პრემიერ-მინისტრის, ისმაილ ჰანივას განცხადებით, მშვიდობა დამყარდება მაშინ, როცა ისრაელი დათმობს იმ მიწებს, რომლებიც მან 1967 წელს მიიტაცა: **„ისრაელმა და აშშ-მ უნდა დაინახონ, რომ ჰამასი უმოქმედოდ არ არის“** - განაცხადა მან. პალესტინის პრემიერ-მინისტრი პალესტინელ ხალხს ბრძოლისთვის მოუწოდებს და მიიჩნევს, რომ მისი ხალხი შეძლებს სიძნელეების გადალახვას.

# რატომ აღარ კითხულობენ წიგნებს ბავშვები?

პირველი გვერდიდან

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიდერის ფუნქცია მთლიანად იტვირთეს პრეზიდენტებმა. მათ ირწმუნეს, რომ შეუძლიათ წინამძღოლობა სრული სპექტრით: როგორც პოლიტიკურ, ასევე მორალურ ვექტორზე; როგორც პრაგმატული, ასევე სულიერი მიმართულებებით. საზოგადოებამ მიიღო და აღიარა მათი ლიდერობა, რადგან, ცეკა-ს მდივნებისგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტების მიერ გაცხადებული საქვეყნო მიზნები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მისაღები და სასურველი იყო.

მაგრამ თუ სამი პრეზიდენტის წინამძღოლობის შედეგებს გავიაზრებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ შორს არ წავსულვართ. ლიდერები, რომლებსაც ჩვენ ვირჩევდით, ან რომლებსაც გარემოება ირჩევდა ჩვენი მეშვეობით, მეტისმეტად უგრძნობი აღმოჩნდნენ იმ ნაპერწკლის მიმართ, რომელიც მთელი კომუნისტური რეჟიმის პერიოდში აცოცხლებდა ქართულ საზოგადოებას. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ჯუმბერ პატიაშვილი და ჯემალ ქარჩხაძე სხვადასხვა გზაზე მოძრაობდნენ და ორივეს თავისი თანამგზავრები ჰყავდა. რა თქმა უნდა, საქართველოში დღესაც არიან მწერლები, მეცნიერები, რეჟისორები და სხვა პროფესიის ადამიანები, რომელთა ფუნქცია ისევ ისაა, სხვებს დაეხმარონ საკუთარი თავის პოვნაში, საკუთარი ადგილის პოვნაში თავის ქვეყანაში და თავისი ქვეყნის პოვნაში საკუთარ გულებში. მაგრამ ამ პატივცემულმა ადამიანებმა, ჩვენი დახმარებით, კარგა ხანია, ბილიკებიდან სულიერ იზოლაციაში გადაინაცვლეს და განსაკუთრებულად ღირებულს ველარაფერს გასცემენ.

საბჭოთა პოლიტიკის უსახურ საქართველოში არსებობდა სხვა, სახიერი ქვეყანა, რომელშიც თავისუფლება და მონობა, ხარისხიანი და უხარისხო, ნიჭიერი და უნიჭო, განათლებული და გაუნათლებელი მკაფიოდ იყო გამიჯნული. და ის ადამიანები, რომლებიც ირჩევდნენ განათლების, თავისუფლების, ღირებულებების, წესიერების, ნიჭიერების გზას, საზოგადოების ერთ ნაწილს თავის პირად მასწავლებლებად მიაჩნდა. რაც მთავარია, მაშინ არსებობდა არხი, რომლითაც ეს სწავლება თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დღეს ძველი არხები დახშულია და ახალი სწავლებაა მოდაში: პატრიოტული ბანაკები, ნიღბიანი სუპერმენები, რეალური შოუები, თანამედროვე გმირები, რომლებსაც ამ ტიტულის მისაღებად რაიმე შრომა არ დაუხარჯავთ. ახალგაზრდა მწერლები და პოეტებიც კი, რომლებიც წიგნის პატივისმცემელთა პაწაწუნა კუნძულზე ბინადრობენ, საზოგადოებისთვის ცნობილი არიან არა იმდენად თავისი შემოქმედებით, რამდენადაც - თოქ-შოუებში გამოთქმული პოლიტიკური და სამოქალაქო პოზიციით.

დრო, როდესაც უფროსი თაობა რეალობას გაურბოდა და ლიტერატურით ცხოვრობდა, იმედია, აღარ დაბრუნდება. მაგრამ თუკი დადგება დრო, როცა წარმატების საწინდარი გახდება არა ახალი სწავლებისადმი, არამედ - ღირებულებებისადმი ერთგულება, მაშინ ახალგაზრდები ნამდვილად მიუბრუნდებიან მათი ბებია-ბაბუების მიერ რუდუნებით შევსებულ წიგნის თაროებს. წიგნთან დაბრუნება იქნება ერთადერთი ნიშანი, რომ, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა პრიმიტივიზმის ხანა და დაიწყო რაღაც სხვა, რეალური მომავლის სასიცოცხლო ნიშნის მატარებელი დროება.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო „თავისუფლების“ ეთერით.*




# ბაგაფში მონტენეგროს დამოუკიდებლობას მიესალმება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში მონტენეგროს დამოუკიდებლობას მიესალმება და აცხადებს, რომ დამოუკიდებლობა აფხაზეთმა და ოსეთმაც უნდა მიიღონ.

ამის შესახებ ბაგაფშმა სააგენტო „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, „ჩატარდა რეფერენდუმი და მონტენეგრო დამოუკიდებლობას იღებს. თვითგამორკვევის ასეთ ნაბიჯს მხოლოდ შეიძლება მივესალმოთ. ახლა, როდესაც განახლდა თვითგამორკვევის პროცესი, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა უნდა მიიღონ“.

„საერთაშორისო თანამეგობრობამ პრეცედენტი უკვე დაუშვა, ახლა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ჯერია. აფხაზეთის სვლა დამოუკიდებლობისკენ არის ისტორიული არჩევანი და ჩვენ ამ გზიდან არ გადავუხვევთ“,- განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა განცხადება დსთ-დან საქართველოს შესაძლო გასვლაზეც გააკეთა.

ბაგაფშის თქმით, ქართული მხარის ინიციატივა დსთ-დან გასვლის შესახებ აფხაზური მხარის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. „თანამეგობრობიდან საქართველოს გასვლას დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა მოჰყვება, რაც ვითარებას უკიდურესად დაძაბავს. კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთადერთ გარანტად სწორედ კოლექტიური ძალები გვევლინება“,-განაცხადა ბაგაფშმა.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ბაგაფშის განცხადებას არაადეკვატურს უწოდებს. მისი თქმით, მონტენეგროს და აფხაზეთისა ან ცხინვალის რეგიონს შორის პარალელის გავლება შეუძლებელია. თავად სეპარატისტებს კარგად ესმით, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არასოდეს დაუშვებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მსგავსი ტიპის რეფერენდუმის ჩატარებას, მაგრამ „სეპარატისტები ასეთ განცხადებებს გარკვეული ძალების დაკვეთით აკეთებენ“.

„სოხუმშიც და ცხინვალშიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ასეთი ტიპის განცხადებები ფაქტობრივად აზრს უკარგავს მხარეებს შორის დიალოგს და დიდ დარტყმას აყენებს სამშვიდობო პროცესს“, - მიაჩნია კოტე გაბაშვილს.

*24 საათი*

# ლუკაშენკოს „სწორი“ დასკვნები

პირველი გვერდიდან

ბელარუსი არც დსთ-სთან კავშირის გაწყვეტას გეგმავს. ლუკაშენკო მიიჩნევს, რომ დსთ-ს რეზერვები და მექანიზმები ბოლომდე ამოწურული არ არის. თუმცა, „ბატკა“ ამ ორგანიზაციის რეფორმირების მომხრეა. **„ცალკეული სახელმწიფოების პასუხისმგებლობა უნდა ამაღლდეს,“** - აცხადებს ლუკაშენკო.

როგორც აღმოჩნდა, ბელარუსის პრეზიდენტს გარკვეული დასკვნები საპრეზიდენტო არჩევნებიდანაც გამოუტანია. ალექსანდრე გრიგორის ძე გამოტყდა, რომ უკანასკნელ ხანებში პროსახელმწიფო პარტიის ძლიერი მხარდაჭერის გარეშე მას ძალიან უჭირს. **„ცუდი არ იქნება, თუ ჩვენთან ამგვარი პარტია იარსებებს,“** - განაცხადა ლუკაშენკომ. თუმცა, აქვე ბელარუსის პრეზიდენტი დასძენს, რომ ამგვარი პარტიის შექმნას თავად არ აპირებს. **„მე არ ვაპირებ პარტიის შექმნას „ზემოდან“, პირიქით, ინიციატივა „ქვემოდან“ უნდა წამოვიდეს. მე ვიცი, ვის უნდა დავეყრდნო - ხალხს,“** - განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის ლიდერმა აშკარად ყურადღებით მოისმინა პრეზიდენტ პუტინის ყოველწლიური მოხსენება. პუტინის მსგავსად, ლუკაშენკოს საპარლამენტო ანგარიშიც გამოირჩეოდა ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, სპორტული და, ცხადია, დემოგრაფიული თემატიკის სიჭარბით.

თუ პუტინმა საკუთარი პარლამენტარები „ცივი ომის“ აჩრდილით დააშინა, ლუკაშენკომ მთელ მსოფლიოს გარდაუვალი ეკონომიკური კრიზისი უწინასწარმეტყველა. **„თუ ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა კვლავაც გაგრძელდა, ამან შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკის დანგრევა გამოიწვიოს,“** - შიშობს ლუკაშენკო.

სხვათაშორის, ბელარუსის ეკონომიკას რომ კრიზისი ელის, ეს ცოტა ხნის წინ „გაზპრომის“ შეფმა ალექსეი მილერმა გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, „გაზპრომის“ გადაწყვეტილებით, 2007 წლიდან ბელარუსი რუსულ გაზს საბაზრო ფასებით შეიძენს. ამ ნაბიჯით მოსკოვი მოძმე მინსკს ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში „წაეხმარა“. მოსკოვს სურს, რომ ბელარუსთან საკავშირო სახელმწიფოს შექმნა დაჩქარდეს. თუ ლუკაშენკოს გუშინდელ საპარლამენტო მონოლოგს გავითვალისწინებთ, ეს, ალბათ, ასეც მოხდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ბელარუსის „მზარდ მისწრაფებას ნათელი მომავლისკენ“ ორი ფაქტორი აფერხებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამათგან არც ერთი არ არის ლუკაშენკოს ავტორიტარული რეჟიმი. პირველი ფაქტორია ენერგომატარებლებზე დაწესებული მაღალი ფასები, მეორე კი დასავლეთის მხრიდან უხეში ზეწოლა. ლუკაშენკომ მკაცრად გააკრიტიკა ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები, რომელთა მიხედვითაც 36 ჩინოვნიკს ბელარუსიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება არა აქვს. ამ სიაში ლუკაშენკო და ბელარუსის პრემიერი სიდორსკიც მოხვდნენ. დასავლეთის პრეტენზიებს ლუკაშენკომ „აბსურდული“ და „არაადეკვატური“ უწოდა. მას გულწრფელად უკვირს, რატომ არღვევს **„ეს ველური ხალხი“** საერთაშორისო კონვენციებს.

**„ვინ მისცა მათ უფლება შეზღუდონ ჩვენი გადაადგილება? რატომ არ ითვალისწინებენ საერთაშორისო კონვენციებს? რომელმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ლუკაშენკო და სიდორსკი ბოროტმოქმედები არიან? რის საფუძველზე გამოიტანეს მათ ეს განაჩენი?“** - აღელდა „ბატკა“ და საკუთარ ქვეშევრდომებს საერთაშორისო სასამართლო ინსტანციებში წარსადგენი განცხადების მომზადება დაავალა. **„როდესაც საერთაშორისო სასამართლოებს მივმართავთ, ამ გზით ჩვენ მათ სასამართლო სისტემასაც გავუსინჯავთ კბილს,“** - ორი კურდღლის ერთად დაჭერა გადაწყვიტა ლუკაშენკომ.

სხვა საქმეა ჩინეთი, რომელთანაც ბელარუსს **„შესაშურად კარგი ურთიერთობები“** ჩამოუყალიბდა. ამ კუთხით ბელარუსებს საამაყოც ბევრი აქვთ. **„ჩინეთი ყოველთვის ღიად უჭერდა მხარს ბელარუსს. ამ ქვეყანასთან ჩვენ საკმაოდ კარგი სტრატეგიული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. იამაყეთ! ჩინეთისკენ ყველა ისწრაფვის, მაგრამ ჩინეთი ყველას როდი ღებულობს... ჩვენ კი მიგვიღო და მე ეს მეამაყება,“** - განაცხადა ლუკაშენკომ.

# გაერო-ს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა 19 მაისს საქართველოს მთავრობას დასკვნები და რეკომენდაციები გამოუგზავნა. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ნაბიჯების მიმართ; უფრო კონკრეტულად, კომიტეტმა დადებითად შეაფასა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, საქართველოში წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის შემუშავება, დაკავების ადგილებში არსებული სტანდარტების გაუმჯობესებისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ომბუდსმენის ოფისს შორის დადებული მემორანდუმი და სხვა პოზიტიური ნაბიჯები. კომიტეტმა მოიწონა წამების ფაქტების შესახებ შეტყობინებების მიმღები 24-საათიანი ცხელი ხაზის მუშაობაც.

თუმცა, გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წინა მოხსენებებთან შედარებით, ამჟამინდელ მოხსენებაში წამების ფაქტების რიცხვი გაზრდილია. შესაბამისად, გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციებიც გამკაცრდა. მოხსენებაში წამების 400-ზე მეტი ფაქტია აღწერილი.

**„კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას სამართალდამცველთა მცირე რაოდენობის მიმართ დისციპლინარული ზომების დაკისრებისა და დასჯის მიმართ, მაშინ, როდესაც ქვეყანაში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის უამრავი ფაქტი ფიქსირდება; კომიტეტის შეშფოთებას იწვევს, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ დაკავებული პირები არ არიან დროულად და ჯეროვნად ინფორმირებულნი მათი უფლებების შესახებ“,** - ნათქვამია გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნაში.

გარდა ამისა, კომიტეტი კვლავ საგანგაშოდ მიიჩნევს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებულ მდგომარეობას.

ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენლის მერი მერფის თქმით, ხშირად ციხეში არსებული გაუსაძლისი პირობები წამებას უტოლდება, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის ანა დოლიძის განცხადებით, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ნიღბიანები იდენტიფიცირებულები უნდა იყვნენ - მათ ან სახე უნდა უჩანდეთ ან სპეციალური ნომერი უნდა ჰქონდეთ.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო პერიოდში საქართველოში სპეცოპერაციებისას ადამიანთა გახშირებული ლიკვიდაციის გამო და თვლის, რომ სამართალდამცველთა მიმართ დისციპლინარული ზომების დაკისრება სათანადოდ არ ხდება.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებზე პასუხის მოსამზადებლად საქართველოს მთავრობას ერთწლიანი ვადა მისცა.

*24 საათი*

*მოკლედ*

## მოგებული პროცესი

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის იურისტებმა მორიგი სასამართლო პროცესი მოიგეს - სასამართლო დარბაზიდან კიდევ ერთი პატიმარი გათავისუფლდა.

საზოგადოებრივი ადვოკატის თბილისის ტერიტორიულ ბიუროს ქურდობის ბრალდებით დაკავებული მოქალაქეების ოჯახის წევრებმა მიმართეს და ბრალდებულთათვის ადვოკატის სახაზინო წესით დანიშვნა მოითხოვეს.

აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, არასრულწლოვან ა.მ.-სა და 22 წლის ვ.შ-ს ინტერესების დაცვა ადვოკატ გიორგი გიორგაძეს დაევალა.

ა.მ.-სა და ვ.შ.-ს ბრალად ედებოდათ ჯგუფური ქურდობა. პროკურორი წარდგენილ ბრალდებას დადასტურებულად მიიჩნევდა და განსასჯელთათვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა. ბრალდების არგუმენტებს არ ეთანხმებოდა ადვოკატი.

22 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვ.შ. ქურდობის ბრალდების ნაწილში გამართლდა და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, ხოლო ა.მ-ს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ადვოკატი ა.მ-ს ინტერესების დაცვას ამჯერად სააპელაციო ინსტანციაში გააგრძელებს, სადაც უკვე გაასაჩივრა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი.

*24 საათი*

## შს სამინისტრო გარდაცვლილის ახლობლებს აფრთხილებს

ვაკეში, სტუდქალაქში რამდენიმე დღის წინ მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

როგორც შს სამინისტროს ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული, გარდაცვლილ მალხაზ ჯაფარიძის ნათესავებმა მედიასაშუალებებით განაცხადეს, რომ შურს იძიებენ მკვლელობაში ეჭვმიტანილ დავით მარგოშვილზე და მას „სისხლის აღების“ წესით გაუსწორდებიან.

**„შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს ყველას, არ განახორციელონ უკანონო ქმედება, რომელიც პირად ანგარიშსწორებას ითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი პირის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები“,** - ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

როგორც ცნობილია, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და კახეთის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 16 მაისს, ახმეტაში დააკავეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში დავით მარგოშვილი.

მარგოშვილი ეჭვმიტანილია 16 მაისს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, სტუდქალაქის ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულში, რომლის დროსაც 27 წლის მალხაზ ჯაფარიძე გარდაიცვალა.

*24 საათი*

## ძალადობის ფაქტების არსებობას ვერავინ უარყოფს

სახალხო დამცველის რწმუნებულმა სამეგრელოს რეგიონში სენაკის ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატი მოინახულა და ახსნა-განმარტება ჩამოართვა პანსიონატის დირექტორს გურამ გარუჩავას, ესაუბრა მედპერსონალს და აღმზრდელებს. სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას გარუჩავამ უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია პანსიონატში არსებული ძალადობის შესახებ. როგორც ომბუდსმენის ოფისში აცხადებენ, მედპერსონალმა და აღმზრდელებმა უარი განაცხადეს ახსნა-განმარტების დაწერაზე და ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ ამ თემაზე საუბრისაგან, თუმცა ძალადობის ფაქტების არსებობას ვერ უარყოფდნენ.

თავად აღსაზრდელები, მიუხედავად სახალხო დამცველის წარმომადგენლის მცდელობისა, გარკვეულიყო სიტუაციაში, შეშინდნენ და მასთან საუბარი არ ისურვეს. დაზარალებული ბავშვები დაიმალნენ და მათი ნახვა სახალხო დამცველის რწმუნებულმა ვერ მოახერხა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები და სახალხო დამცველთან არსებული დახურული ინსტიტუციების საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს წევრები უახლოეს დღეებში ჩავლენ სენაკში და პანსიონატში არსებულ ვითარებას შეისწავლიან.

*24 საათი*

# მსჯავრდებული - შსს-ს თანამშრომელი

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი მოსამართლე ნარგიზ დიასამიძე ლეთოდიანის საქმესთან დაკავშირებით განსხვავებულ აზრს გამოთქვამს. მისი განმარტებით, ლეთოდიანის ბრალეულობა დაუსაბუთებელია, რადგან იგი მხოლოდ ერთადერთი მოწმის, კრიმინალური ექსპერტის, ზურაბ მიქელაძის ჩვენებაზეა დაფუძნებული.

**„მართალია, მოწმე ბოლქვაძე ადასტურებს, რომ ექსპერტის დასკვნის მისაღებად მან მიქელაძეს 300 დოლარი გადასცა, მაგრამ შემდეგ ამ თანხას რა ბედი ეწია, არ იცის. მიქელაძე კი აცხადებს, რომ თანხა ლეთოდიანს მიუტანა, თუმცა მისი ჩვენება წინააღმდეგობრივია. თავდაპირველად იგი აცხადებდა, რომ ლეთოდიანმა ბოლქვაძის საქმის „გაკეთებაში“ ფული მოსთხოვა, რის გამოც, შეურაცხყოფილი დარჩა, შემდეგ კი ბოლქვაძის თხოვნით თანხა მაინც გადასცა. სასამართლოს შეკითხვაზე, თუ რა სახით გადასცა მან თანხა, მიქელაძემ უპასუხა, რომ არ იცოდა, ეს თანხა რას წარმოადგენდა“,** - აცხადებს დიასამიძე.

აღსანიშნავია, რომ ლეთოდიანის დაკავებას წინ უსწრებდა მიქელაძის 10-საათიანი პატიმრობა, რის შემდეგაც იგი გაათავისუფლეს.

რაც შეეხება მიქელაძის პოლიციის რიგებში სამსახურს, ამ საკითხზე კომენტარის მიღება არ მოხერხდა. არადა, პოლიციის შესახებ კანონით, მსჯავრდებულს შსს-ს რიგებში სამსახურის უფლება არ აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ოფიციალური კომენტარისაგან თავი შეიკავეს და აჭარის შს სამმართველოსაკენ მიგვითითეს. აჭარის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, გრიგოლ მჟავანაძის განცხადებით, მიქელაძის გათავისუფლების საკითხი სამმართველოს კომპეტენციაში არ შედის და, შესაბამისად, კომენტარსაც ვერ გააკეთებენ.

**„ეს გენინსპექციის გადასაწყვეტია. აღნიშნული სამსახური, რომელიც ბათუმში ფუნქციონირებს, აჭარის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში არ შედის. იგი სამინისტროს ქვემდებარე ორგანიზაციაა, ჩვენ მასზე ზემოქმედების უფლება არ გვაქვს,“** - განაცხადა მჟავანაძემ.

საქმის ვითარებაში გარკვევა გენინსპექციაში მხოლოდ არაოფიციალურად მოვახერხეთ. როგორც აგვიხსნეს, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ მიქელაძემ გადადგომის შესახებ პატაკი დაწერა, მაგრამ იგი არ დააკმაყოფილეს. ამის მიზეზი კი უბრალო ფორმალობა ყოფილა - მიქელაძე შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით უნდა გათავისუფლდეს და არა - პატაკის დაწერის საფუძველზე.

# „მოსამართლეთა საქმე“ ევროსაბჭოში

*ევროსაბჭოს ექსპერტები ე.წ. მეამბოხე მოსამართლეების დისციპლინარული დევნის საქმესთან დაკავშირებით სპეციალურ მოხსენებას ამზადებენ და ამ მოხსენებით შემოდგომაზე ევროსაბჭოს წინაშე წარდგებიან. ამის შესახებ განცხადება გააკეთა უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ მერაბ ტურავამ, რომლის განმარტებითაც, გერმანელი მოსამართლეები, პოლიტიკოსები და უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დისციპლინარული სამართალწარმოება აშკარა კანონდარღვევაა.*

**„ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ ის, რასაც დღეს საქართველოში მოსამართლეებს ედავებიან, სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და ფაქტობრივი და ცოლ-ქმრული ურთიერთობის გათანაბრებაა“,** - აცხადებს მერაბ ტურავა.

მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე და სხვა მოსამართლეები გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდნენ და საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ. ისინი შეხვდნენ გერმანიის ბუნდესტაგის წევრებს, მოსამართლეთა ასოციაციისა და გერმანიის იუსტიცის სამინისტროს წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემები და „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის“ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსამართლეები გერმანიიდან კიდევ ერთი სიახლით დაბრუნდნენ - კანონის უზენაესობის დაცვის მიზნით, „მეამბოხე მოსამართლეები“ ახალ პროფესიულ გაერთიანებას აფუძნებენ.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ნინო გვენეტაძის განცხადებით, მათ მიერ დაფუძნებული ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელწოდებაა „სამართლის უზენაესობის საზოგადოებრივი ტრიბუნალი“.

მისი თქმით, ორგანიზაციის მთავარი მიზანია - საქართველოში დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის შექმნის ხელშეწყობა, კანონის უზენაესობის განმტკიცება, სამართლიანი კანონების დამკვიდრება და ამა თუ იმ სამართლებრივ ნორმებზე კომენტარების და სახელმძღვანელოების მომზადება. მუშაობის პერიოდში ორგანიზაცია მიმდინარე სასამართლო პროცესებზე და სხვა სამართლებრივ ღონისძიებებზე მოამზადებს საკუთარ დასკვნებს, რომლებსაც სარეკომენდაციო ხასიათი ექნება. ორგანიზაციის თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე იქნება, ორგანიზაციის წევრები კი - „მეამბოხე მოსამართლეები“ და ის იურისტები, ვისაც ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი გაუჩნდებათ. ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტაციები უკვე მომზადდა და მას უახლოეს ხანში რეგისტრაციაში გასატარებლად იუსტიციის სამინისტროს წარუდგენენ.

„სამართლის უზენაესობის საზოგადოებრივი ტრიბუნალი“ უახლოეს ხანში ფინანსების მოსაძიებლად დონორ ორგანიზაციებს მიმართავს.

ნინო გვენეტაძის ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია გაცილებით უფრო ვიწრო გაერთიანება იქნება, ვიდრე „მოსამართლეთა ასოციაცია“, რომელსაც, ასევე, ნინო გვენეტაძე თავმჯდომარეობს.

როგორც „მოსამართლეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში „მოსამართლეთა ასოციაცია“ არსებობს და მისი ფუნქცია მოსამართლეების ინტერესების დაცვაა, ვინაიდან, მას ხელმძღვანელობს ნინო გვენეტაძე, რომლის მიმართაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამართალწარმოება მიმდინარეობს, მოქმედი მოსამართლეები აღნიშნული ასოციაციის მომსახურებისგან თავს იკავებენ.

*24 საათი*

# ფალსიფიკაციის კიდევ ერთი ფაქტი

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ფალსიფიცირებული წამლების გაყიდვაში ეჭვმიტანილი თამილა სუხიშვილი დააკავეს. როგორც გაირკვა, სუხიშვილი ფალსიფიცირებულ წამლებს თამარ მეფის გამზირზე მდებარე აფთიაქებში აბარებდა.

ფინანსურმა პოლიციამ გუშინ, ღამით რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სუხიშვილის კუთვნილი აფთიაქიც დალუქა.

შეგახსენებთ, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარმა სამმართველომ გუშინწინ ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი - დავით იაკობიძე, გელა იაკობიძე, გიორგი დოლიძე და თეიმურაზ დეკანოზიშვილი დააკავა, რომლებიც 2003 წლიდან ფალსიფიცირებულ მედიკამენტებს ამზადებდნენ და ყიდდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილები „პრედუქტალს“, „პრედუქტალ მრ“-ს, „კლაციდს“, „იმუნოგლობულინს“, „დიაბეტონს“, „ციპრობაის“, „ციპრინოლს“, „კლარიტინს“, „კავინტონს“ და სხვა პრეპარატებს ამზადებდნენ, რომელთა რეალიზება ქვეყნის სხვადასხვა აფთიაქსა და ბაზრობაზე ხდებოდა.

გამოძიების ინფორმაციით, ფალსიფიცირებული მედიკამენტები ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისში, დავით იაკობიძის საცხოვრებელ სახლში მზადდებოდა, სადაც დამონტაჟებული იყო კუსტარული წესით დამზადებული დაზგა-დანადგარები, შესაფუთი მასალა კი შპს „პოლიექსპრესის“ სტამბაში იბეჭდებოდა.

დაკავებული პირების საცხოვრებელ სახლებში ჩატარდა ჩხრეკა, საიდანაც ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული მედიკამენტები და მათი დასამზადებელი დაზგა-დანადგარები.

*ინტერპრესნიუსი*




# ძველი სკოლის ახალი ამბები

*განათლების სფეროში გატარებული რეფორმების ერთ-ერთი რგოლი თბილისის ცენტრალურ სკოლებში 2005 წლის დასაწყისში ხელმძღვანელობების გადახალისება იყო. 32-წლიანი უცვლელი მმართველობის შემდეგ თბილისის პირველ სკოლასაც შეეცვალა დირექტორი და ამ გამორჩეული ტრადიციების სკოლის მართვა ქალბატონ ლელა წიქარიშვილს დაეკისრა. უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ.*

**- ქალბატონო ლელა, ალბათ, ძნელი უნდა იყოს, ამდენი ხნის მანძილზე ერთ ხელმძღვანელს დაქვემდებარებულ კოლექტივთან მოსვლა და მისი გულის მოგება...**

- იცით, კოლექტივის გულის მოგებაზე მე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თავად კოლექტივი იმდენად მობილიზებული და შეკრული დამხვდა - სწორედ იმ ზემოხსენებული მიზეზის გამო - რომ, პირიქით, ვფიქრობ, სრულიად უპრობლემოდ მოხდა ამ მთლიან ორგანიზმში ჩემი ჩართვა, და არა მხოლოდ ჩემი, როგორც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და მასწავლებლისა, არამედ ამ წლინახევრის განმავლობაში მოსული სხვა ახალი პედაგოგებისაც.

**- დღეს სკოლის დირექტორს უფრო მენეჯერობას სთხოვენ. თქვენ რამდენად ხართ მენეჯერი?**

- არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ დირექტორი მხოლოდ მენეჯერი უნდა იყოს. სკოლის დირექტორი მენეჯერიც უნდა იყოს, მასწავლებელიც და, ზოგადად, ეს მრავალფუნქციური და მრავალმხრივი მოხელე, უპირველესად, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ სკოლა, სასკოლო სივრცე ისეთ ადგილად აქციოს, სადაც ბავშვებს მოსვლა მოუხარიათ, რადგანაც აქ თავიანთი მისწრაფებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება შეუძლიათ; სადაც მასწავლებელი კომფორტულად გრძნობს თავს - საუბარია, ე.წ., საგნობრივ კომფორტულობაზე ანუ იმაზე, რომ მასწავლებლებს ხელი უნდა შეეწყოთ, თავიანთი პროფილის მიხედვით შექმნან და სრულყონ საგნის სასწავლებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ეფექტური მუშაობის საფუძველია; სადაც მშობელმა იცის, რომ მისი შვილი დაცულია. სკოლა, უწინარეს ყოვლისა, არის კულტურა, რასაც მენეჯერი აუცილებლად სჭირდება, მაგრამ ჯერ თვით შემოქმედმა უნდა იარსებოს, ხომ ასეა?



*ლელა წიქარიშვილი პირველსკოლური ბურთის მოდელით.*

**ლელა წიქარიშვილი:** **თბილისის პირველი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, XX-XXI საუკუნეების ქართული ლიტერატურის მკვლევარი (ჯავახიშვილი, რობაქიძე, ქიაჩელი...), აქვეყნებს ნაშრომებს სამეცნიერო კრებულებსა და პრესაში, სხვადასხვა დროს უმუშავია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის 51-ე, 6-ე, 53-ე სკოლებში, სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში, სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში. სტუდენტებისა და უფროსკლასელების გარდა ასწავლიდა პირველკლასელებსაც (და თვლის: ვისაც ეს გამოცდილება არ მიუღია, პედაგოგიურად ბევრი დაუკარგავს).**

**- თქვენს სკოლაში რა კეთდება საიმისოდ, რომ ბავშვებს სკოლაში მოუხაროდეთ?**

- ეს „მოუხაროდეთ“ კი მშვენიერი ზმნაა, მაგრამ სწავლის ძირის სიმწარის შესახებ, ალბათ, გსმენიათ. ჩვენს სკოლაში ბავშვებს, გარკვეულწილად, ჩემ მიერ შემოღებული საგანგებო სემესტრული გამოკითხვების წყალობით, ალბათ, უფრო მოეჩქარებათ: ყველამ, ვინც გაცდენების გამო საგნის საერთო საათობრიობის მესამედი გამოტოვა, გამოცდა უნდა ჩააბაროს ამ საგანში. ამ მეთოდში ჯერ კიდევ გვაქვს დეტალები დასახვეწი, მაგრამ იგი გამცდენლების მობილიზაციის გარდა იმ ხარვეზის გასწორებაშიც გვეხმარება, რაც მრავალმოსწავლიანი კლასების პირობებში უბრალოდ გარდაუვალია: მასწავლებლები ვერ ახერხებენ სასურველი სიხშირით ბავშვების გამოკითხვას. ჩვენ - დამრიგებელთან და საგნის მასწავლებელთან ერთად - ვსწავლობთ გაცდენა-გამოკითხვების სიხშირის საერთო სემესტრულ სურათს და ამის მიხედვით ვატარებთ ერთიან გამოკითხვებს. ეს მოსწავლეებს მოდუნების საშუალებას არ აძლევს, მათ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მშობლების პასუხისმგებლობასაც ამაღლებს.

გარდა ამისა, ვცდილობთ, აღსაზრდელებს მრავალმხრივი ესთეტიკური ინტერესები დავუკმაყოფილოთ. ჩვენს სკოლაში მოქმედებს სახვითი ხელოვნების წრე, საჭადრაკო წრე, ქართული ხალხური სიმღერების წრის დახმარებით 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება იგეგმება, მალე საესტრადო სიმღერების წრე საბავშვო ოპერას წარმოგვიდგენს, გვაქვს თეატრიც „ტაბულა რაზა“, სადაც სასწავლო წლის ბოლოს ჩვენი IX-X კლასელები რეიმონ კენოს „ზაზი მეტროში“-ს და რეზო ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებელს“ გვაჩვენებენ, XI კლასელები კი თეატრისგან დამოუკიდებლად რობაქიძის „ლამარას“ დგამენ. საერთოდ ჩვენი ყმაწვილების ამ დრამატულმა აღტყინებამ დაგვარწმუნა, რომ დრამა, როგორც საგანი, აუცილებლად უნდა გახდეს კურიკულუმის ნაწილი სწავლების მესამე საფეხურზე. ვფიქრობ, ბავშვების ენერგიის ეს პოზიტიურ-ესთეტიკური ხარჯვა შემოქმედებითი ცხოვრების ლაღ-ხალისიან განცდას დაამკვიდრებს სკოლაში და სკოლას სხვადასხვა და ასე მოძალებული ზედაპირული გასართობების სერიოზულ კონკურენტად აქცევს.

გვინდა რამდენიმე კლუბის დაარსებაც. აქტიურად მუშავდება იდეა მხარეთმცოდნეობის, ისტორიის, გეოგრაფიის კლუბებისა, რომლებიც ყმაწვილებს საშუალებას მისცემს, ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდეთ თავიანთი ქვეყნის ისტორიასთან და კულტურასთან, ცხადია, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დახმარებით.

ვფიქრობთ იმაზეც, რომ მოსმენის კულტურის დეფიციტის დასაძლევად პიანისტების მოწვევა დავიწყოთ კლასიკური მუსიკის საფორტეპიანო კონცერტებისთვის, რის საშუალებასაც ჩვენი სკოლის სალონური დარბაზი გვაძლევს. დღეს, როცა ყველაფერი ასე ძვირია და კიდევ უფრო ძვირდება - თეატრის ბილეთიც, წიგნიც და ა.შ. - რატომ არ უნდა გახადოს სკოლამ ხელმისაწვდომი კლასიკური ხელოვნება, თუკი ეს შესაძლებელია სკოლისთვის?!

**- ახლა დაახლოებით მესმის, რატომ ცდილობს ბავშვის მოყვანას ბევრი თქვენს, ე. წ., „ელიტარულ“ სკოლაში.**

- ამ შემთხვევაში შენობის, ადგილმდებარეობის, სახელის, ტრადიციის, ინერციის და კიდევ ბევრი რამის ფენომენი მუშაობს უფრო. არა მგონია, რომელიმე მშობელს გაუხარდეს ბავშვის მოყვანა სკოლაში, სადაც სპორტდარბაზი არ არის. თუმცა, ზოგიერთი მშობელი მზადაა, წელიც კი გააცდენინოს ბავშვს, ოღონდ პირველ სკოლაში მოიყვანოს იგი. პირველ სკოლას კი არ აბადია სპორტული დარბაზი, სადაც ბავშვების ფიზიკური ენერგია უნდა იხარჯებოდეს. თქვენ არ გინახავთ პირველსკოლელი ბავშვების ბურთები, რომლებიც უდარბაზობით „ტანჯულმა“ მათმა ფანტაზიამ გამოძერწა: ეს გახლავთ დამრგვალებული ქაღალდის მასა, წრიულად შეკრული სხვადასხვა ტიპის სკოჩ-საწებებლებით, რომელიც მთელი დასვენებების მანძილზე ფართო დერეფნებში გორავს, სანამ ნაგვად არ იქცევა და არ ჩაბარდება ქალბატონ თამარს - ჩვენს მრავლისმნახველ დამლაგებელს. მსგავსი რამ, ალბათ, იტალიურ ნეორეალისტურ ფილმებში თუა შემორჩენილი, ჩვენთვის კი ყოველდღიურობაა - 21-ე საუკუნის, ე.წ., „პრესტიჟულ“ სკოლაში. ამ პრობლემით მრავალ კარზე დავაკაკუნეთ და ქალაქის მამებისთვის ცნობილია ჩვენი სატკივარი. გვაქვს პრეზიდენტის ზეპირი დაპირებაც: ბავშვებს აუცილებლად ექნებათ სპორტული სივრცეო! თუ ეს პრობლემა ვერ მოწესრიგდა, სკოლა საგანმანათლებლო სტანდარტებს ვერ შეასრულებს. კიდევ უფრო სავალალოა ამ პრობლემის ფსიქო-ემოციური მხარე: ბავშვები იგონებენ სპორტის ახალ სახეობებს, ეს გახლავთ ჩხუბი, დავიდარაბა და ა. შ., ეს კი მოგეხსენებათ. სხეულის სიმრთელის საპირისპირო შედეგებს იძლევა.

**- ეგ ხომ სპორტდარბაზიანი სკოლების პრობლემაცაა, არა?**

- დიახ, დიახ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცენტრალური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ვერანაირ ექსცესს ვერ დავუშვებთ. სპორტის ზემოხსენებული „სახეობების“, ყველანაირი დარღვევისა და უმსგავსობის თავიდან ასაცილებლად, ასევე მოსწავლეთა და მშობელთა კორექტული საქციელისათვის ჩვენც - სხვა სკოლების დირექტორების მსგავსად - დავრწმუნდით, რომ აუცილებელი იყო დაცვის თანამშრომლების აყვანა. დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა გამოგვიყო ორი თანამშრომელი - ძალიან თავდადებული ახალგაზრდები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

**- ეს მაინც ზოგადად სკოლების, ასე ვთქვათ, ტექნიკური პრობლემებია და უშუალოდ გეხებათ როგორც დირექტორს. საინტერესოა თქვენი, როგორც ლიტერატორის, პრობლემები, აზრი და დაკვირვებები ლიტერატურის როლზე სკოლაში...**

- ლიტერატურის კვლევის იმპულსი ჩემთვის გაკვეთილია. მოსწავლეებისათვის მასალის გადაცემის და ინტერპრეტაციის პროცესში „შედგა“ არაერთი მიგნება, თუნდაც „ჯაყოს ხიზნების“ ფინალურ სცენაში შიო მღვიმელის სიმბოლური კავშირი 1924 წლის აჯანყებასთან, ან ლეო ქიაჩელის პერსონაჟების საერთო ხვედრი - წყლის წიაღში დაფვლა და ამ მოვლენის დაკავშირება თვით მწერლის ბიოგრაფიისა და საოჯახო ტრადიციის მოცემულობებთან. გაკვეთილი ჩემთვის ყოველთვის იყო შინაგანი მობილიზების, მოსწავლეებში ერთგვარი გადადინების პროცესი. საუკეთესო წუთები გაკვეთილისა მაგონებს ჰერმან ჰესეს პერსონაჟის - იოზეფ ქნეხტის გარდასახვასა და „გადასვლას“ მოსწავლეებში („Das Glasperlenspiel“).

გაბრიელა მისტრალს მიაჩნდა, რომ მასწავლებლის შრომა ღვთისმსახურების ტოლფასია. ამ შრომის საზღაურია, ალბათ, ის, რაც თვით მასწავლებელს ეძლევა - განცდა თანაგანცდისა და კვლევის გუმანი, ამდენად, ლიტერატურათმცოდნეობაზე საუბარი ჩემს შემთხვევაში სწავლა-სწავლების შესახებ საუბრით იწყება და მთავრდება.

შემდგომი კვლევებისათვის ამჯერად მინდა, „დავაგროვო“ ინფორმაცია მრავალი არხიდან, მრავალგვარი ტექსტიდან (მხატვრული, პუბლიცისტიკა, მემუარისტიკა, პოლიტ. პროცესები, თეორიული ნაშრომები, თეოლოგია). კვლევის ამგვარ სინთეზურ მეთოდს შედარებით მარტივი ოპერაციების ფარგლებში უკვე ვიყენებდი, თუმცა, მიმაჩნია, რომ კიდევ მაქვს რესურსები ამ მხრივ, გაკვეთილი კი უმთავრესი, საბაზო რესურსია. ყოველი მიგნება იწყება გაკვეთილიდან და მიიქცევა გაკვეთილად. სხვაგვარად ზემოხსენებული „დაგროვება“ მშრალი და უსიცოცხლო იქნება.

ლიტერატურათმცოდნეობა და თავად ლიტერატურა მოითხოვს მაღალი კულტურის მკითხველს. კითხვის არცოდნა დღესდღეობით, უკურნებელი სენივითაა მოდებული ბავშვებში. კითხვა ყველგან უჭირთ, მაგრამ ევროპელებსა და ამერიკელებს თავიანთი კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების კლავიატურები, ათასნაირი წარწერა და კიდევ ბევრი რამ მაინც გაახსენებთ თავიანთ ლათინურ შრიფტს, ჩვენს ანბანს კი ერთობ წამგებიანი მდგომარეობა აქვს. თუ ასე გაგრძელდა, ამ 21-ე საუკუნეში შეიძლება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება გახდეს საჭირო. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ცდას არ ვაკლებთ: შეძლებისდაგვარად ვავსებთ ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდს, ვთანამშრომლობთ გამომცემლობებთან: წიგნის გავრცელების სააგენტოსთან, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“, ყველაზე აქტიურად კი „დიოგენესთან“, რომლის ინიციატივითაც ჩვენმა ბავშვებმა ამას წინათ ერთი დღე შვედეთში „გაატარეს“ - ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებების ილუსტრაციების გამოფენა, პერსონაჟების კოსტიუმების (გვყავდა დაახლოებით 27 პეპი) ჩვენება-დეფილე, უფროსკლასელთა ვიქტორინა, შვედურ-ქართული ჰანგები, რაც დიოგენეს საჩუქრებმა და პრიზებმა დააგვირგვინა. შვედეთის საპატიო კონსული აღფრთოვანებული წავიდა ამ ღონისძიებიდან და ბავშვებიც ძალიან ნასიამოვნებნი ჩანდნენ.

**- ეს, ალბათ, უფროსებსაც არ აწყენდათ, თორემ განზე დაგვრჩება სულიერ-ინტელექტუალური სიღრმე და სანუკვარ უცხოეთში უკვე განგრენასავით მოდებული ზედაპირულობა გადაგვიტანს.**

- გეთანხმებით.

*ესაუბრა: **მზია იაშვილი***



*პირველი სკოლის თეატრის „ტაბულა რაზას“ წევრები.*


SMS-ჰოროსკოპი

შეხვდით მოულოდნელობას მომზადებული




ყოველ დილას მიიღეთ ასტროლოგიური პროგნოზი!

თუ დღის ასტროლოგიური პროგნოზის მისაღებად ყოველდღე რეკავდით შესაბამის ნომერზე, ამიერიდან შეძლებთ ერთი ზარით შეუკვეთოთ თვის ან წლის ინფორმაცია, რომელსაც დილის საათებში მიიღებთ. ტარიფი შეღავათიანია:

დღის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 12 თეთრი
თვის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 1 ლარი
წლის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 10 ლარი

თვის ან წლის ინფორმაციის გამოსაწერად მობილურზე აკრიფეთ:

44300171, თქვენი დაბადების თვე და რიცხვი (მაგ: 5 იანვარი ჩაიწერება, როგორც 0105) და OK.

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთი MAGTI GSM



## აფიშა

### 24 მაისი

**თეატრი**

თავისუფალი თეატრი
„აჩრდილები“
დასაწყისი: 19.00

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
„გიულიჰჰ...“
რეჟისორი გიორგი თავაძე
დასაწყისი: 19.00

**მუსიკა**

**დიდი საკონცეტო დარბაზი**
ბუბა კიკაბიძის კონცერტი
„თბილისელებს გაუმარჯოს“
დასაწყისი: 19.00

**კინო**

**„ახმეტელი“**
„დიდი გასეირნება“
დასაწყისი: 14:30; 16:00
„და ვინჩის კოდი“
დასაწყისი: 17:30; 21:00

**„რუსთაველი“**
„და ვინჩის კოდი“
დასაწყისი: 13:00; 16:00; 1900; 22:00:

**გალერეა**

**„კოპალა“**
ქართული კინოპლაკატის გამოფენა

**„ქარვასლა“**
ბორის რომანოვსკის გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა

**„ორიენტი“**
თანამედროვე ტიხრული მინანქარი

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა
ფერწერა

# სტუმრად საკუთარ სამშობლოში

**კონფერენცია „ქართული დიასპორა - ხიდი მსოფლიოსთან“ ქართულ დიასპორებს უმასპინძლებს**

ია ვეკუა




საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს სამშობლოს ფარგლებს მიღმა მცხოვრები ქართველებიც აღნიშნავენ, თუმცა სამშობლოში - საკუთარ თანამემამულეებთან ერთად. მათ ამის საშუალება 25-დან 27 მაისის ჩათვლით კონფერენციაზე „ქართული დიასპორა - ხიდი მსოფლიოსთან“ მიეცემათ. სწორედ, ამ დღეების განმავლობაში შევძლებთ, მეტი გავიგოთ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში არსებული ქართული დიასპორების შესახებ, ისინი კი კიდევ ერთხელ ესტუმრებიან საკუთარ სამშობლოს.

კონფერენციის ჩატარების იდეა ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ“ პრეზიდენტ გიული ალასანიასა და დიასპორების ხელშემწყობი ფონდის „კრედოს“ ხელმძღვანელ ბესარიონ ხვინთელიანს ეკუთვნის. მისი მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, კონფერენციის ჩატარებაში აქტიურად არიან ჩართული საქართველის საგარეო საქმეთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები. ასევე მონაწილეობენ განათლების, კულტურის, ჯანდაცვის სამინისტროები და თბილისის სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტები.

კონფერენციას დაახლოებით 120 სტუმარი ეწვევა. მათ შორის, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, თურქეთიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და ისრაელიდან. როგორც კონფერენციის ორგანიზატორები აცხადებენ, მონაწილეთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება, ხოლო ჩამოსვლის მსურველთა რიცხვი იმაზე მეტია, ვიდრე კონფერენცია შეუძლია უმასპინძლოს.

ქართული დიასპორების წევრთა მონაწილეობა მხოლოდ კონფერენციაზე დასწრებით არ შემოიფარგლება. მათი უმეტესობა მოხსენებებს წაიკითხავს, რომელშიც თანმიმდევრულად აღწერენ დიასპორების ცხოვრებას. მოხსენებები თითქმის ყველა საკითხს შეეხება: ქართული დიასპორების ზოგად მდგომარეობას, მათ მიღწევებსა და პერსპექტივებს, ახალი ურთიერთობების განვითარებას, გაცვლით პროგრამებს საგანმანათლებლო სფეროში, ბიზნეს და კულტურულ ურთიერთობებს, ტურისტულ პროგრამებს, მედიცინის სფეროს და სოფლის მეურნეობას. ასევე განიხილავენ წინადადებებსა და ახალ პროექტებს.

„დიასპორებთან მუშაობა ძალიან ფაქიზი თემაა. ჩვენი მოვალეობა მხოლოდ მათი პრობლემების მოსმენა არ არის, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ დაივიწყონ და არ მოსწყდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. უნდა იცოდნენ, რა ხდება საქართველოში, რითი სუნთქავს მათი ქვეყანა“, - აღნიშნა გიული ალასანიამ.

ამის საშუალებას კონფერენციის სტუმრებს ის პროგრამა სთავაზობს, რომელიც სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება: კონფერენცია 25 მაისს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიხსნება. მონაწილეებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე (პატრიარქი მონაწილეებს თავის რეზიდენციაშიც მიიღებს), გიული ალასანია, ბესარიონ ხვინთელიანი, ვალერი ჩეჩელაშვილი, გიორგი ხევიაშვილი, ალექსანდრე ლომაია, გიორგი გაბაშვილი და სხვა მონაწილეები მიესალმებიან.

ამავე დღეს გაიმართება ჟურნალ „დიასპორა-დიალოგის“ პრეზენტაცია. ჟურნალი რამდენიმე ქვეყანაში არსებული ქართული დიასპორის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ასევე მოკლედ მიმოიხილავს ფესტივალ „ჩვენებურებს“, რომელიც ასევე „ასოციაცია ქართული კულტურა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ“ მიერაა ორგანიზებული. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ფესტივალი შარშან შემოდგომაზე მეორედ გაიმართა.

26 მაისი კონფერენციის მონაწილეთათვის კულტურული ღონისძიებებითაა დატვირთული. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე დასწრების შემდეგ სტუმრები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გადაინაცვლებენ, სადაც ქართულ ნაციონალურ ბალეტთან მოუწევთ შეხვედრა. ანსამბლი „სუხიშვილები“ მაყურებელს ტრადიციულ და ახალ პროგრამას შესთავაზებს. კულტურული პროგრამა საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლებს, სადაც კონკურს „პატრინოტის“ დასკვნითი კონცერტია დაგეგმილი.

კონფერენციის საქმიანი ნაწილი 27 მაისს „ქორთიარდ მარიოტში“, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტებში გაგრძელდება. პროგრამა ვრცელი და შინაარსობრივია, ამიტომ მისი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებთ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ დღე სასიამოვნო ღონისძიებით - ქართული ღვინის საღამოთი დასრულდება.

# გამოფენა ლონდონში - „საქართველო ღვინის სამშობლოა“

ვინოპოლისი ღვინის ქალაქია, რომელსაც ლონდონში მდინარე ტემზის სანაპიროზე 10 ათასი კვ.მ უჭირავს. ეს განსაკუთრებული ტურისტული ატრაქციონია. აქ მნახველები სრულ ინფორმაციას იღებენ ღვინის წარმოშობის ისტორიაზე, მისი დამზადების ტექნოლოგიისა და მეღვინეობის განვითარებაზე. ღვინის სადეგუსტაციო დარბაზებთან ერთად წარმოდგენილია ღვინის ინდუსტრიაში წამყვანი ქვეყნების საექსპოზიციო დარბაზები. დღეისათვის ლონდონში ვინოპოლისი სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ადგილია, აქ ძალიან ხშირად ცნობილი კომპანიები მართავენ მიღებებს. ვინოპოლისში ცხოვრება გვიან ღამემდე გრძელდება.

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძალისხმევით მომზადდა ექსპოზიცია „საქართველო ღვინის სამშობლოა“. გამოფენა განთავსებულია სწორედ იმ დარბაზში, საიდანაც იწყება ვინოპოლისის საექსკურსიო ტური.**

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოში უძველესი ღვინის კულტურის დამადასტურებელი არქეოლოგიური ნივთების ასლები, ფოტოები, ბანერები და ა.შ. დამონტაჟდა ახალი პლაზმური და სენსორული ეკრანები, სადაც განთავსებულია ინფორმაცია არა მხოლოდ ღვინოზე, არამედ საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე.

დღეს ექსპოზიციას საზეიმოდ გახსნის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. გამოფენას წარუძღვება ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

## ორი სიტყვით

### „ალუბლობა 2006“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ხელოვნება“ აცხადებს მოზარდთა ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსს „ალუბლობა 2006“. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 13-19 წლის მოზარდებს.

მონაწილეობის მსურველთათვის მაღაზიებში „პარნასი“, „წიგნის სახლი“, „ლიტერატურული კაფე“ და „სანტა ესპერანსა“ გაიხსნა სპეციალური საფოსტო ყუთები, საიდანაც კონკურსანტებს ნამუშევრების გაგზავნა შეეძლებათ. გამარჯვებულს სპეციალური ჟიური გამოავლენს. საუკეთესო ნაწარმოებები გამოიცემა კრებულად „ალუბლობა 2006“.

### ფოტოგამოფენა

სოჭში გაიხსნა ფოტოგრაფ ვლადიმერ პოპოვის გამოფენა „რუსი ცისფერჩაფხუტიანები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 118 ფოტო, რომელიც ფოტოგრაფმა 12 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს გადაიღო.

„პოპოვი პროფესიონალი ფოტოგრაფია, რომელმაც ათასობით სამშვიდობო და ცისფერჩაფხუტიანი აღბეჭდა ფირზე“, - განაცხადა დსთ-ს კოლექტიური ძალების კომენდანტმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სერგეი ჩაბანმა.

მისი თქმით, დღეისთვის აფხაზეთში გაცილებით უფრო ნორმალური მდგომარეობაა, ვიდრე გასულ წელს. „არსებობს მოსაზრება, რომ სამშვიდობო მისია უნდა შეწყდეს, მაგრამ მე ამას მხარს არ ვუჭერ“, - აცხადებს ჩაბანი.

გამოფენის გახსნას ესწრებოდა თვითაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომლის შეფასებით, გამოფენას უდიდესი დატვირთვა აქვს.

„ჩვენ გვესმის, რომ სამშვიდობოები სტაბილურობის გარანტიაა. ომის წინააღმდეგი ვართ, ამიტომ სამშვიდობო კონტინგენტის შენარჩუნება საჭიროდ მიგვაჩნია“, - განაცხადა შამბამ.

### ახალი დოკუმენტური ფილმი

უახლოეს მომავალში მაყურებელი იხილავს რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ახალ ქართულ დოკუმენტურ ფილმს „თანამედროვე ხაშმონაელებს“, რომელიც ისტორიულ სინამდვილეს ეფუძნება. სურათი მოგვითხრობს იმ ქართველი ებრაელების შესახებ, რომელთაც 1969 წელს წერილი მისწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, რომ საკუთარ მიწაზე დაებრუნებინათ. წერილს რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც 1970 წელს ქართველმა ებრაელებმა შიმშილობა დაიწყეს. ამ ნაბიჯით ქართველმა ებრაელობამ გზა გაუხსნა ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების პროცესს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეიერმა იმთავითვე აღიარა, 18 ქართველი ებრაელის წერილი რომ არა, ისრაელში ებრაელთა რეპატრიაცია არ მოხდებოდაო.

„თანამეროვე ხაშმონაელების“ იდეისა და სცენარისა ავტორია გურამ ბათიაშვილი, ოპერატორი - დავით გუჯაბიძე.

ეს არ არის რეჟისორის პირველი ფილმი ებრაელების თაობაზე. მასვე ეკუთვნის დოკუმენტური სურათი „დაგვიანებული კადიში“, რომელშიც არიელ შარონის საქართველოსთან ურთიერთობაა ასახული. შარონის მშობლები თბილისში დაქორწინდნენ.

### გალაკტიონის ახალი გამოცემა

თბილისის ლიტერატურის მუზეუმი საზოგადოებას წარუდგენს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ახალ გამოცემას. 25-ტომეული მუზეუმის დირექტორის იზა ორჯონიკიძის რედაქტორობით მზადდება. პირველ ეტაპზე საზოგადოება ახალი გამოცემის 13 ტომს გაეცნობა, რომელშიც გალაკტიონის ლექსები და პოემა შევიდა.

გალაკტიონის 25-ტომეულში პოეტის შემოქმედების მხოლოდ ის ნიმუშები შევიდა, რომელიც ლიტერატურის მუზეუმშია დაცული.

მუზეუმის ხელმძღვანელების განცხადებით, ახალი გამოცემა მათი ინიციატივითა და ავტორობით მომზადდა. საჭირო ფინანსები კი გია ჯოხთაბერიძისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მხარდაჭერით, თბილისის მერიამ გაიღო.

### კავკასიელ მხატვართა გამოფენა

მოსკოვში გაიხსნა კავკასიელ მხატვართა გამოფენა CAVCASUS, რომელზეც ქართველი მხატვრების ნამუშევრებს საქართველოს ხელოვნების ეროვნული ცენტრი წარმოადგენს. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ეს მოსკოვში კავკასიელი მხატვრების პირველი გამოფენაა. ვერნისაჟზე 30 კავკასიელი მხატვრის 100-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი. დამთვალიერებელი იხილავს ფერწერის, ფოტოგრაფიისა და ვიდეოარტის ნაწარმოებებს.

როგორც გამოფენის ორგანიზატორები აცხადებენ, წარმოდგენილი ნამუშევრები კავკასიის რეგიონის ერთობლიობასა და თითოეული ქვეყნის თვითმყოფადობას წარმოაჩენს.

ღონისძიება რუსეთის ფედერაციის მასობრივი კომუნიკაციებისა და კულტურის სამინისტროს, თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრის, კულტურისა და კინემატროგრაფიის ფედერალური სააგენტოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) კულტურის სამინისტროების მხარდაჭერით მიმდინარეობს. ვერნისაჟი 28 მაისს დაიხურება.

**გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** საქართველოში „საქართველოს 500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ლოკალური კომპიუტერული ქსელების შექმნისა და პერსონალის ტრენინგების" პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შიგა კომპიუტერული ქსელის მოსაწყობად საჭირო ქსელის საინსტალაციო მოწყობილობებისა და მასალების შესაძენად.

**დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ-ბვერდზე www.undp.org.ge**

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.
სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.
განვადება უპროცენტოა.
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**



# 40 ათასი

გუშინ ლესელიძის ბაღთან კლუბ „ტაძარი“-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე საქართველოს იმ ისტორიული ძეგლების ფოტოები გამოფინეს, რომლებიც აღდგენასა და რესტავრაციას საჭიროებენ. საქართველოს ტერიტორიაზე 40 ათასზე მეტი ძველი ციხე და ეკლესიაა აღრიცხული. ამ მოცულობის მემკვიდრეობის მოვლა და პოპულარიზაცია მხოლოდ ხელისუფლების რესურსებით შეუძლებელია. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ თვით მოსახლეობამ გამოიჩინოს აქტიურობა და თავად იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლაზე.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა ზვიად მჭედლიშვილმა აღნიშნა, კლუბის მიზანი ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმაა. კლუბის წევრები ცდილობენ პოპულარიზაცია გაუწიონ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და ტრადიციული ფასეულობების დაცვას, ასევე, ხელი შეუწყონ ქვეყნის კულტურულ-ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და სათანადო ბაზის შექმნას კულტურული და ეკოტურიზმის განვითარებისთვის.



ბესო გულაშვილის ფოტო

*ღონისძიების სტუმარ-გულშემატკივრები: გია ბუღაძე, ზაალ სამადაშვილი და გოჩა ცქიტიშვილი.*

პირველ ეტაპზე, კლუბის მიზანს ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ქსელის და მენეჯმენტის შექმნა, მისი პროფესიული კადრებით დაკომპლექტება და სხვადასხვა ფენის მხარდაჭერის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

კლუბი მოიაზრება, როგორც Umbrella-ს ორგანიზაცია, რომელშიც საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე ორიენტირებული ისეთი კლუბები გაერთიანდებიან, რომლებიც მიმართულნი იქნებიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებაზე, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე და ა.შ

კლუბის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე დაიგეგმა 14 პროექტი. პროექტებში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ამჯერად პროექტები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება.

კლუბ „ტაძარში“ გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა.

# ნიუ იორკი - გადასაღები მოედანი

ამერიკის კინოინდუსტრიამ ხშირად იცის ხოლმე ქალაქების ამოჩემება. ყველაზე ხშირად ამოჩემებული ქალაქი ლოს ანჯელესია ხოლმე - ჰოლივუდის ადგილმდებარეობის გამო, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადია, პირველობა ლოს ანჯელესს ნიუ იორკმა წაართვა. შესაბამისად, მანჰეტენსა თუ ბრუკლინში სულ უფრო ხშირად იპყრობენ გამვლელის თვალს სახელდახელოდ მოწყობილი გადასაღები მოედნები, უზარმაზარი ტრაილერები, პროჟექტორები, რუპორები...

დასტურად იმ ფილმების სიას გადახედეთ, რომლებიც სულ ბოლოს გადაიღეს ან მომავალში უნდა გადაიღონ ნიუ იორკში: „აგვისტოს ცხელება“ (რობინ ვილიამსი), Pride and Glory (კოლინ ფარელი), Perfect Stranger (ბრუს უილისი), „ჩე“ (ბენისიო დელ ტორო), „ამერიკელი განგსტერი“ (რასელ ქროუ), „მაიქლ ქლეიტონი“ (ჯორჯ ქლუნი) და „ძიძის დღიურები“ (სკარლეტ იოჰანსონი).

ასე რომ, მართლაც ბევრი რამეა მას შემდეგ შეცვლილი, რაც 1958 წელს ფილმისთვის Stage Struck სიდნეი ლუმიემ მანქანის საქარე ფანჯრიდან თაიმს სქვერი გადაიღო; ან მას შემდეგ, რაც ფილმისთვის Fail Safe (1964 წ.) მან ქუჩის მოცეკვავეები აღბეჭდა ფირზე. დღეს ლუმიე იხსენებს: „ამ მოცეკვავეებს მეათე ავენიუსა და 54-ე ქუჩის გადაკვეთაზე შევხვდი, იქ, სადაც ზაფხულობით პუერტო რიკოელები ისხდნენ ხოლმე კიბეებზე. ძალიან ცოტა ფული გვქონდა ფილმის გადასაღებად“.

ახლა კი ის მოკრძალება, რაც ლუმიეს გადაღებებს ახლდა თან, სადღაც გაქრა. გადაღებების გამო ახლა ნიუ იორკის რამდენიმე ქუჩას ერთდროულად კეტავენ





ხოლმე. თაიმს სკვერი - ნარკოდილერების, მეძავების და ღარიბი მსახიობების არენა - ახლა მიკი მაუსის სამფლობელოდ იქცა. იმ ქუჩებზე კი, სადაც სასტიკი ბანდა „ჰელზ ქიჩენი“ დაძრწოდა, ახლა მდიდრული რესტორნები და სტუდიებია გახსნილი.

ამ ცვლილებებს ქალაქს ყველაზე უკეთ სიდნეი ლუმიე ამჩნევს - კაცი, რომელიც მანჰეტენის ქვედა აღმოსავლეთ მხარეს დაიბადა. „ბავშვობაში ვერც კი გავბედავდი ირლანდიური ან იტალიური კვარტლებისკენ გასეირნებას, ისინიც ვერ დადიოდნენ ჩვენს - ებრაელების - ქუჩებზე. ეს დრო წარსულს ჩაბარდა, ახლა ამ უბანში სეირნობაც, ცხოვრებაც და გართობაც ძალიან მოდური რამეა“.

საერთოდ, მოდურ ადგილად იქცა მთელი მანჰეტენი. ეს შეიძლება თვითონ ნიუ იორკელებს ძალიან მოსწონთ, მაგრამ კინორეჟისორები, რომლებიც ნიუ იორკს თავისი უნიკალური ხასიათის გამო ეტანებოდნენ, ასე არ ფიქრობენ. მწერალი ჯეიმს სანდერსი ამბობს: „ამერიკული ქალაქები თანდათან ნიუ იორკს დაემსგავსნენ, ნიუ იორკი კი დანარჩენი ამერიკასავით გახდა“.

მკვლევარი დევიდ ტომსონი კი დასძენს: „ქალაქში უამრავი ცვლილება მოხდა. 70-იანებში გამოსულ ფილმებში ნიუ იორკს აშკარად გრძნობ; ხვდები, რომ ეს არის თავგადასავლების ქალაქი, სახიფათო, სახალისო, ჯაზური“. - ახლა ეს განცდა სადღაც გაქრა.

ვერც პოლ მაზურსკი - ბრუკლინში დაბადებული რეჟისორი ფილმებისა „შემდეგი გაჩერება, გრინვიჩ ვილიჯი“ (1976 წ.) და „დაუქორწინებელი ქალი“ (1978 წ.) - იხსენებს ბოლო დროს გადაღებულ კარგ ნიუ იორკულ ფილმს. პრობლემის საწყისი კი ის არის, რომ რეჟისორები ნიუ იორკში ნიუ იორკის ნამდვილი სახის აღსაბეჭდად არც ჩამოდიან. მათთვის ნიუ იორკი უბრალოდ კომფორტული ადგილია გადასაღებად - დიდი სტუდიებითა და შემცირებული გადასახადებით. ამიტომ ბოლო დროს ნიუ იორკში ისეთ ფილმებსაც იღებენ, როგორებისთვისაც სულ ერთია, სად განვითარდება მოვლენები - ტორონტოში თუ ნიუ იორკში.

თუმცა, ცხადია, არის გამონაკლისებიც. ძველი ნიუ იორკელი რეჟისორები, პირველ რიგში კი, სპაიკ ლი კვლავაც იღებენ ისეთ ფილმებს, ნიუ იორკს რომ შეეფერება. ლის ბოლო ფილმში Inside Man ზუსტად ეს ცოდნა ჩანს - ქალაქის ინტიმური დეტალების ცოდნა.

მსგავსი ბუნებრივი დეტალებითაა სავსე დამოუკიდებელი რეჟისორების ფილმებიც. ჯონ კასავეტესის დროიდან დაწყებული ხომ ასეთები ნიუ იორკში უხვად მუშაობენ (1959 წელს კასავეტესმა ნიუ იორკში გადაიღო თავისი პირველი ფილმი „ჩრდილები“). ნოა ბაუმბახი და დილან კიდი ხან ნევროზიან საქმოსან ნიუ იორკელებს აღწერენ, ხანაც დამწყებ მხატვრებს.

ასე რომ, ნიუ იორკი კვლავაც ნიუ იორკად რჩება. მთავარია, რეჟისორებმა მისი დამახასიათებელი ნიშნების მოძიება ისწავლონ და გაიხსენონ ის, რომ ნიუ იორკს იმის პოტენციალიც აქვს, რომ ფილმში თვითონ შეასრულოს მთავარი როლი.

# აღსარება

მადონა 47 წლის ქალია. დამსახურებული ბრიტანელი რეჟისორის მეუღლე. ორი შვილის დედა. პოპულარული საბავშვო წიგნების ავტორი.

ესეც მადონას ბიოგრაფიაა, მაგრამ ის ფაქტები და განსაზღვრებები, რისთვისაც მადონა პოპის დედოფლად აღიარეს, მისი ბიოგრაფიის სულ სხვა ნაწილში იმალება. სკანდალური, ავხორცი, ირონიული - აი, სინამდვილეში იმ განსაზღვრებების მცირე ჩამონათვალი, რომელთა გამოც მადონამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. და თუ ბოლო პერიოდში მადონა მხოლოდ დედისა და მწერლის იმიჯით ჩნდებოდა საზოგადოებაში, ეს მხოლოდ კარგად გათვლილი ინტრიგა გახლდათ. ორი დღის წინ ის შოუბიზნესს კვლავაც ძველი მანტიით დაუბრუნდა. 47 წლის ასაკშიც, ლოს ანჯელესის სცენაზე გამოჩენილი პოპდედოფალი ისეთივე ავხორცი და არაპროგნოზირებადი იყო, როგორც „საწოლში მადონასთან“.

მისი „აღსარება“ მართლაც გულწრფელი გამოდგა. მადონამ ყველაფრის გახსენება გადაწყვიტა და ლოს ანჯელესელი მსმენელის წინაშე ჯვარზეც დაეკიდა, პრეზიდენტ ბუშსაც მიაყენა შეურაცხყოფა და ის სექსუალური ილეთებიც გაიხსენა, 20 წლის განმავლობაში უხვად რომ იყენებდა სცენაზე.

ტურნე „აღსარება“ ორი თვის განმავლობაში ამერიკას მოივლის. 30 ივლისს უელსში გადმოინაცვლებს და შემდეგ ხუთი კვირის განმავლობაში რვა ევროპული ქალაქის სტადიონს მოედება. სექტემბრის შუა რიცხვებისთვის შოუ უკვე იაპონიაში გაგრძელდება.



ლოს ანჯელესში კი კონცერტი 50 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ბოლოს, როგორც იქნა, უზარმაზარი შუშის ბურთი ჭერიდან პოდიუმზე ჩამოსრიალდა და იქედან მადონა გადმოხტა ახალი სიმღერით Future Lovers. მის უკან ოთხი მკერდმოშიშვლებული ბიჭი ცეკვავდა. მადონაც საოცრად ენერგიული ჩანდა.

შემდეგ, როცა ბალადას Live to Tell ასრულებდა სარკეებიანი უზარმაზარი ჯვრიდან ისკუპა, გიგანტურ ვიდეომონიტორებზე კი აჩვენებდნენ კადრებს მესამე სამყაროს ღატაკი ქვეყნების შესახებ, შიგადაშიგ კი - ციფრებსა და სტატისტიკას.

ორსაათიანი შოუს განმავლობაში მადონამ ხუთჯერ მაინც გამოიცვალა კოსტიუმი, ერთ-ერთ გამოცვლაზე მონიტორებზე ბუშის და მისი ადმინისტრაციისა და ტონი ბლერის იმიჯებს ადოლფ ჰიტლერის, ოსამა ბინ ლადენის და ზიმბაბვეს პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს გამოსახულებები ენაცვლებოდა. შემდეგ კი, როცა მადონა ახალ სიმღერას I Love New York ასრულებდა, სცენარს გადაუხვია და ბუში ორალური სექსის კონტექსტში მოიხსენია. ეს რომ არ ჩავთვალოთ, კვირას გამართულ კონცერტზე მადონა პუბლიკას თითქმის არ დალაპარაკებია; იმდენად იყო გართული ღამის კლუბის საცეკვაო სტილში გადაწყვეტილი ნომრებით, რომელთა გამართვაშიც მომღერალს 15 მოცეკვავე, 4 მუსიკოსი და სამ ბექვოკალისტი ეხმარებოდა. მადონა სიმღერის პარალელურად ასრულებდა თითქმის ყველა რთულ ქორეოგრაფიულ ილეთს, რასაც მისი მოცეკვავე ბიჭები, თუმცა ეს ლამის აკრობატული ილეთები მის ხმას ვერაფერს აკლებდა.

ბოლო ნომრად მადონამ Lucky Star და ახალი ჰიტი - Hung Up შეასრულა. მართალია, არ ყოფილა მომღერლის ბისზე მეორედ გამოძახება, მაგრამ პუბლიკა მაინც ნასიამოვნები დაიშალა.

ჟურნალ „ბილბორდის“ ვარაუდით კი, ბილეთების გაყიდვების საერთო ჯამი შეიძლება 200 მილიონი დოლარიც იყოს და თუ მართლაც ასე მოხდა - „აღსარება“ გახდა ქალი შემსრულებლის მიერ ჩატარებული ყველაზე წარმატებული ტურნე. ჯერჯერობით კი ამ რეკორდს შერი ფლობს. 2002 წლის ივნისში ჩატარებული გამოსამშვიდობებელი ტურნეს ფარგლებში მან 273 შოუ ჩაატარა და 192.5 მილიონი დოლარი მოიგო. შერისგან განსხვავებით კი მადონამ სულ 60 კონცერტი უნდა გამართოს. თუმცა, სხვაობაა ბილეთის ფასშიც - მადონას კონცერტებზე დასწრება, როგორც წესი, ძვირი ღირს ხოლმე - ამერიკაში თითო ბილეთში ხანდახან 380 დოლარსაც იხდიან.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრებით მეტისთვის მიგვიღწევია

*სოხუმის რაიონის სოფელ შრომის მკვიდრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „დიასპორების ხელშემწყობი ფონდი - კრედო“ და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ცენტრი „რწმენა“-ს დამაარსებელი და პრეზიდენტი, ბატონი ბესარიონ ხვინთელიანი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ გვესაუბრება.*

ლელა მარგიანი

ბესარიონ ხვინთელიანი: „როდესაც საქართველოსთვის იძულებით, დროებით ჩამოცილებული ტერიტორიების დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, თითოეულ ჩვენგანს აუცილებლად თვალწინ დაუდგება უსამართლობა, ორმაგი სტანდარტები პოლიტიკაში, ჩვენი ხალხის მიერ გადატანილი უბედურება და ტრაგედია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეც, ისევე როგორც აფხაზეთის ბევრ მკვიდრს, თანაკლასელები, მეგობრები, უახლოესი ნათესავები დაგვეღუპა, ამ ურთიერთდაპირისპირებაში, მიმაჩნია, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, შესაძლებლობის ფარგლებში, თავი უნდა შევიკავოთ მომხდარი ტრაგედიის ეპიზოდების წინა პლანზე წამოწევისაგან. უფრო მეტად კონფლიქტის მოწესრიგებასა და სამომავლო გეგმებზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ სულ გაჩუმებაც არ შეიძლება და ვერც ვერავინ შეძლებს.

**- თქვენ, როგორც ქართველს, როგორც აფხაზეთის მკვიდრს, რა დამოკიდებულება გაქვთ ჩვენი საერთო ისტორიის მიმართ?**

- თავს უფლებას მივცემ, მცირედ შევეხო ქართველების, აფხაზებისა და ოსების ისტორიისა და დამოუკიდებლობის სპეციფიკურ საკითხებს. უამისოდ ალოგიკური იქნება და ვაკუუმი დარჩება კონფლიქტების მოგვარების ნებისმიერ გეგმასა და კონცეფციაში.

ჩვენ და აფხაზმა ხალხმა უნდა გავიგოთ, რომ აფხაზეთის საკითხი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი კუთხის პრობლემა. ეს საკითხი საქართველომ თუ ვერ მოაგვარა, მაშინვე აგორდება პრობლემების ისეთი ტალღა, რომელიც განაპირობებს როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის ისეთ დამარცხებას, როგორიც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არც ერთს არ განუცდია.

საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და აფხაზებს ერთად თანაცხოვრებით უფრო მეტისთვის მიგვიღწევია, ვიდრე ურთიერთშუღლით. ამიტომ, როგორადაც არ უნდა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს, მაინც ერთად ცხოვრების ფორმები და საშუალებები უნდა მოვძებნოთ.

აფხაზებმაც უნდა იცოდნენ, რომ ისინი აფხაზეთიდან ქართველებს ვერ განდევნიან და ქართველებმაც - რომ აფხაზეთიდან აფხაზებს ვერ განდევნიან. რაც მოხდა ჩვენს შორის, ეს ისეთივე ტრაგედიაა ქართველებისთვის, როგორც აფხაზებისთვის. დღეს იქნება თუ ხვალ, აფხაზეთი დაუბრუნდება დედა საქართველოს. ეს ისტორიული პროცესის გარდუვალი შედეგია.

აფხაზეთში ქართველობა და აფხაზობა ერთად ცხოვრობდა იმ დღიდან, რაც მიწის ეს მონაკვეთი გაჩნდა. ასე იქნება ეს მომავალშიც. ოსებთან დაკავშირებით სხვა მდგომარეობაა, განსხვავებული სპეციფიურობა.

ქართველი ხალხი არასდროს ჩაგრავდა აფხაზებს. აფხაზეთში მაქსიმალური პირობები იყო შექმნილი აფხაზური კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. უფრო მეტიც, აფხაზეთში სწორედ აფხაზები იყვნენ დომინირებულ პოზიციაში.

**- იმთავითვე გათვლილი იყო, რომ საბჭოთა საქართველოში არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნებს „შენელებული ნაღმების“ ფუნქცია უნდა შეესრულებინათ?**

- გეთანხმებით. უფრო მეტიც, ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერსად იპოვით განმარტებას, თუ როდის, როგორ, რა პირობებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიის უფლება. ყველა საბჭოთა ავტონომია შექმნილია იმდროინდელი მმართველების გუნება-განწყობის შესაბამისად, რასაც საფუძვლად პოლიტიკური მიზანი ედო. ეს მიზანი სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკაში სხვადასხვა იყო.

საქართველოში ავტონომიებს მართლაც ჰქონდათ „შენელებული ნაღმის“ ფუნქცია და ისინი სწორედ მაშინ აფეთქდა, როდესაც ეს მესამე მხარეს დასჭირდა.

ამიტომ, რა კანონის, რა წესის შესაბამისად მიიღეს ოსებმა საქართველოში ავტონომიური ოლქის სტატუსი, ამას ვერავინ გეტყვით. რისი უფლება აქვთ ოსებს? ცხადია, მათ აქვთ შეუზღუდავი უფლება ყველა იმ დემოკრატიულ უფლებასა და თავისუფლებაზე, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო ნორმები. აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება, ანუ დაიცვან ოსური ენა, მწიგნობრობა, ზნე-ჩვეულებები, და ა.შ. ამ უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას, საქართველოს კონსტიტუციის გარდა, ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაც იძლევა.

აშკარა უკანონობაა, უფრო მეტიც, საქართველოს ტერიტორიის მითვისების ცდაა ჩრდილოეთ ოსეთთან შიდა ქართლის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) მიერთების მოთხოვნა. ერთიან „კავკასიის ქედზე ხურჯინივით გადაკიდებული ოსეთი“ არასდროს არსებულა და არც იარსებებს, იმიტომ, რომ არაბუნებრივი მოვლენაა. ჩრდილოეთ კავკასიონი საქართველოს ბუნებრივი საზღვარია. რაც მის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, ის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია.

**- ისევ აფხაზეთს რომ დავუბრუნდეთ, თქვენ, როგორც დევნილების პრობლემებზე მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრსა და დამფუძნებელს, როგორ გესახებათ არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დიპლომატიის როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში?**

- როდესაც საუბარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, საკითხი აუცილებლად მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული და, ვფიქრობ, იგი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: ტერიტორიის დაბრუნება, ამ ტერიტორიაზე თვისობრივად ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, მკვიდრი ხალხის - დევნილების ყოველნაირი მომზადება, მათი მზადყოფნის უზრუნველყოფა.

ჩვენი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთი მოღვაწეობა უნდა წარმართონ ჯანსაღი, ობიექტური საზოგადოებრივი აზრის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. უნდა შევეცადოთ, ხელი შევუწყოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ლიბერალიზაციას, განსაკუთრებით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უნდა გავაფართოოთ ძალისხმევა დევნილი მოსახლეობის ცოდნის, პროფესიონალიზმისა და ინტელექტის ასამაღლებლად. აღვადგინოთ და განვავითაროთ კულტურა, ხელოვნება, თეატრი, მწერლობა. ყველა ღონე ვიხმაროთ დევნილი სამეცნიერო კადრების შენარჩუნებისათვის და ნიჭიერი დევნილი ახალგაზრდების სწავლის დასაფინანსებლად.

კიდევ ერთი ისეთი სატკივარის შესახებ, რომელზეც ყველანი ვერიდებით საუბარს, მაგრამ ისეთი წმენდის დროს, რომელიც ახალი ხელმძღვანელობის წყალობით დღეს მკვიდრდება საქართველოში, აუცილებლად უნდა ითქვას ამ ნამდვილი უბედურების შესახებ: ნუ დავმალავთ იმას, რომ ცალმხრივმა პროპაგანდამ დაჯაბნა ქართული ცნობიერება. მასში მტკივნეულად არის ჩანერგილი, რომ მისი სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებნი ქართველები არ არიან, რომ ისინი სხვა ხალხია. საქართველოს ერთიანობისათვის მთავარი, გადამწყვეტი ძალა კი სწორედ ეროვნული ცნობიერება, შეგნება იყო და არის. და თუ ეს დაინგრა, წაიბილწება ყველაფერი და ვერაფერს მივაღწევთ.

ვერაფერს მივაღწევთ იმ შემთხვევაშიც, თუ არ ალმოიფხვრება საზოგადოების ნაწილში დამკვიდრებული ნიჰილიზმი და გულგრილობა სამშობლოში არსებული მდგომარეობის მიმართ, აქ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მისმა მძლავრმა ბერკეტმა - სახალხო დიპლომატიამ.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ სახალხო დიპლომატიის კუთხით თქვენ კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებებიც გაქვთ. თუ შეიძლება, მათ შესახებ გვიამბეთ.**

- ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია პროგრამების მომზადება სწორედ სახალხო დიპლომატიის კუთხით, კონფლიქტის მხარეების შესარიგებლად. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება რუსეთში ამჟამად მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს. აფხაზეთი აუცილებლად დაბრუნდება საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში, ამიტომ, ქართველებთან ერთად ამისთვის აფხაზებიც უნდა იყონ მზად.

მივმართავ საქართველოს სატელევიზიო არხების ხელმძღვანელებს, რომ წარმომადგენლობასა და ფონდ „კრედოსთან“ ერთობლივად შეიქმნას სატელევიზიო რუბრიკა „დიასპორა“. ჩვენი ფონდი უზრუნველყოფს საჭირო საინფორმაციო მასალების მიწოდებას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რუბრიკის მუშაობაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აღნიშნულმა საზოგადოებრივმა სტრუქტურამ უნდა იკისროს: რუსეთში საქართველოსა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთავარი საინფორმაციო ცენტრის როლი. დროის დაკარგვა გამორიცხულია, რადგან რუსეთში მყოფი, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. „წარმომადგენლობა“, საკმაო ხანია, აქტიურად მუშაობს საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკის გასატარებლად. საქართველოს ხელისუფლებას ამ კუთხით, დევნილების როლი საერთოდ არ გაუთვალისწინებია. აუცილებელია, რომ ჩვენ ეს ვაკუუმიც შევავსოთ.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# აფხაზეთში შეწყვეტილი ქართული სიმღერის ბედი

ნატო კორსანტია



ზღვაც მონატრებიათ და სცენაზე გამოსვლაც. ერთსაც და მეორესაც სულ სხვა ხიბლი ექნებოდა სოხუმში. ახლა კი ბათუმში იყვნენ, აჭარის რევოლუციის ორი წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე გამოდიოდნენ და ამ ფაქტს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა: აქედან სოხუმამდე, ყველა თვალსაზრისით, ბევრად უფრო მცირე მანძილია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (მინისტრი: ალექსანდრე აპლაკოვი) ამ კონცერტზე სოხუმელი კომპოზიტორისა და მომღერლის ია მაისაიასა და აფხაზეთის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „დიოსკურიას“ შემადგენლობით წარდგა. ია მაისაიამ თავისივე შექმნილი მშვენიერი სიმღერა „აფხაზეთო, დაბრუნებამდის“ ჩვეული გადამდები ემოციით შეასრულა. ანსამბლი „დიოსკურია“ კი სცენაზე გაცვეთილი ჩოხებითა და განახლებული რეპერტუარით გამოვიდა: ანსამბლს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს - სოხუმში აღიარებული და ბოლო წლებში უცხოეთში მოღვაწე მუსიკოსი გურამ ყურაშვილი. „დიოსკურიას“ ამჟამად კურირებს აფხაზეთის ა\რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე სალომე კაპანაძე.

მაღალპროფესიული შემოქმედებითი კოლექტივებით განებივრებულ ბათუმელ მაყურებელს ტაში არც აფხაზეთიდან დევნილ ხელოვანთათვის დანანებია. ხელოვანთათვის, რომლებიც, მიუხედავად ათასგვარი პრობლემისა, დღემდე ახერხებენ, თუნდაც მოკრძალებული სიტყვა თქვან ქართული კულტურის განვითარების გზაზე. თვით ამ ანსამბლის ისტორია აფხაზეთში წლების განმავლობაში ქართული სულიერების გადარჩენისათვის მიმდინარე ბრძოლის ნაწილია. ამდენად, არც დღეს იქნებოდა უინტერესო ყოველივე ამის გახსენება. მით უმეტეს, რომ „დიოსკურიას“, მატერიალური თვალსაზრისით, არც გამოღმა ულხინს.

მტერი დიდი ხნის მანძილზე გვეცილებოდა აფხაზეთს, თანდათან გვართმევდა მას. ქართველის ნაკვალევის წაშლა, მისი კულტურის ამოკვეთა უნდოდა ამ ძირძველი მიწიდან, ქართული ხმების და ქართული სიმღერის დადუმებაც ეწადა. კარგად შეესწავლა, რომ ქართულ სიმღერას განუმეორებელ ძალას მასში არეკლილი ერის ბედ-იღბალი ანიჭებს. ხოლო ამგვარი სიმღერით დამუხტული ქართველი კაცი კი სასწაულმოქმედი ხდება.

იყო დრო, როცა აფხაზები და ქართველები ქართულ და აფხაზურ სიმღერებს ერთად მღეროდნენ, ქართულ და აფხაზურ ცეკვებს ერთად ცეკვავდნენ და წარმატებებითაც ერთად ხარობდნენ.

აფხაზეთში ექსტრემიზმის მომძლავრებასთან ერთად გაუჭირდა ქართულ სიმღერასა და ცეკვასაც. გასული საუკუნის 70-იან წლებში ისინი თითქმის მთლიანად გააძევეს აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარიდან. დიდი პოლიტიკური თამაშის ასპარეზად ქცეულ აფხაზეთში აფხაზების უმეტესობისთვის უმოწყალოდ დაეხშოთ ქართული ხმისა და სიმღერის აღსაქმელი ყური.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. აფხაზეთის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები თბილისს ჩამოვიდნენ და ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელ პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს შესჩივლეს, აფხაზეთი ხელიდან გვეცლებაო.

1976 წელს სოხუმში ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, მუსიკათმცოდნე და გამორჩეული პიროვნება გივი ორჯონიკიძე ჩავიდა. მეხივით გავარდა მისი ჩასვლის ამბავი სოხუმში.

გივი ორჯონიკიძე ზღვის სანაპიროსთან მდებარე კომპოზიტორთა სახლ „ლილეში“ დაბინავდა. სოხუმელ ქართველ ხელოვანებთან დიალოგიც იმაზე, რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ, იქ შედგა. იმ დროისთვის სოხუმში ოთხი სახელმწიფო ანსამბლი არსებობდა: სიმღერისა და ცეკვის, სახელმწიფო კაპელა, ცეკვის ანსამბლი „შარატინი“, ანსამბლი „გუნდა“, და მათგან არც ერთი არ იყო ქართული. ყველა მათგანს სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი ჰქონდა, ამდენად, კიდევ ერთი სახელმწიფო ანსამბლის შექმნა მეტისმეტი იქნებოდა. ამიტომაც გადაწყდა, შეექმნათ ინტერნაციონალური გუნდი ქართველი, აფხაზი, სომეხი, რუსი მომღერლების შემადგენლობით და ინტერნაციონალურივე რეპერტუარით, რომელთა შორის იქნებოდა ქართული „წინწყარო“ და „ოდოია“, როდიონ შჩედრინის სიმღერები, აფხაზური, სომხური, თქვენ წარმოიდგინეთ, ზანგური მელოდიებიც კი. გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა ვეზდენ ოკუჯავა - აფხაზეთში ცნობილი ფოლკლორისტის სერაფიონ ოკუჯავას შვილი.

გუნდი შეუკედლეს რკინიგზის კულტურის სახლს, რომელიც სამტრედიას ექვემდებარებოდა და, შესაბამისად, დაფინანსებაც აფხაზების სახვეწარი არ იქნებოდა. გუნდში 72 წევრი (36 ქალი და 36 კაცი) ერთი დაძახებისთანავე შეიკრიბა. მომზადდა რეპერტუარი და წლისთავზე ისევ ეწვია სოხუმს გივი ორჯონიკიძე სულხან ცინცაძის, ჯანსულ კახიძისა და სხვა ცნობილი მუსიკოსების თანხლებით. კონცერტმა სტუმართა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ერთხმად გადაწყვიტეს, გუნდისთვის თბილისს მოესმინა. თუმცა, მავანთა ფარული თუ აშკარა ჩარევის გამო, მაშინ იმ გუნდის თბილისში გამგზავრება ვერ მოხერხდა.

... აფხაზეთის ინტერნაციონალური გუნდის კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დარბაზში მხოლოდ 1983 წლის დეკემბერში შედგა. ცნობილი ქართველი მუსიკოსები ცრემლმორეულნი კითხულობდნენ: ეს ყველაფერი როდის და როგორ მოასწარითო. მაშინ საქვეყნოდ ითქვა, რომ გუნდს სახელმწიფო ანსამბლის სტატუსს ერთ კვირაში მიანიჭებდნენ.

გავიდა ერთი კვირა... ერთი თვე... არსად ჩანდა შეპირებული სტატუსი. დუმდა აფხაზეთის კულტურის სამინისტრო. გაზაფხულზე გივი ორჯონიკიძე სოხუმში ჩავიდა და გუნდის წევრებს გაენდო, რომ ეს დუმილი არც თბილისში მოსწონდათ.

მეორე დღეს გუნდის წევრები კომპოზიტორთა სახლ „ლილეში“ დილის 10 საათიდან შუადღის 14 საათამდე ელოდნენ ადლეიბასთან მოსალაპარაკებლად წასულ გივი ორჯონიკიძეს. თვალებაცრემლებული მობრუნებულა იქიდან გივი ორჯონიკიძე, არაფერი გამოვიდა და არც გამოვაო.

ბრძოლამ შედეგი მხოლოდ 10 წლის შემდეგ გამოიღო. 1989 წლის 17 სექტემბერს აფხაზეთის ინტერნაციონალურ გუნდს სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა. იგი უკვე ქართველების „საკუთრება“ იყო და მალე მას აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი შეერქვა. ანსამბლმა ამიერიდან ქართულად გაშალა ფრთები, რომელიც მას აფხაზეთის ომმა შეაკვეცა. ფრონტის ხაზს მიაშურა ანსამბლის წევრთა ნაწილმაც, რომელთაგან ორმა - მაცი ქირიამ და ნუგზარ მილორავამ იქ დაასრულეს სიცოცხლე.

ენგურს გამოღმა გამოძევებულმა ანსამბლის წევრებმა მოგვიანებით ერთმანეთი თბილისში მოიძიეს და შეეცადნენ, გაწყვეტილი სიმღერები გაეგრძელებინათ, ისევ შეეწყოთ ერთმანეთისთვის განსაცდელგამოვლილი ხმები. ანსამბლის ხელმძღვანელი ისევ ვეზდენ ოკუჯავა გახდა, მისი ძმა ვიტალი კი - ანსამბლის დირიჟორი (ანსამბლის ამჟამინდელი დირიჟორია დათო ოკუჯავა. ნ.კ.)

ამ პერიოდს უკავშირდება ანსამბლის შემოქმედებითი წარმატებები და აღიარება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. საფრანგეთსა და შვეიცარიაში გამართულ მსოფლიოს ხალხთა კულტურის ფესტივალზე ანსამბლმა „დიოსკურიამ“ ფესტივალის ორივე გრან-პრი: „ოქროს ნაჯახი“ და „ოქროს ვერძი“ მოიპოვა. და ეს იმ დროს, როცა ამ ფესტივალზე საკუთარ კულტურას მსოფლიოს 22 ქვეყანა წარმოადგენდა.

- ბერძნებმა ოქროს ვერძი თქვენგან წამოიღეს, თქვენ კი უკანვე მიგაქვთ, - უხუმრია კიდეც ჟიურის ერთ-ერთ წევრს.

მაშინ მათ აღფრთოვანებული მსმენელების თხოვნით ეკლესიებშიც იგალობეს. ქართული საგალობლებით მოხიბლული ადამიანები იდგნენ და არ იშლებოდნენ თურმე: ვინ არიან და საიდან მოსულანო... სამწუხაროდ, უმეტესობამ არც იცოდა, სად იყო საქართველო, მით უმეტეს, აფხაზეთი.

ამას მოჰყვა აღიარებები პოლონეთში, მოსკოვში, უნგრეთში... ბევრგან უკვირდათ, რა აკავშირებდათ ერთმანეთთან აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს და ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. ცხადი იყო, ქართულ სიმღერასა და ცეკვას პოლიტიკური ელფერი დასდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც თავისებურად იბრძოდა აფხაზეთისთვის, რომელსაც ის ახლა მსოფლიოს თავისი ხელოვნებით აცნობდა.

მერე ისე მოხდა, რომ ანსამბლ „დიოსკურიას“ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისა და წარმატებების ხაზი გაწყდა. ანსამბლი თანდათან მოდუნდა, ინერციით სვლას დანებდა, მის წევრებს ჩოხა-ახალუხებიც შემოაცვდათ.

ინერციის დაძლევას კი დრო დასჭირდა, დრო და ანსამბლში ახალი ხელმძღვანელობისა და ახალი წევრების მოსვლა. როგორც ამ წერილის შესავალშიც ვთქვით, ეს პროცესი უკვე დაიწყო, რეპეტიციებიც გახშირდა, გაჩნდა იმედი, რომ ქართული კულტურის შენარჩუნება-განვითარებაში „დიოსკურიაც“ თავის სიტყვას იტყვის და აფხაზეთშიც, თუ ღმერთმა არ გაგვწირა, ახალი ინტონაციებით დამუხტული ქართული სიმღერით დავბრუნდებით. მანამდე კი, აფხაზეთიდან დევნილ შემოქმედთ კონკრეტული მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა არ დავკარგოთ ის მაინც, რაც აფხაზეთში დიდი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა და დღემდე შემოგვრჩა.

# ჩვენ ყოველთვის მზად ვართ

*გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ზაიცევთან.*

**- 15 წელია, აფხაზეთი საქართველოს მხრიდან ფაქტობრივ ბლოკადაში იმყოფება. თქვენი აზრით, როგორია საქართველოსთან ახალი შეტაკების ალბათობა?**

- ალბათობის გათვლა პოლიტიკოსების საქმეა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ. სამხედრო ფორმიანმა ხალხმა იცის, რომ, ადრე თუ გვიან, ომი იქნება. ჩვენი ძალისხმევა საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისკენ არის მიმართული. ჩვენ გავხსენით სოხუმის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. მუდმივად მოქმედებს ოფიცრის კურსები. აფხაზური არმია შეიქმნა მოხალისეებისაგან და ბევრმა სამხედრომ სერჟანტობა და ოფიცრობა ომის დროს მიიღო. ახლა კი ყველა სწავლობს. ჩვენ საბრძოლო მზადყოფნისათვის ყველაფერს ვაკეთებთ.

**- თბილისიდან იგრძნობა, რომ აფხაზეთის დაბრუნების ძალისმიერი ვარიანტი, პრაქტიკულად, გარდუვალია. როგორ შეაფასებდით სავარაუდო მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობებს?**

- მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, რა თქმა უნდა, ჩამოვრჩებით. 300 ათასს 3 მილიონთან ვერ შეადარებ. შესაბამისად, მოწინააღმდეგეს შეუძლია, ორჯერ მეტი მებრძოლი შეაიარაღოს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვემზადებით თავდაცვისთვის და არა თავდასხმისთვის. ეს კი ბევრ საკითხს ამარტივებს. ადგილმდებარეობა თავდაცვისთვის ძალიან ხელსაყრელია. უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს ფაქტორი და ასევე მოსახლეობის განწყობილება, რომ აფხაზეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი. ჩვენ გვაქვს რეზერვი. რეზერვისტებს სახლებში აქვთ იარაღი და ხალხი პირველივე სიგნალზე გამოვა. ჩვენ ბევრი ბრიგადა გვყავს და ყოველ მათგანთან წელიწადში ერთხელ მაინც სავალდებულოა სწავლების ჩატარება. ბოლო სწავლებაზე 4 ათასი ადამიანი ვავარჯიშეთ. პატარა აფხაზეთისთვის ეს საკმაოდ დიდი ციფრია. ბოლო ეტაპმა გვაჩვენა, რომ ნაწილებს შორის ურთიერთქმედება მოწოდების სიმაღლეზეა.

**- ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქართული არმია გაძლიერდა. მასიურად ყიდულობენ საარტილერიო დანადგარებს. ამას ითვალისწინებთ? რა კონტრარგუმენტებს ამზადებენ აფხაზი სამხედროები იმ შემთხვევისთვის, თუ სავარაუდო მოწინააღმდეგე არტილერიისა და ავიაციის გამოყენებას მასიურად დაიწყებს?**




ანატოლი ზაიცევი.

- ჩვენ ყველაფერს ვითვალისწინებთ. აი, ჩემს წინაშეა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, მათი ნაწილების მუდმივი დისლოკაციის პუნქტები. როგორც სამხედრო ადამიანმა, თქვენ იცით, რომ დაცვის ხაზის გარღვევისთვის საჭიროა ფრონტის 1 კილომეტრზე 80 საარტილერიო დანადგარის მობილიზება მაინც. მათ ეს საშუალება არ გააჩნიათ. იყვნენ უგუნურები და კიდევ იყიდონ უკრაინისგან ტანკები - T-64, რომლებსაც სსრკ-ს სახელმწიფო კომისია ექსპლოატაციაში არ იღებდა, მაგრამ აიძულეს. მაშინ მე პოლკის მეთაური ვიყავი და ვიტანჯებოდი ამ ტანკების გამო. ჩემთან მუდმივად იმყოფებოდნენ ხარკოვის ქარხნის წარმომადგენლები ძრავის შესაკეთებლად და ლენინგრადის ქარხნის წარმომადგენლები შეიარაღების სისტემის მოსაწესრიგებლად. უხეშად რომ ვთქვათ, ამ ტანკს „კუვალდა“ კარგად რომ მოვარტყათ, მწყობრიდან გამოვიყვანთ. ეს იმის ნიშნავს, რომ ქართველებს ხეირიანი სპეციალისტებიც კი არ ჰყავთ და არ იციან, რა უნდა იყიდონ.

ძლიერი თავდასხმითი პოტენციალი მათ არ გააჩნიათ. სამაგიეროდ, აქვთ მრავალი პრობლემა. ჩვენი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2,8 მილიონია. აქედან ერთი მილიონი - სომხები და აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც საომრად არ წამოვლენ. კიდევ ერთი მომენტი, მათ სენაკში ააშენეს ყაზარმები, რომლებიც ცარიელია. ის, რომ გასულ წელს დამატებითი მობილიზება გააკეთეს, ზღვაში წვეთია. მათ ჰყავთ დიდი რაოდენობით დეზერტირი, საბრძოლო სულისკვეთება კი არა აქვთ. გარკვეული ძალები ჰყავთ, მაგრამ წარმატებული შეტევისთვის ეს საკმარისი არ არის. მათ კარგად იციან, რომ დიდი დანაკლისი ექნებათ. ვფიქრობ, იქ პოლიტიკოსებს ესმით, რომ ზედმეტი ხალხი არ ჰყავთ. მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც ვინმეს დაეპყროს. ეს შეიძლება გაგრძელდეს დიდი-დიდი 5 წელი და მერე ყველაფერი გაქცევით დამთავრდება. ჩვენი ხალხი იარაღს არ დაყრის. მან გაიგო თავისუფლების გემო და იწვნია ნაციონალური ჩაგვრის სიმწარე.

**- აფხაზეთში უკვე გაიზარდა ახალი თაობა, რომელსაც ეს არ უგრძვნია. მათ აქვთ მოტივაცია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა დაიცვან?**

- ჩვენს სამხედრო სასწავლებელში ერთ ადგილზე 4 ადამიანი მოდის. ბიჭები გულმოდგინედ სწავლობენ. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კურსანტი გავრიცხეთ. ასეთი მონაცემები დსთ-ში არ არის. ჩვენ ვიყვანთ ობლებს, რომლებმაც მამები ომში დაკარგეს, და მათ სრულყოფილ სამხედრო სპეციალობებს ვაძლევთ. კიდევ ერთი მაჩვენებელი - მშობლების დამოკიდებულება. ზოგი გვსაყვედურობს, რომ მათ შვილებს ხშირ-ხშირად ვუშვებთ შინ. ცხადია, დეზერტირები ჩვენთანაც არიან, მაგრამ ძალიან მცირე პროცენტია.

**- ესენი დეზერტირები არიან, თუ ისინი, ვინც საერთოდ არიდებს თავს ჯარში სამსახურს?**

- სამხედრო სამსახურს თავს ვერავინ აარიდებს, ყველას ვპოულობთ. არიან ისეთები, რომლებიც რუსეთში სწავლობენ. ჩვენთან ხომ მოსახლეობის 80 პროცენტს რუსეთის პასპორტები აქვს.

**- თქვენ, სხვასთან ერთად, პარტიზანული ომის ვარიანტს განიხილავთ. ამისთვის ინფრასტრუქტურას ამზადებთ? რეზერვები და სათადარიგო ბაზები იქმნება?**

- ეს საიდუმლო ინფორმაციაა. ჩვენ ტერიტორიის დატოვებას კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ ვაწარმოოთ თავდაცვითი ოპერაციები. მაგრამ თუ რომელიმე უკან დავიხევთ, იმის რეზერვები გვაქვს, რომ შეტევაც განვახორციელოთ.

**- საქართველოში პრეზიდენტმა საკუთრივ გაუწია რეკლამა ჯარში ქალების გაწვევას. აფხაზეთშიც ხომ არ ფიქრობენ ამაზე?**

- ოფიცრების, პროპორშიკების და კონტრაქტით მომსახურეთა 10 პროცენტი ქალები არიან. ესენია მედიცინის მუშაკები, მბეჭდავები, ბუღალტრები, მდივნები, ფსიქოლოგები, მზარეულები. საბრძოლო საქმიანობის წარმმართველ თანამდებობებზე ჯერ არც ერთი ქალი არაა. გვყავს ერთი თანამებრძოლი ქალი მთაში, სპეცდანიშნულების რაზმში. 32 კგ გირას, როგორც ბურთს, ისე ისვრის. სხვები შტაბში მუშაობენ. საიდუმლო განყოფილების უფროსი, მაიორი ერმოლოვა ომის დროს იბრძოდა კიდეც. ასევე იბრძოდნენ მაიორი სიმონია, მაიორი ხოლიჩი, რომელიც დაჯილდოებულია ლეონის ორდენით. ასეთი მაგალითები ბევრია.

**- როგორ დაიცავს აფხაზეთი თავის საზღვაო საზღვარს?**

- მთელ სანაპიროზე გვიდგას ბატარეა. გვაქვს საკმაო რაოდენობის ჭურვიც. ერთ-ერთი სწავლების დროს ოჩამჩირის საარტილერიო დანადგარიდან გაანადგურეს სამიზნე, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე იმყოფებოდა. ეს ეფექტური იარაღია. ამ ქვემეხებით დაცულია ყველა რაიონი. დამატებით სხვა საარტილერიო სისტემებიც გვაქვს. ჩვენ შევქმენით სატყვიამფრქვევო-საარტილერიო დივიზიები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ჩაენაცვლებიან.

ბერძნულმა დიასპორამ აფხაზეთს რამდენიმე სწრაფმავალი კატერი აჩუქა, რომლებზეც ჩვენ დავამონტაჟეთ უმართავი რეაქტიული დანადგარი „ზუ-23“ და ქვემეხები. ბრძოლაში თამამად შეგვიძლია ჩავერთოთ. ტორპედოები ჩვენ არ გვაქვს, ეს ნაკლია, მაგრამ ქართველებსაც მხოლოდ ერთი ტორპედო აქვთ.

ჩვენ შეგვიძლია სამიზნეს დაზიანება 15 კილომეტრზე. ეს საკმაოდ ბევრია.

**- გალის რაიონიდან მუდამ მოდის შეტყობინება ბანდიტური თავდასხმების შესახებ. როგორია თქვენი პროგნოზი?**

- იქ, ჯერჯერობით, იჭერენ ჩვეულებრივ ბანდიტებს და არა დივერსანტებს. დივერსია, ფაქტობრივად, ომის გამოცხადებას ნიშნავს. აქამდე საქართველოს მთავრობა ჯერ არ მისულა.

**- როგორ არ მისულა, თუ თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი ამაყად აცხადებს, რომ სამი ღამე აფხაზეთის ტყეებში გაატარა?**

- კოდორის ხეობას სვანები აკონტროლებენ. იქ ზაფხულობით ქართველები თავის პოსტებს დგამენ. მათ მოპირდაპირე მხარეს ჩვენ ვდგამთ პოსტებს და ასე ვუყურებთ ერთმანეთს. შეთანხმებისამებრ, იქ დაფრინავს მათი სამგზავრო თვითმფრინავი „ან-2“. იქ ხალხი ცხოვრობს, სამი სკოლაა. იქ ღამის გათევა და სვანებთან შეხვედრა პრობლემა არაა. გალის რაიონში ის არ ყოფილა. ამ ტერიტორიას ჩვენ ვაკონტროლებთ.

ამჯერად გალის რაიონში 5-10 კაციანი ბანდები მოქმედებენ და ხალხს მანდარინსა და თხილს ართმევენ. ესენი, ძირითადად, ქართული ბანდები არიან. შეთანხმებისამებრ გალის ტერიტორიაზე ჩვენ შეიარაღებული ძალები არ გვყავს, იქ სამშვიდობოები და ჩვენი მესაზღვრეები დგანან.

ზაფხულის პერიოდში დამატებით პოსტებს დავაწესებთ და საზღვარს მთლიანად ჩავკეტავთ. ქართველებს გალში არავინ ავიწროებს. უფრო მეტიც, ქართველები მსახურობენ აფხაზურ არმიაში და ამას შეგნებით აკეთებენ.

**- აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მთავარი ძალა რაშია?**

- მთავარი დამრტყმელი ძალა განისაზღვრება შეტევითი ოპერაციების დროს. ჩვენს შემთხვევაში მთელი ხალხის იმედი გვაქვს, ყველაზე მეტად კი - რეზერვისტების, გამოცდილი მამაკაცების. სატანკო ნაწილებში 40 წლის რეზერვისტები ასპროცენტიან შედეგს აჩვენებენ. რეზერვისტები აფხაზური არმიის საფუძველი და იმედია.

**- აფხაზურ არმიას ჰყავს სპეცდანიშნულების რაზმები, მათ შორის - სამთო. როგორ არის ის მომზადებული?**

- მათ სპეციფიკური მომზადება გაიარეს. შეიარაღებაში აქვთ 82 მმ-იანი ყუმბარმტყორცნები. ისინი საბჭოთა სპეცრაზმის პროგრამით ემზადებიან. მებრძოლები მომენტალურად რეაგირებენ სამიზნეზე და აზიანებენ მათ დანით თუ იარაღით. ვასწავლით ასაფეთქებელი ნივთიერებების დაყენებას, უხმოდ გადაადგილებას, ურთიერთდაცვას და ა.შ.

**- სნაიპერების მომზადება როგორ მიმდინარეობს?**

- ჩვენ გვყავს ოფიცერი - მთავარი სნაიპერი, რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატია. მას მიჰყავს შეკრებები და ამზადებს სნაიპერებს. ომის დროს ის ლეონის ორდენით დააჯილდოვეს. ჩვენ „დშკ“-დან გავაკეთეთ შაშხანები, რომლებიც ჯავშანს 1,5 კილომეტრში ხვრეტენ.

(24) საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ამერიკელები Ferrari-ს იწუნებენ



## კომუნიკაციების ქართულ ბაზარზე "ტელეკომინვესტი" გამოჩნდა

B3

## მთავრობა გლეხებს მიწის გადასახადის დავალიანების დაფარვას სთხოვს

## საფონდო ბირჟაზე 443 ათასი ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა

| | [illegible] | min/max [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] (□/□) | [illegible] (□ □□□) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 1.600 / 1.600 | 1.600 | - | 1,800 | 2,880.00 |
| | 18 | 12.900 / 12.900 | 12.900 | 0.033(0.26%) | 16,427 | 211,908.30 |
| | 1 | 2.500 / 2.500 | 2.500 | 1.466(141.78%) | 33,295 | 83,237.50 |
| | 6 | 1.500 / 1.900 | 1.750 | - | 60 | 105.00 |
| | 5 | 1.000 / 1.000 | 1.000 | 0.88(733.33%) | 17,823 | 17,823.00 |
| UTB | 21 | 27.000 / 27.000 | 27.000 | - | 235[illegible] | 6,34[illegible] |

B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3462 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9996 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4905 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8010 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8402 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1750 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3082 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3124 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2970 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4685 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3463 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1995 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1599 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3729 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1969 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2514 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4021 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6016 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2865 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6810 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3706 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2947 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5809 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6051 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0665 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1328 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4118 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5595 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4759 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5841 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8684 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2286 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1481 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4419 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2455 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4817 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0812 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2245 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2323 |




# "ბორჯომი" ახალ ბაზრებს იპყრობს

### ქართულ მინერალურ წყალზე მოთხოვნა ყოველ წელს 50 პროცენტით იზრდება

მარიამ ჭაჭვაძე

*ამ დღეებში "ბორჯომს" რამდენიმე ქვეყანაში პირველად დალევენ. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" - GG&MW Co.N.V. - საკუთარი პროდუქცია ერთდროულად რამდენიმე ახალ ბაზარზე გააქვს. მოხდება თუ არა რუსული ბაზრის სხვა სახელმწიფოებით ჩანაცვლება და რა პერსპექტივა არსებობს ამ ქვეყანაში "ბორჯომის" დასაბრუნებლად? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათს" კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა კიკვაძე ესაუბრა.*

- **კომპანიის ინტენსიურმა მუშაობამ, ბაზრების დივერსიფიკაციის კუთხით, თავისი კონკრეტული შედეგი გამოიღო და "ბორჯომით" დატვირთული პირველი ვაგონები ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და მონღოლეთში უკვე გადაიტვირთა.**
- **ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ტერიტორიებზე GG&MW Co.N.V.-ის პროდუქციის რეალიზაცია შეუფერხებლად მიმდინარეობს.**
- **ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ, კანადა, საბერძნეთი, ისრაელი და სხვა. აღნიშნულ ქვეყნებში "ბორჯომი", ბოლო რამდენიმე წელია, წარმატებით იყიდება.**


ზაზა კიკვაძე.

B2

# მთავრობა 5 მილიონ ევროდ კახელი გლეხის პრობლემის მოგვარებას გეგმავს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*მთავრობამ საშემოდგომოდ კახელი გლეხის პრობლემის მოსაგვარებლად ზრუნვა წინასწარ დაიწყო. "რთველი 2006" რომ წარმატებულად განხორციელდეს, ფინანსთა სამინისტრომ, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, რუსულ-ქართულ კომპანია "ქართულ პროდუქტებს" სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.*

**კომპანიამ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო აგარაში ვაშლის წვენის კონცენტრატის დამზადება და ამ დროისათვის მისი ნაწარმი სხავადასხვა ქვეყნებში იყიდება. სწორედ ასეთი გამოცდილების გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კომპანია "ქართული პროდუქტები" 5 მილიონ ევროიანი პროექტით, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე დააფინანსა.**


ანატოლი ილჩენკო.

B2

# უძრავი ქონების საბროკერო მომსახურება – მსოფლიო ბაზარზე გამოკვეთილად თანამედროვე სერვისი

მაია ტაკიძე

*უძრავი ქონება, კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს და ჩვენს ქვეყანაშიც უკვე შეინიშნება. ამიტომაც არის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ ხელთ არსებული მატერიალური რესურსების ყველაზე მსხვილ დაბანდებას უძრავ ქონებაში ახდენს და არც თუ უსაფუძვლოდ, მსოფლიო ბაზარზე უძრავი ქონება დღითიდღე ძვირდება, ექსპერტთა გათვლებით კი ფასები მომავალში კიდევ უფრო აიწევს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უმეტეს ქვეყნებში გაიზარდა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე, გაფართოვდა და განვითარდა სამომხმარებლო ბაზარიც, შესაბამისად განვითარების ტემპს მიჰყვა მისი თანმდევი მომსახურებაც. თანამედროვე მსოფლიოში უკვე უამრავი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც უძრავი ქონების რეალიზაციაზე ზრუნავს და განსხვავებული და მრავალფეროვანი პროდუქტებისა თუ მომსახურების საშუალებით, ცდილობს ადამიანის ცხოვრება უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახადოს*



B4

## ჩეხეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

*გუშინ ფინანსთა სამინისტროში საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელი მოეწერა საერთაშორისო შეთანხმებას "შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ."*

როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, ამ შეთანხმების მიზანია საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იოზეფ ვრაბეცმა.

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ხელმოწერილი შეთანხმება ხელს შეუწყობს როგორც ჩეხური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში, ისე ქართველ მეწარმეთა საქმიანობის სტიმულირებას ჩეხეთის რესპუბლიკაში.

"შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ" შეთანხმება ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის - OECD - პრინციპებს, და არეგულირებს ხელმომწერ სახელმწიფოთა როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების მიერ ამ ქვეყნებში საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გადასახადებით დაბეგვრის პირობებს.

ცნობისათვის: ჩეხეთის რესპუბლიკა 21-ე ქვეყანაა, რომელთანაც საქართველო ხელს აწერს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური კავშირების გაფართოებისათვის აუცილებელ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს. შეთანხმების ხელმოწერას წინ უსწრებდა მოლაპარაკებათა ორი რაუნდი, რომელიც 2001-2002 წლებში გაიმართა პრაღასა და თბილისში.

*24 საათი*

## ნოღაიდელი "ვინოპოლისში" ქართული ღვინის ისტორიის შესახებ გამოფენას გახსნის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამშაბათს, ლონდონის "ვინოპოლისში" საზეიმოდ გახსნის ექსპოზიციის - "საქართველო ღვინის სამშობლოა" - გამოფენას. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან აცნობეს, გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოში უძველესი ღვინის კულტურის დამადასტურებელი არქეოლოგიური ნივთების ასლები, ფოტოები და ბანერები. ამასთან, დარბაზში დამონტაჟებულია ახალი პლაზმური და სენსორული ეკრანები, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ღვინის ისტორიისა და კულტურის შესახებ. გამოფენას წარუძღვება ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე. ექსპოზიცია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსა და ეროვნული მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. "ვინოპოლისი" ღვინის ქალაქია, რომელსაც ლონდონში, მდინარე ტემზის სანაპიროზე 10.000 კვ.მ უჭირავს. ეს განსაკუთრებული ტურისტული ატრაქციონია. აქ მნახველები სრულ ინფორმაციას იღებენ ღვინის წარმოშობის ისტორიაზე, მისი დამზადების ტექნოლოგისა და მეღვინეობის განვითარებაზე. ღვინის სადეგუსტაციო დარბაზებთან ერთად წარმოდგენილია ღვინის ინდუსტრიაში წამყვანი ქვეყნების საექსპოზიციო დარბაზები. დღეისათვის ლონდონში ვინოპოლისი სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ადგილია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქართული ღვინის ყიდვა უკრაინაში ყველას არ შეუძლია

ქართული და უკრაინული ღვინოები ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისაგან ფასისა და გემოს მიხედვით, - მიიჩნევს საქართველოში უკრაინის საელჩოსთან არსებული უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო მისიის თავმჯდომარე ოლეგ სვინარენკო. როგორც სვინარენკომ პრაიმ-ნიუს ბიზნესთან საუბარში აღნიშნა, "ქართული ღვინის ყიდვა უკრაინელთა უმრავლესობას მხოლოდ დღესასწაულებზე შეუძლია." მისი თქმით, 1 ბოთლი ქართული ღვინის საშუალო ფასი უკრაინაში 15 აშშ დოლარია. უკრაინელები, ქართველებისგან განსხვავებით, სპირტიან სასმელებს ანიჭებენ უპირატესობას, - განაცხადა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო მისიის ხელმძღვანელმა. კიევში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ღვინო უკრაინულის კონკურენტი არ არის, რადგან მათ უკრაინულ ბაზარზე სხვადასხვა სეგმენტები უკავიათ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქართული ღვინის გაყიდვები უკრაინაში მნიშვნელოვნად გაიზრდება

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სურს, რომ ნამდვილი ქართული ღვინო უკრაინის ყველა რეგიონში უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს კიევში ჩასვლისას განუცხადა, სადაც სააკაშვილი სუამ-ის სამიტში მიიღებს მონაწილეობას. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აეროპორტ "ბორისპოლიდან" კიევში მიმავალმა ქართული ღვინის მრავალი რეკლამა ნახა. "გული მწყდება, რომ ადრე ქართული ღვინო უკრაინულ ბაზარზე რუსეთზე გაცილებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი," - აღნიშნა სააკაშვილმა. მისი თქმით, ქართული ღვინის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. "მადლობა ბოიკოტის ორგანიზატორებს - უცბად მთელმა ინგლისმა, ამერიკამ, ევროპამ აღმოაჩინა თავისთვის ქართული ღვინოები," - განაცხადა პრეზიდენტმა. სააკაშვილს მიაჩნია, რომ უკრაინელებს კარგი გემოვნება აქვთ და ისინი შეძლებენ კარგი ღვინის შეფასებას.

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ უკრაინაში ახლა მაღალხარისხიანი ქართული ღვინო იყიდება, რაც საქართველოს მხრიდან ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიღებული სერიოზული ზომების შედეგია. უკრაინაში, მისი ვარაუდით, ქართული ღვინის გაყიდვები რამდენიმეჯერ გაიზრდება. სააკაშვილი არ მიიჩნევს, რომ ქართულმა ღვინოებმა უკრაინული ღვინის მწარმოებლებს პრობლემები შეიძლება შეუქმნას, რადგან ქართულ და უკრაინულ ღვინოს სხვადასხვა ფასი და გემობრივი თვისებები აქვს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, "უკრაინის ალკოჰოლის და თამბაქოს მწარმოებელთა და მსხვილ რეალიზატორთა კავშირი" ქართველი და მოლდაველი მეწარმეების მიმართ უკრაინის მთავრობის მიერ შეღავათების და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების წინააღმდეგია, რომლებიც მათი პროდუქციის რუსეთში აკრძალვის გამო უკრაინულ ბაზარზე აპირებენ დამკვიდრებას.

# "ბორჯომი" ახალ ბაზრებს იპყრობს

პირველი გვერდიდან

რუსეთის გამოკლებით დღეს "ბორჯომი" 27 სახელმწიფოში წარმატებით იყიდება. ამ ქვეყნებში ქართულ მინერალურ წყლებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება. ამ ქვეყნების ნუსხას სულ მალე კიდევ რამდენიმე სახელმწიფო დაემატება.

**- თუ შეიძლება, დეტალურად გვესაუბრეთ იმ ახალი ბაზრების შესახებ, რომლის ათვისებაც თქვენმა კომპანიამ ახლახან დაიწყო.**

- მას შემდეგ, რაც რუსეთში "ბორჯომი" აიკრძალა (რაც ჩვენთვის საკმაოდ დიდი მოულოდნელობა იყო), ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა ახალი ბაზრებზე გასასვლელად. ჩვენი კომპანიის ინტენსიურმა მუშაობამ, ბაზრების დივერსიფიკაციის კუთხით, თავისი კონკრეტული შედეგი გამოიღო და "ბორჯომით" დატვირთული პირველი ვაგონები ტაჯიკეთში, ყირგიზეთისა და მონღოლეთში უკვე გადაიტვირთა.

გარდა ამისა, გასულ კვირას თავად გახლდით უზბეკეთში, სადაც მქონდა მოლაპარაკებები ადგილობრივ საქმიან წრეებთან. პრაქტიკულად, მათთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და უახლოეს მომავალში "ბორჯომის" პროდუქციით დატვირთული პირველი ვაგონები უზბეკეთშიც ჩავა.

ასე რომ, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" საკმაოდ ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რათა "ბორჯომის" გაყიდვების გეოგრაფია კიდევ უფრო გავაფართოვოთ და ვფიქრობთ, რომ უახლოეს ხანებში ჩვენი გაყიდვების არეალს დაემატება კიდევ ახლო აღმოსავლეთი და ევროპის რამდენიმე სახელმწიფო, სადაც ჩვენი პროდუქცია ამ დროისთვის არ არის წარმოდგენილი.










**- შესაძლებელია თუ არა, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილმა ქვეყნებმა რუსული ბაზარი ჩაანაცვლოს და "ბორჯომის" რუსულ ბაზარზე დაბრუნების რა შანსები არსებობს?**

- ძალიან რთული იქნება ასე უცბად რუსეთის ნებისმიერი ქვეყნის ბაზრით ჩანაცვლება. მოგეხსენებათ, ჩვენი პროდუქციის გაყიდვების 50 პროცენტზე მეტი რუსეთზე იყო ორიენტირებული. ასე უცბათ სხვა ბაზრებზე ამხელა რესურსი რომ გადაანაწილო, ეს ძალიან რთული იქნება. და თან, ამას სჭირდება დრო. თუმცა ჩვენ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ამას გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ აუცილებლად მოვახერხებთ. იმასაც გეტყვით - მე პირადად არ ვფიქრობ, რომ ჩვენ რუსეთში არასდროს აღარ დავბრუნდებით. მანამდე კი, კომპანია საკუთარ რესურსებს ისე გადაანაწილებს, რომ როდესაც რუსეთის ბაზარი გაიხსნება, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით ამ ქვეყნის ბაზარზე დამოკიდებული ისე, როგორც ვიყავით ერთი თვის ან კიდევ უფრო დიდი ხნის წინათ. ჩვენი პროდუქცია, ფაქტობრივად, იქნება გაშლილი და არ იქნება დამოკიდებული ერთ კონკრეტულ სახელმწიფოზე.

**- ამ ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლატვიამ "ბორჯომის" რეალიზაცია დროებით შეაჩერა. რა გახდა ამის მიზეზი?**

- ის, რაც ამ ცოტა ხნის წინ ლატვიაში მოხდა, იყო პატარა გაუგებრობა, რაც რუსული და ქართული მედიის მიერ არასწორად იყო ინტერპრეტირებული. კერძოდ: ლატვია ითხოვდა, რომ ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია "ბორჯომის" ქიმიური შემადგენლობის შესახებ უფრო დეტალური ყოფილიყო.

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ტერიტორიებზე GG&MW Co.N.V.-ის პროდუქციის რეალიზაცია შეუფერხებლად მიმდინარეობს.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არანაირ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ლატვიელი კოლეგების რეკომენდაცია, რომელიც ეტიკეტზე სპეციალური დამატებითი საინფორმაციო სტიკერების განთავსებას გულისხმობდა. ჩვენ რეკომენდაცია, ცხადია, გავითვალისწინეთ. რამდენიმე კვირაში კი ბალტიისპირეთის ქვეყნებს დისტრიბუციისთვის მიეწოდებათ "ბორჯომის" პარტია ახალი ეტიკეტებით.

ყველაზე ცუდი, რაც ამ გაუგებრობას მოჰყვა, ის აჟიოტაჟი იყო, რომელიც რუსულმა სააგენტოებმა აიტაცეს. სამწუხაროდ, ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდანაც მოხდა ინფორმაციის დამახინჯება და არასწორი ინტერპრეტირება, რაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი მოსახლეობისათვის, რომელიც "ბორჯომს" თავის ეროვნულ სიამაყედ თვლის. ამიტომაც ის ყოველთვის განცდით ხვდება ყველა იმ პრობლემას, რომელიც "ბორჯომს" ექმნება. ამ შემთხვევაში კი, რეალურად, "ბორჯომს" პრობლემა არ ჰქონია. უბრალოდ, როგორც უკვე გითხარით, მასმედიის მხრიდან რეალური ინფორმაციის არაზუსტად გახმაურება მოხდა.

**- გაუზრდით თუ არა მიწოდებას თქვენ მიერ უკვე კარგად ათვისებულ ბაზრებს. რამდენად მზარდია ამ ბაზრებზე მოთხოვნა?**

- GG&MW Co.N.V.-ის პროდუქციაზე მოთხოვნა ყოველწლიურად დაახლოებით 50 პროცენტით იზრდება. წელს, მაგალითად - უკრაინაში, 50 პროცენტზე მეტი ზრდა დაფიქსირდა. მოთხოვნა ამ სახელმწიფოში დაახლოებით 70-80 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე გასულ წელს. მიმდინარე წელს ვაპირებთ, ზუსტად ორჯერ გავზარდოთ გაყიდვები ბალტიისპირეთის ქვეყნებში: ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთშიც.

ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ, კანადა, საბერძნეთი, ისრაელი და სხვა. აღნიშნულ ქვეყნებში ჩვენს პროდუქციას, ბოლო რამდენიმე წელია, წარმატებით ვყიდით.

რუსულ ბაზარზე შექმნილ ვითარებას სხვა არსებულ ბაზრებზე პრობლემა არ შეუქმნია. ზრდის ტენდენცია გრძელდება - არანაირად არ შეფერხებულა და, შესაბამისად, ჩვენი გაყიდვები საკმაოდ დიდი რაოდენობით და სწრაფი ტემპებით მიდის წინ. უნდა აღინიშნოს, რომ "ბორჯომის" გაყიდვების დიდი წილი პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოდის. ეს არის უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი თუ ბალტიისპირეთის ქვეყნები.

# მთავრობა 5 მილიონ ევროდ კახელი გლეხის პრობლემის მოგვარებას გეგმავს

პირველი გვერდიდან

რამდენად მოსავლიანი იქნება კახელი გლეხისთვის წლევანდელი შემოდგომა, ძნელი სათქმელია. თუმცა მთავრობა გასული წლების პრობლემების მოგვარებას წინასწარ ჩვენი სიზუსტით ცდილობს და რთველი 2006-ის ჩატარებას ხუთი მილიონი ევროთი გეგმავს. ამ მისიას კი ქართულ-რუსული კომპანია "ქართული პროდუქტები" შეასრულებს, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან ფუნქციონირებს და ხილპროდუქტების კონცენტრატებს აწარმოებს. როგორც მისი გენერალური დირექტორი ანატოლი ილჩენკო ამბობს, კომპანიამ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო აგარაში ვაშლის წვენის კონცენტრატის დამზადება და ამ დროისათვის მისი ნაწარმი სხვადასხვა ქვეყნებში იყიდება. სწორედ ასეთი გამოცდილების გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კომპანია "ქართული პროდუქტები" 5 მილიონ ევროიანი პროექტით, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე დააფინანსა. აღნიშნული თანხით კომპანია იმ ტექნიკას შემოიტანს და დაამონტაჟებს, რომლითაც, ძირითადად, ყურძენს გადაამუშავებს.

კომპანიის გადაწყვეტილებით, საწარმო, სადაც თანამედროვე ტექნიკა დამონტაჟდება, გურჯაანის რაიონში, ღვინის ქარხანა "სს გურჯაანი 93"-ის ტერიტორიაზე აშენდება. საგულისხმოა, რომ ამ ქარხნის მუშაობა, აქციონერთა დავების და ბანკებთან დაგროვილი ვალების გამო, რამდენიმე წელია, შეჩერებულია. თუმცა, როგორც "ქართული პროდუქტების" გენერალური დირექტორი აცხადებს, ეს მისთვის ხელისშემშლელი არ არის. ამ დღეებში ის გურჯაანის ღვინის ქარხანასთან პარტნიორული ხელშეკრულების გაფორმებასაც გეგმავს. ანატოლი ილჩენკოს თქმით, არჩევანი გურჯაანზე იმიტომ შეჩერდა, რომ რეგიონის ცენტრია და აქ უფრო განვითარებულია აგრარული მეურნეობა. მისივე განმარტებით, ხილპროდუქტების გადამუშავება, ძირითადად, იტალიიდან შემოტანილი ავტომატური აპარატურით მოხდება და ახალ საწარმოში 110 ადამიანი დასაქმდება.

**"იტალიიდან შემოტანილი უახლესი ტიპის ხილის გადამამუშავებელი ორი დანადგარი რეგიონში რთველის პრობლემას, პრაქტიკულად, მოხსნის. ჩვენს ქარხანას, რომლის ფუნქციონირებაც მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყება, საშუალება ექნება, ერთ საათში ათასობით ტონა ყურძენი გადაამუშაოს და მთლიანად აითვისოს რეგიონში მოწეული მოსავალი, თუმცა, აქ არა მარტო ყურძნის, არამედ ნებისმიერი ხილის მიღებასაც ვგეგმავთ,"** - აცხადებს ანატოლი ილჩენკო.


*გურჯაანის ღვინის ქარხანა დღეს ასე გამოიყურება.*

გურჯაანის ღვინის ქარხნის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე კობა კობახიძე აცხადებს, რომ ასეთი პარტნიორული გადაწყვეტილება უპირველესად გლეხებისათვის იქნება მომგებიანი, რადგან მათ ყურძნის ჩაბარების პრობლემა მოეხსნებათ. **"ჩვენი გადაწყვეტილება ურთიერთთანამშრომლობისა და ქარხნის მშენებლობის შესახებ, პირველ რიგში გლეხებისთვისაა ხელსაყრელი, რადგან მათ მოსავლის აღებამდე ეცოდინებათ, სად უნდა ჩააბარონ ყურძენი,"** - აცხადებს კობა კობახიძე.

კომპანია, რომელიც საკუთარი პროდუქციის რეალიზებას ევროპის ბაზარზე გეგმავს, ჯერჯერობით არ საუბრობს, თუ რა ფასში მიიღებენ კახელი გლეხის ნაშრომს.

კახელები ქარხნის მშენებლობას დადებითად აფასებენ. **"ყურძენი რომ მოიწევა, ხან რომელ რაიონში დავარბენინებთ, ხან რომელში, რადგან არასდროს ვიცით, რომელი ქარხანა ჩაიბარებს. ამასობაში კი დაკრეფილი მოსავალი შრება და ნახევარ წონაზე დგება. თუ კი გვეცოდინება, რომელიმე ქარხანა მოსავალს ნებისმიერ დროს ჩაიბარებს, ამას რა სჯობია,"** - ამბობს გურჯაანელი ვალიკო მათეშვილი.

ამ დროისთვის ქარხანაში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს და რამდენიმე თვეში დანადგარების იტალიიდან ჩამოტანა იგეგმება.

## დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში

დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში.

ამის შესახებ დიდ ბრიტანეთში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჯონ პრესკოტმა ორშაბათს გამართულ შეხვედრაზე განუცხადა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს პრემიერ-მინისტრის აპარატიდან აცნობეს, ევროკავშირთან მიმართებაში შეხვედრაზე ზურაბ ნოღაიდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ორიენტირებულია რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული გეგმის შემუშავებაზე და კმაყოფილება გამოთქვა ევროპის სამეზობლო ინიციატივის საქართველოს სამოქმედო გეგმის შესახებ მოლაპარაკებათა მიმდინარეობით. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დღის წესრიგში რჩება საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობა. აპარატის ინფორმაციით, შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას. ზურაბ ნოღაიდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის გადაწყვეტის მხოლოდ მშვიდობიან გზას განიხილავს. ისაუბრეს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების მიმდინარეობაზე. თავის მხრივ, ინგლისურმა მხარემ საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის მხარდაჭერა დაადასტურა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## სუამ-ის ფარგლებში სათბობ-ენერგეტიკული საბჭო შეიქმნება

სუამ-ის წევრი ქვეყნები სათბობ-ენერგეტიკული საბჭოს შექმნას გეგმავენ. ამის შესახებ უკრაინის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ივან პლაჩკოვმა ჟურნალისტებს სუამ-ის წევრი ქვეყნების ენერგეტიკის, ეკონომიკის და ტრანსპორტის მინისტრების ორშაბათს გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა. პლაჩკოვის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1 თვის ვადაში შეიმუშავებენ საბჭოს შექმნის შესახებ დოკუმენტს, სადაც გაწერილი იქნება აღნიშნული ორგანიზაციის კომპეტენცია. მისივე თქმით, საბჭოს შექმნის მიზანია სუამ-ის წევრი ქვეყნების თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში და ქვეყნების კოორდინაცია ენერგეტიკული პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში. "ამ პროექტის ფარგლებში შესაძლებელია ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა და ასევე ოდესა-ბროდის ნავთობსადენის ახალი განშტოებების მშენებლობა," - განაცხადა პლაჩკოვმა. მისივე თქმით, შეხვედრაზე მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაეცნობიან უკრაინის ინიციატივას გაზის სატრანსპორტო ხიდის შექმნის შესახებ და საკუთარ მოსაზრებებს 3 თვის ვადაში წარმოადგენენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## პრაღაში ეუთო-ს ეგიდით ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობს

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ეუთო-ს ინიციატივით ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობს, სახელწოდებით "ტრანსპორტი ეუთო-ს სივრცეში: უსაფრთხო სატრანსპორტო ქსელები და ტრანსპორტის განვითარება რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და სტაბილურობის გაძლიერების მიზნით". როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს მხრიდან ფორუმზე სიტყვით გამოვა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე. სამინისტროს ინფორმაციით, სიტყვით გამოსვლისას იგი ისაუბრებს საქართველოს გადაწყვეტილებებსა და გეგმებზე ტრანსპორტირების და ენერგეტიკული ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოსა და მთლიანად რეგიონში. სამდღიანი ეკონომიკური ფორუმი 24 მაისს დასრულდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ამერიკელები Ferrari-ს იწუნებენ

კომპანია Ferrari ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე სრულიად მოულოდნელ პრობლემას წააწყდა. რაც იმას ნიშნავს, რომ 2007 წლისთვის Ferrari F430 ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაძლოა არალეგალურ ავტომობილად ჩაითვალოს. ამის მიზეზი კი ავტომობილში დამონტაჟებული უსაფრთხოების ბალიშებია. ექსპერტები აცხადებენ, რომ Ferrari-ის უსაფრთხოების ბალიშები უსაფრთხოების იმ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, რომლის შესახებაც კანონს ამერიკა 2007 წლის პირველი იანვრიდან მიიღებს.

პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ავტომობილის უსაფრთხოების ბალიშები, იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის წინა ადგილზე ბავშვი ან დიდი ადამიანი ზის, მოქმედების რეჟიმს ვერ ცვლიან. ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხო მოძრაობის ნაციონალური ადმინისტრაციის (NHTSA) წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანია Ferrari-ს ჯერ კიდევ აქვს დრო იმისთვის, რომ რომ აღნიშნული "შეცდომა" გამოასწოროს.

იტალიური მარკის წარმომადგენლები თავის მხრივ აცხადებენ, რომ კომპანიის ინჟინერებმა აღნიშნული პრობლემის მოგვარების თითქმის ყველა დეტალი შეისწავლეს. თუმცა უსაფრთხოების ბალიშების გამოსწორება ავტომობილის სერიოზულ გადაკეთებასთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად კომპანია Ferrari, ამ ეტაპზე, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალის ძიებაშია.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ ამერიკა Ferrari-ის მარკისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ბაზარია. რაც შეეხება მოდელ Ferrari F430-ის გაყიდვის 85% სწორედ, რომ ამ რეგიონზე მოდის. გასულ წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1420 Ferrari F430 გაიყიდა.



# კომუნიკაციების ქართულ ბაზარზე "ტელეკომინვესტი" გამოჩნდა

ნინო ნატროშვილი

საქართველოს ტელეკომუნიკაციების კომისიაში გამართული ტენდერი რუსული კომპანიის გამარჯვებით დასრულდა. მესამე თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეებით სარგებლობის ლიცენზია 18 681 072 ლარად "ტელეკომინვესტმა" მოიპოვა.

1950-1965 მგჰც, 2140-2155 მგჰც, 2010-2015 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონი საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გუშინ გაიმართა.

აუქციონს თავდაპირველად კომპანია "ჯეოსელი" გამოეთიშა (რომელიც საქართველოს ბაზარზე, უკვე ცხრა წელია, საკმაოდ მსხვილი მოთამაშეა), შემდეგ კი - იტალიის მოქალაქე ანჯიოლო ბელინი, რომელმაც კონკურენციას ვერ გაუძლო.

გასაყიდი სიხშირეების საწყისი ფასი 8 491 392 ლარი იყო. როგორც "24 საათს" კომუნიკაციების კომისიაში განუმარტეს, 1950-1965 მგჰც, 2140-2155 მგჰც, 2010-2015 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი UMTS ტექნოლოგიით იმუშავებს. ეს სიხშირული დიაპაზონი ვიდეოგამოსახულების გადაცემის და ინტერნეტის მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. როგორც ცნობილია, აქამდე მე-3 თაობის მობილური სიხშირეებით სარგებლობის ლიცენზია მხოლოდ "მაგთიკომსა" და "არგოტექსს" ჰქონდათ. "მაგთიმ" აღნიშნული სიხშირეები გასულ წელს 20 მილიონ ლარად შეისყიდა და ამ რადიოსიგნალს ზაფხულში გაუშვებს. კომპანია "სელფორდის" მონათესავე "არგოტექსმა" ამავე დიაპაზონში სიხშირეები ორი კვირის წინ გამართულ აუქციონზე 19 954 782 ლარად შეიძინა. "ჯეოსელი" აუქციონში მაშინაც მონაწილეობდა. თუმცა "ჯეოსელის" ხელმძღვანელმა მოგვიანებით განაცხადა, რომ "არგოტექსმა" აღნიშნულ სიხშირეში არარეალური თანხა გადაიხადა.

რაც შეეხება "ტელეკომინვესტს", ის უმსხვილესი რუსული კომპანიაა და რუსულ ბაზარზე კომუნიკაციების სექტორში ერთ-ერთი სერიოზული ფირმის, "მეგაფონის" მფლობელია. აღნიშნული კომპანია თებერვალში 800 მეგაჰერც დიაპაზონში არსებული სიხშირეების აუქციონში დამარცხდა. გაიმარჯვა მისმა კონკურენტმა "ბლიმ ფინ ლიმითედმა". ამ კომპანიის გენერალური დირექტორი ქიბარ ხალვაშია, რომელიც ტელეკომპანიების "მზისა" და "რუსთავი 2"-ის აქციების 70 პროცენტს ფლობს. ხალვაშმა სიხშირეები 72 მილიონ ლარად შეისყიდა და კომუნიკაციების ბაზარზე აქამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა.

# სიახლეები საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაციაში

საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია ქართულ ბიზნესს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საკმაოდ დიდ ასპარეზს უხსნის.

გუშინ, 23 მაისს, საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაციის ვებ-გვერდის პრეზენტაცია თავად შვეიცარიის ელჩმა შტეფან შპეკმა საზეიმო ვითარებაში ჩაატარა. w ეს ის მისამართია, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებულ იურიდიული თუ ფიზიკური პირი ასოციაციის საქმიანობის, მომსახურებისა და სიახლეების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებს.

საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს საზოგადოება საქართველოში 2005 წლის დეკემბერში შვეიცარიის საელჩოსა და ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა. ცოტა ხნის წინ კი ასოციაცია შვეიცარიის სავაჭრო პალატაშიც გაწევრიანდა. ასოციაციის დაარსებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვით შვეიცარიასთან მჭიდრო ბიზნეს ურთიერთობებით დაკავშირებულ ისეთ ქართულ კომპანიებს, როგორიცაა "ალტერ ჯგუფი", "სილქ როუდ ბანკი", "ნაბეღლავი", "ფრანკე" და "არტტაიმი". აღნიშნული ბიზნეს საზოგადოების უმთავრესი მიზანი შვეიცარელ და ქართველ ბიზნეს პარტნიორებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების დამყარება და განმტკიცება გახლავთ. ასოციაციის დაარსებაში როგორც უკვე მოგახსენეთ ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, მოგვიანებით კი მას დაახლოებით კიდევ ათი კომპანია შეუერთდა. კომპანია "ფედექსი", "ნესტლე", "ბაზელ გროუპი", "ჯი-ელ-ჯი ჯგუფი", პირველი კომერციული ბანკი -ეს იმ კომპანიების არასრული სია გახლავთ, რომლებმაც ბიზნეს ასოციაციის მიერ შედგენილი სპეციალური "ქცევის კოდექსი" წარმატებით გადალახეს და ასოციაციაში გაწევრიანდნენ.

საქართველო-შვეიცარიას შორის ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავებას დადებითად აფასებს შვეიცარიის ელჩი საქართველოში შტეფან შპეკი. "ჩვენს მიერ დაარსებული ასოციაცია საქართველოსა და შვეიცარიას შორის არსებული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების გაღრმავების წინაპირობაა. ეს კი დამეთანხმებით, ალბათ, რომ მრავალი საინვესტიციო პროექტის განხორციელებას შეუწყობს ხელს. საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს საზოგადოება საქართველოს შვეიცარიის ბაზარზე დამკვიდრების უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს. მოგახსენებთ, რომ საქართველო, როგორც რეგიონი, უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესო ბაზარია. მინდა აღვნიშნო, რომ ასოციაციის ჩამოყალიბებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის შვეიცარიის ბიზნეს ქსელს, შვეიცარიის ინვესტიციების ხელშეწყობისა და (SOFI) ექსპორტის რისკის გარანტიის ორგანიზაციებს (ERG).

მიმდინარე წლის ივნისში, საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია ციურიხში, შვეიცარიის საინვესტიციო ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ფორუმი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის, ხოლო შვეიცარელ ინვესტორებს კი ამ ბაზრების ათვისების საუკეთესო საშუალებას მისცემს.

აღნიშნული ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ფორუმში მონაწილეობა ქართული კომპანიებისთვის დიდი პატივია. შპს. "ფრანკე კავკასუსის" დირექტორი მიხეილ მიქელაძე: "ჩვენი კომპანია, რომელიც 2004 წელს დაარსდა, საქართველოში შვეიცარულ ბიზნესს წარმოადგენს. ამასთან, მოგახსენებთ, რომ ჩვენ საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაციის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორები ვართ. ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ ქართული ბიზნესის განვითარებას. ეს ორგანიზაცია კი სწორედ, რომ ამ საქმეს ემსახურება. თუმცა დავამატებ, რომ ასოციაციის წევრობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა. ყველა დაინტერესებულ კომპანიასა თუ ფიზიკურ პირს ასოციაციაში გასაწევრიანებლად, პირველ რიგში შვეიცარიისა და საქართველოს მიერ შემუშავებული სპეციალური "ქცევის კოდექსის" გადალახვა და საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ. ასოციაციაში შემსვლელი კომპანიები პირველ რიგში, ბიზნეს გარემოსა და შესაბამის კანონმდებლობასთან გამჭვირვალე ურთიერთობებით უნდა გამოირჩეოდნენ. ასოციაციის ახალ წევრ კომპანიებზე პასუხისმგებლობას კი, ჩვენ, დამფუძნებელი კომპანიები ვიღებთ. რაც შეეხება ბიზნეს ფორუმში მონაწილეობას, მინდა აღვნიშნო რომ საქართველოსთვის შვეიცარული ინვესტორების მოზიდვისა და ამასთან ერთად, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია ფორუმზე საკუთარი სტენდითა და სამი წარმომადგენლით წარდგება."

ნიკულინ იეგერი, შვეიცარიის ელჩის მოადგილე საქართველოში: "ის, რომ საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია შვეიცარიის საინვესტიციო ფორუმში მიიღებს მონაწილეობას უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. საქართველო შვეიცარელი და უცხოელი ინვესტორებისთვის ისედაც საინტერესო რეგიონია. შვეიცარული კომპანიების ტექნიკური ცოდნისა და თანამედროვე მენეჯმენტის გაზიარება ქართული ბიზნესისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მოგახსენებთ, რომ ასოციაცია ქვეყნებს შორის საქმიანი ურთიერთობების დანერგვას ემსახურება. ეს კი თქვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია."

საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაციის ახალი ვებ-გვერდი, რომელიც ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენაზე მუშაობს, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და პირს აღნიშნული ასოციაციის სიახლეებსა და მასში გაწევრიანებისთვის აუცილებელ ყველა მოთხოვნაზე მიაწვდის სასურველ ინფორმაციას.

## ჯორჯ ბუში გადასახადებს 70 მილიარდი დოლარით შეამცირებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გადასახადების 70 მილიარდი დოლარით შემცირების შესახებ კანონს ხელი მოაწერა. მისი აზრით, კანონის მიღება ხელს შეუწყობს ამერიკის ეკონომიკის ზრდას. ახალი კანონით რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებიც კმაყოფილნი არიან. ისინი ფიქრობენ, რომ ახალი კანონი მათ დაეხმარება, შეინარჩუნონ კონტროლი კონგრესზე, განსაკუთრებით კი, ნოემბრის არჩევნების შემდეგ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ ნაბიჯით რესპუბლიკელები მოსახლეობის გულის მოგებას ცდილობენ. მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვებმა კი ცხადყო, რომ მათი რეიტინგი ბოლო პერიოდში საკმაოდ დაეცა. ჯორჯ ბუში ირწმუნება, რომ ახალი კანონი ყველა ამერიკელის საკეთილდღეოდ მიიღო. "დღეს კარგი დღეა ამერიკული ოჯახებისთვის, ბიზნესისა და მომსახურე ადამიანებისთვის!" - განაცხადა ბუშმა მაშინ, როცა აღნიშნულ კანონს ხელს აწერდა.

ბუშის ამ ნაბიჯს აკრიტიკებენ დემოკრატები. ისინი აცხადებენ, რომ გადასახადების შემცირება უპასუხისმგებლო ნაბიჯია. ახალი კანონი, რომელშიც, პრაქტიკულად, ფართოვდება ადრე უკვე მიღებული საგადასახადო შეღავათები, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და სენატის მხრიდან დიდი მოწონებით სარგებლობს. ბუშის ოპოზიცია კი აცხადებს, რომ კანონის გატარება - ეს ის იშვიათი წარმატებაა, რომელსაც ბუშმა კონგრესში ხელახალ არჩევნებამდე მიაღწია. მათი ინფორმაციით, ამერიკელების 56 პროცენტს კონგრესის ორივე პალატაში დემოკრატების დაბრუნება სურს. "გადასახადების შემცირება ბუშის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. ეს ის ერთადერთი გზაა, რომელმაც რესპუბლიკელებს კონგრესზე კონტროლი შეანარჩუნებინა," - აცხადებენ დემოკრატები. დემოკრატები თავიანთ კრიტიკას იმით ხსნიან, რომ საგადასახადო შეღავათები მხოლოდ მდიდარ ამერიკელებზეა გათვლილი. აღნიშნული კანონი 2008 წლამდე იმუშავებს.

## honda ბიზნესში 1,2 მილიარდ დოლარს ჩადებს

ავტომობილების მწარმოებელი კომპანია Honda Motor-ი უახლოესი წლების განმავლობაში ახალი ქარხნების მშენებლობის დაწყების გეგმას განიხილავს. ეს იაპონური ავტო-გიგანტი საავტომობილო ბიზნესში 1,2 მილიარდ დოლარზე მეტს ჩადებს.

ცნობილია, რომ კომპანია ახალ ქარხნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და კანადაში გახსნის. ამას გარდა, იგეგმება ინდოეთში და ბრაზილიაში უკვე არსებული ქარხნების აქტივიზაცია. კომპანია ასევე აზიის რეგიონში მოტოციკლეტების წარმოების გაზრდაზეც საუბრობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ქარხნის მშენებლობას კომპანიის წარმომადგენლები 400 მილიონ დოლარად აფასებენ. ეს ახალი ქარხანა, რომლის მშენებლობის ადგილი ჯერ არ არის განსაზღვრული, წელიწადში 200 ათას ავტომობილს გამოუშვებს. მასში 1,5 ათას ადამიანზე მეტს დაასაქმებენ.

კანადაში კი კომპანია მხოლოდ ძრავების ქარხანასააშენებს, რომელზეც დაახლოებით 140 მილიონი დოლარი იქნება საჭირო. ქარხანა წელიწადში 200 ათას ძრავას გამოუშვებს. ამასთან, კომპანია Honda იაპონიაში, ტოკიოსთან თავის პირველ ქარხანას ააშენებს. ხარჯები რომელიც მის მშენებლობას სჭირდება, 70 მილიარდ იენს (640 მილიონი დოლარი) შეადგენს.

კომპანიის გენერალური დირექტორი ტაკეო ფუკუი აცხადებს, რომ Honda ავტომობილებისა და მოტოციკლეტების გაყიდვას 2010 წლისთვის 34 პროცენტით გაზრდის. "მოთხოვნილება ჩვენს პროდუქციაზე იმდენად დიდია, რომ გადავწყვიტეთ, წარმოება გაგვეზარდა. კონკურენციას კი, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი კომპანია ვერ გაგვიწევს," - განაცხადა კომპანიის დირექტორმა. მათი გათვლებით, კომპანია 2010 წლისთვის წელიწადში 4,5 მილიონ ავტომობილს და 16 მილიონ მოტოციკლეტს გაყიდის. ამასთან, 2009 წლისთვის, Honda ახალ, ოთხცილინდრიან ჰიბრიდულ ავტომობილს გამოუშვებს. მისი ძრავა დიზელზე იმუშავებს და, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი აცხადებს, თანამედროვე ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისი იქნება. ეს სტანდარტები კი ძალაში უახლოეს მომავალში შევა.

კომპანია Honda ნავთობპროდუქტების გაძვირებით სარგებლობს და ამერიკის ბაზრის დაპყრობას აპირებს. ამ იაპონური კომპანიების მოგება ამერიკის ბაზარზე იმდენად გაიზარდა, რომ ადგილობრივი საავტომობილო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად დაეცა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა

ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა დოლარის კურსის გამყარებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა მოახდინა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,57 პროცენტით, 11.188,47 პუნქტამდე გაიზარდა. 1,15 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.197,8 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,82 პროცენტით, 1.272,36 პუნქტამდე გაიზარდა.










## ნავთობის ფასი ბარელზე 70 დოლარს ისევ ასცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 70,35 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 70,81 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ექსპერტთა განცხადებით, ნავთობის ფასის ექვსკვირიან მინიმუმამდე დასვლის შემდეგ, "შავი ოქროს" ამგვარი გაძვირება მოსალოდნელი იყო. ამასთან, ნავთობის ფასის მომატებას ხელი შეუწყო ქარიშხლებზე დაკვირვების მაიამის ნაციონალური ცენტრის მიერ ჩრდილოეთ ატლანტიკაში შტორმული აქტივობის მოსალოდნელი მომატების შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ, რასაც მექსიკის ყურეში ნავთობის მოპოვების შემცირება მოჰყვება.

## ვენესუელას ნავთობის მოპოვების შემცირება სურს

ვენესუელას ნავთობის მინისტრმა რაფაელ რამირესმა განაცხადა, რომ ამ ქვეყნის დედაქალაქ კარაკასში 1 ივნისს დაგეგმილ ოპეკის ქვეყნების ნავთობის მინისტრთა შეხვედრაზე "შავი ოქროს" მოპოვების შემცირების საკითხს დააყენებს.

რამირესის თქმით, მსოფლიო ბაზრის კონიუქტურა ნავთობის მოპოვების შემცირებას ითხოვს. მისი აზრით, "შავ ოქროზე" ფასის გაზრდა არა მსოფლიო ბაზარზე მისმა ნაკლებობამ, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და ნიგერიაში არსებულმა დაძაბულმა ვითარებამ გამოიწვია.

ვენესუელას ნავთობის მინისტრმა განაცხადა, რომ ოპეკის წევრ ქვეყნებს ნავთობის მოპოვების გაზრდა შეუძლიათ, მაგრამ გადამუშავება მათ ძალებს აღემატება. "ასე რომ, ყველაფერი ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზეა დამოკიდებული", - თქვა მან.

## რუსეთს გაზი გამოელევა

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს თავკაცის კლოდ მანდილის განცხადებით, მიმდინარე ათწლეულის ბოლოს რუსეთი ბუნებრივი აირის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება. მისი თქმით, "გაზპრომმა" დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ინვესტიციების განხორციელებას, რუსეთის მთავრობამ კი გაზის მონოპოლისტთა კონტროლს.

ლონდონში მიმდინარე გლობალურ ენერგეტიკულ სამიტზე მანდილმა შეშფოთება გამოთქვა, რომ ძუახლოეს მომავალში "გაზპრომი" არსებული კონტრაქტების მიხედვით ბუნებრივი აირის მიწოდებას ვერ შეძლებს".

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ხელმძღვანელის ამ გამოსვლამდე ექსპერტები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ "გაზპრომი" ნაკლებ ყურადღებას აქცევს ახალი საბადოების აღმოჩენას და ინვესტიციების განხორციელებას.

## ირანი, პაკისტანი და ინდოეთი გაზსადენს ააშენებენ

მიუხედავად აშშ-ს მხრიდან მძაფრი პროტესტისა, ირანის, პაკისტანის და ინდოეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამი ქვეყანა სამხრეთ აზიაში ბუნებრივი აირის მიმწიდებელ გაზსადენს აუცილებლად ააშენებს.

ამ ქვეყნების ენერგეტიკის სამინისტროების მაღალჩინოსნები მიმდინარე თვეში მეორედ ისლამაბადში შეიკრიბნენ და 7,1 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტის დეტალებს: გაზსადენის ტექნიკურ, იურიდიულ და ფინანსურ ასპექტებს და მიწოდებული გაზის ფასებს დაწვრილებით განიხილავენ.

ინდოეთისათვის გაზის მიწოდებით განსაკუთრებით ირანია დაინტერესებული. უფრო მეტიც, თეირანს სამომავლოდ გეგმაში გაზსადენის ჩინეთამდე აგებაც აქვს. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ირანი უზარმაზარ ბაზარზე გავა, აზიის ქვეყნები კი ენერგომატარებლებზე მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებენ.

აღნიშნული პროექტის განხორციელების წინააღმდეგია ვაშინგტონი. ამერიკელები შიშობენ, რომ გაზსადენის აშენება რეგიონში ირანის გავლენას გაზრდის.

## Euronext-მა Deutche Boerse-ს უარი უთხრა

ევროპის სიდიდით მეორე, ამსტერდამის საფონდო ბირჟა Euronext-ის ხელმძღვანელობამ გუშინ ფრანკფურტის ბირჟა Deutche Boerse AG-ს მიერ შერწყმის შესახებ გაკეთებულ წინადადებაზე უარი უთხრა. Euronext-ის ხელმძღვანელობის განცხადებით, ნიუ იორკის საფონდო ბირჟის NYSE-ს გუშინწინდელი შემოთავაზება უფრო მიმზიდველია.

Euronext-ის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ ორივე ვარიანტი შეისწავლეს და უპირატესობა ამერიკელთა წინადადებას მიანიჭეს.

შერწყმის შემთხვევაში, Deutche Boerse Euronext-ის აქციონერებს თითოეული აქციის სანაცვლოდ გაერთიანებული კომპანიის ერთი აქციას და 7,72 ევროს ოდენობის ნაღდ ფულს სთავაზობს. ასე რომ, წინადადების საერთო ღირებულება Euronext-ის ერთ აქციაზე 76,6 ევროს შეადგენს, რაც ამჟამინდელ საბაზრო ფასს 13 პროცენტით აღემატება.

## საფონდო ბირჟაზე 443 ათასი ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ხუთშაბათს გამართულ 38 (623)-ე ვაჭრობაზე გარიგებები 7 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების რაოდენობა იყო 81, მათმა მოცულობამ 220 872 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ - 443 284 ლარი. სსბ-ზე ხუთშაბათს 211,9 ათასი ლარის ღირებულების "საქართველოს ბანკის" (GEB) აქციები გაიყიდა; 121 ათასი ლარის - "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC); 83,2 ათასი ლარის - "კრწანისი 99"-ს (KR99). გარიგებები ასევე დაიდო საინვესტიციო კომპანია "საქცივპროდუქტის" (ME92), "ლიდერ-ინვესტის" (LINV), "თელასის" (AEST) და უნივერმაღი "თბილისის" (UTB) აქციებზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

| | [illegible] | min/max [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] ([illegible]/[illegible]) | [illegible] ([illegible]) |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 6 | 1.600 / 1.600 | 1.600 | - | 1,800 | 2,880.00 |
| [illegible] | 18 | 12.900 / 12.900 | 12.900 | 0.033(0.26%) | 16,427 | 211,908.30 |
| [illegible] | 1 | 2.500 / 2.500 | 2.500 | 1.466(141.78%) | 33,295 | 83,237.50 |
| [illegible] | 6 | 1.500 / 1.900 | 1.750 | - | 60 | 105.00 |
| [illegible] | 5 | 1.000 / 1.000 | 1.000 | 0.88(733.33%) | 17,823 | 17,823.00 |
| UTB | 21 | 27.000 / 27.000 | 27.000 | - | 235 | 6,345.00 |
| [illegible] | 24 | 0.800 / 0.800 | 0.800 | 0.05(6.67%) | 151,232 | 120,985.60 |
| [illegible] | 81 | | | | 220,872 | 443,284.40 |

## მერვე ლეგიონში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო

თბილისის მერი გიგი უგულავა სამშაბათს, ისანი-სამგორის რაიონის მერვე ლეგიონის დასახლებაში, ონაშვილის ქუჩაზე, ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პრეზენტაციას დაესწრო. სამომავლოდ, დასახლებაში ე.წ. "ხრუშჩოვკების" ნაცვლად, 9 თანამედროვე სტანდარტის კორპუსის მშენებლობაა დაგეგმილი. როგორც ჟურნალისტებს უგულავამ განუცხადა, თბილისში ყველა უბანი თანაბარი მნიშვნელობის იქნება, რადგან პერიფერიებიც ისევე მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, როგორც ცენტრალური უბნები. "ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ახალი მშენებლობები სწორედ გარეუბნებიდან იწყება," - აღნიშნა მერმა. თავდაპირველად ახალი კორპუსის მშენებლობა ონაშვილის 9 ნომერში დაიწყება, სადაც 5-სართულიან საცხოვრებელ კორპუსს 12-სართულიანი კორპუსი ჩაენაცვლება. მშენებლობას სამშენებლო კომპანია "სასკო" აწარმოებს, რომელიც 60-მდე ოჯახს ახალი ბინებით დაახლოებით ერთ წელიწადში დააკმაყოფილებს. აღნიშნულ კორპუსში გასული წლის სექტემბერში ერთ-ერთი სადარბაზო ჩამოინგრა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "თელასმა" საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეთანხმება გააფორმა

თბილისის ელექტროგამანაწილებელმა კომპანია "თელასმა" სამშაბათს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ენერგეტიკის აკადემიასთან თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმა. შეთანხმება საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნასა და დარგისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ითვალისწინებს. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები "თელასისაგან" სახელობით სტიპენდიებს მიიღებენ და კომპანიაში დასაქმების პერსპექტივა გაუჩნდებათ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს "თელასი"-ს გენერალურმა დირექტორმა იური პიმინოვმა, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ და ენერგეტიკული აკადემიის პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 23/05 | 24/05 | 25/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 30 | 20 |
| რიგა | 17 | 17 | 13 |
| ვილნიუსი | 20 | 20 | 16 |
| მოსკოვი | 22 | 20 | 17 |
| მინსკი | 25 | 21 | 20 |
| პარიზი | 16 | 11 | 15 |
| რომი | 31 | 27 | 28 |
| ლონდონი | 10 | 10 | 14 |
| მადრიდი | 22 | 26 | 30 |
| ბონი | 13 | 13 | 11 |
| ვარშავა | 22 | 22 | 18 |
| ათენა | 29 | 31 | 31 |
| ბერნი | 15 | 19 | 20 |
| ამსტერდამი | 11 | 8 | 12 |
| ოსლო | 12 | 7 | 10 |
| ანკარა | 30 | 30 | 32 |
| ვარნა | 27 | 26 | 30 |
| დელი | 48 | 52 | 46 |
| ტოკიო | 22 | 26 | 26 |
| კოპენჰაგენი | 7 | 7 | 4 |
| ბაქო | 27 | 27 | 28 |
| ერევანი | 30 | 30 | 30 |
| ასტანა | 23 | 22 | 22 |
| ჰელსინკი | 11 | 5 | 10 |
| დუბლინი | 6 | 8 | 10 |
| ლისაბონი | 21 | 23 | 24 |
| პრაღა | 15 | 18 | 14 |
| სოფია | 33 | 31 | 26 |
| ბუდაპეშტი | 26 | 14 | 25 |
| ბუხარესტი | 32 | 31 | 28 |

# მთავრობა გლეხებს მიწის გადასახადის დავალიანების დაფარვას სთხოვს

თინა შავაძე

ძველი საგადასახადო კოდექსით (იგივე ნორმა გადმოტანილია მოქმედ კოდექსშიც) საგადასახადო ორგანოებს დაევალათ, მიწის გადასახადის არსებული დავალიანების შესახებ წერილობითი შეტყობინება მიწის მესაკუთრე იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის გაეგზავნათ. მაგრამ სახელმწიფო მოხელეებს დადგენილი წესით დავალების შესრულება დაეზარათ და მოქმედების სხვა გზა აირჩიეს. მათ წერილების გაგზავნის ნაცვლად, გლეხებისა და ფერმერების დავალიანება მხოლოდ მიწის გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვის სპეციალურ წიგნებში გაატარეს. აღნიშნული შეცდომის გამოსწორებისა და არსებული გადასახადების ბიუჯეტში მობილიზაციის მიზნით ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის მარტში იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც გამოიტანა - არსებული დავალიანება მიწის მესაკუთრეებისგან ადმინისტრაციული გზით მოიკრიფება.

ფრაქცია "მრეწველების" ლიდერის ზურაბ ტყემალაძის შეფასებით, ფინანსთა სამინისტრო გლეხებს 2005 წლის პირველ იანვრამდე მიწის გადასახადს უკანონოდ არიცხავს, რადგან მათთვის ვალდებულების წარმოშობის თაობაზე შეტყობინება თავის დროზე არ გაუგზავნია. ტყემალაძის განმარტებით, "ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საგადასახადო ინსპექციებს მიეცათ ინსტრუქცია, რომ 2005 წლის პირველ იანვრამდე გადასახდელი თანხა გლეხებს დაარიცხონ და ეს თანხა ამოიღონ, რაც უკანონოა. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა კანონით გათვალისწინებული წესით არ მომხდარა, შესაბამისად, ეს ვალი აღიარებული არ არის. ამიტომ, ამნისტიის შესახებ არსებული კანონის მიხედვით, აღნიშნული თანხები გლეხებს უნდა ჩამოწეროდათ."

ამ ეტაპზე, როგორც ირკვევა, საგადასახადო ინსპექციების თანამშრომლები, ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ინსტრუქციით მოქმედებენ და ეს ინსტრუქცია წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. ამნისტიის შესახებ კანონი ამბობს, რომ გლეხებს არსებული დავალიანება ჩაეთვალათ. ამდენად, გამოდის, ინსპექტორებს ფინანსთა სამინისტროს უკანონო მითითების შესრულება მოუწევთ და ამისთვის, მოსალოდნელია, პასუხისმგებლობაც კი დაეკისროთ. მაგრამ სანამ ინსპექტორები ამას გაიცნობიერებენ და აღნიშნულ ქმედებაზე უარს იტყვიან, იქამდე დეპუტატები ფინანსთა სამინისტროსგან სასწრაფო ღონისძიების განხორციელებას მოითხოვენ.

"ჩვენ მოვითხოვთ, ფინანსთა სამინისტრომ გააუქმოს საგადასახადო ინსპექციებისათვის მიცემული მითითება, გლეხებისათვის მიწის გადასახადის დარიცხვის შესახებ, და კანონის შესაბამისად იმოქმედოს," - ამბობს გიორგი ცაგარეიშვილი. რადგან გადამხდელებს წერილობითი შეტყობინება არ მისვლიათ და, ამდენად, მიწის გადასახადის გადამხდელებს წარმოშობილი ვალდებულებები შესრულებულად უნდა ჩათვლოდათ. საქმე ეხება 2005 წლის პირველ იანვრამდე მიწის გადასახადს, რომლის გადახდის შესახებ შეტყობინება, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს არ მიუღიათ. ბუნებრივია, ამიტომაც არ არსებობს არსებული დავალიანების ხელის მოწერით დადასტურება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს აუღიარებელი ვალია და პირებს საგადასახადო ვალდებულება ავტომატურად არ აკისრიათ. ამის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობით (საგადასახადო კოდექსი) ფინანსურ პოლიციას უფლება აქვს, დავალიანების არგადახდის შემთხვევაში ფერმერებსა და გლეხებს ფინანსურმა პოლიციამ მიაკითხოს და, ურჩობის გამოვლენის გამო, ქონება დაუყადაღოს.

# უძრავი ქონების საბროკერო მომსახურება – მსოფლიო ბაზარზე გამოკვეთილად თანამედროვე სერვისი

პირველი გვერდიდან

დასავლეთის ქვეყნებში უძრავი ქონების ბაზარზე გარიგება არ იდება საბროკერო-საშუამავლო კომპანიის გარეშე, უფრო მეტიც, თვითონ სამშენებლო კომპანიები არ გამოთქვამენ ამის სირვილს. ამის ნათელი მაგალითია უცხოური კომპანიების ოფისების სიმრავლე და მათი გაბნეულობა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, საბროკერო ბიზნესი განვითარებულია მხოლოდ რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, სადაც უძრავი ქონების ბაზარი საკმაოდ დიდია.

უძრავი ქონების პირველი საბროკერო-საშუამავლო კომპანია საქართველოშიც გამოჩნდა, რომელსაც შესაბამისი სახელი **"პირველი საბროკერო"** ეწოდება. იგი არც თუ ისე დიდი ხნის წინ **"საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ" ("ჯიარდისი")** დააფუძნა. აღსანიშნავია, რომ მისი ანალოგი დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს. უძრავი ქონების ბაზარი მუდმივ სიახლეებს ითხოვს. ცივილური გარემო და მაღალი დონის საშუამავლო მომსახურება, ეს ის მოთხოვნებია, რომელიც ქართველ მომხმარებელსაც გაუჩნდა. გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რომელსაც დაკმაყოფილება სჭირდება. "პირველი საბროკერო", რომელსაც დღეს საქართველოში ანალოგი არ გააჩნია, ამ ბიზნესისათვის დამახასიათებელ დასავლურ პრინციპებს გვთავაზობს.

"ჩვენი მიზანია გავხდეთ უფრო მიმზიდველები, დავნერგოთ საინტერესო სიახლეები უძრავი ქონების ბაზარზე, მაღალკვალიფიციური მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებელს, მივცეთ მათ სწორი მიმართულება და დავეხმაროთ ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში. ჩვენი პრიორიტეტია კლიენტის ინტერესზე მორგება, შესაბამისად მათ მსოფლიო სტანდარტების დონეზე კომპლექსურ მომსახურებასა და განსხვავებულ ურთიერთობებს ვთავაზობთ," - "პირველი საბროკეროს" უპირატესობებზე მიანიშნებს კომპანიის გენერალური დირექტორი **ირაკლი ყაჭეიშვილი.**

"პორველ საბროკეროს" თავისი საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის მრავალი მაგალითი აქვს უძრავი ქონების წამყვანი საბროკერო კომპანიების სახით, რომელთაც მსოფლიო სახელი აქვთ მოპოვებული.

**CB Richard Ellis** - დაფუძნდა 1906 წელს და აღიარებულია როგორც ლიდერი ბიზნეს ორგანიზაცია უძრავი ქონების მსოფლიო ბაზარზე. კომპანია ამ ეტაპზეც აგრძელებს სწრაფ გავითარებას. 300 ოფისი მსოფლიოს 500 ქვეყანაში. სპეციალისტებისა და პროფესიონალების ჯგუფი, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზე, კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. მისი ძირითად მომსახურება მოიცავს: კერძო საკუთრების გაყიდვები, იჯარა და მისი მენეჯმენტი, კორპორატიული სერვისები, პროექტის მენეჯმენტი, იპოთეკური სესხები, ინვესტირების მენეჯმენტი, შეფასების სისტემა, კონსულტირება და შესაბამისი კვლევების ჩატარება.

**King Sturge** - კომპანია მომხმარებელს კომერციულ და კერძო საკუთრებაზე ყველა სახის მომსახურებას სთავაზობს. ფირმა საოფისე, ინდუსტრიულ, დასასვენებელ და საცალო ვაჭრობის სფეროში სერვისების შეთავაზების თვალსაზრისით ლიდერია. მსფლიოში გაბნეული 100-ზე მეტი ოფისი და მომსახურების მრავალფეროვანი პაკეტი: აქტივების მენეჯმენტი, კონსულტაცია სამშენებლო სფეროში (პროექტის მენეჯმნეტი და არქიტექტურა), საქონლის გამოცოცხლება, კორპორატიული უძრავი ქონება ქონების მენეჯმენტი, ინვესტიცია, იჯარა, დაგეგმვა და შეფასება. კომპანიის მნისვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სარეზიდენციო სახის სერვისისა და საერთაშორისო ინვესტიციების განხორციელება, პროდუქტების განვითრების პროცესში მარკეტინგის და გაყიდვების სტიმულირება. მომსახურების მრავალფეროვნებამ ამ ფირმას საშუალება მისცა გამხდარიყო ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიო ბაზრის რამდენიმე სეგმენტზე.

**Knight Frank** - 140 ოფისი მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. 4,5 ათასი პროფესიონალი, 41 მილიონი დოლარის ბრუნვა წელიწადში, რომელიც კომერციულ, აგრონომიულ და საცხოვრებელი სახლების და სხვა უძრავი ქონების გაყიდვების შედეგად მიღებულ მოგებას მოიცავს. კომპანია მუდმივად აღწევდა მაღალი ხარსხის დახმარების აღმოჩენასა და მომსახურებას, რითაც კლიენტების ნდობას იმსახურებდა.

"პირველი საბროკეროს" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია უახლოეს ხანებში რომელიმე დაამყაროს თანამშრომლობითი ურთიერთობა რომელიმე საერთაშორისო საბროკერო ორგანიზაციასთან. მოლაპარაკებების ამის შესახებ დღესდღეობით ინტენსიურად მიმდინარეობს. "ჩვენი სურვილია რეგიონალური იფისის სახე მივიღოთ, სათაო ოფისი იყოს თბილისში, და წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რაც რევოლუციურად გაგვწევს წინ," - იმედოვნებენ კომპანიაში.




## DAWF მზადაა, გერმანელ ბიზნესმენებს დაეხმაროს

აზერბაიჯანი-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (DAWF) მზადაა, გერმანელ ბიზნესმენებს აზერბაიჯანში საქმიანი პარტნიორების მოძიებაში დაეხმაროს. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, ამის შესახებ DAWF- ის მმართველობის თავმჯდომარემ ფლორიან შრედერმა აზერბაიჯანი-გერმანიის ბიზნესფორუმზე განაცხადა. მისი განმარტებით, აზერბაიჯანში ბოლო 8 წლის განმავლობაში ეკონომიკა სტაბილური ტემპებით ვითარდება, ხოლო 2005 წელს მშპ-ს 26,4-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. შრედერის თქმით, გერმანელი ბიზნესმენებისათვის აზერბაიჯანში შესაძლებელია საინტერესო იყოს სამშენებლო ბიზნესი, ავეჯის წარმოება, ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იმპორტი, ნავთობის მრეწველობა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. "ტრენდის" ინფორმაციით, გერმანიის ტექნიკური დახმარების ორგანიზაცია (GTZ) უკვე მონაწილეობს აზერბაიჯანის საფეიქრო მრეწველობაში, რაც ამ დარგით დაინტერესებულ გერმანულ კომპანიებს პროდუქციის დსთ-ს და ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის საშუალებას მისცემს. 2005 წელს გერმანულმა კომპანიებმა აზერბაიჯანში 160 მლნ ევროს ინვესტიცია ჩადეს, ძირითადად, ნავთობის სექტორში. ყველაზე მსხვილი გერმანული ინვესტიციაა კომპანია Siemens-ის მიერ სუმგაითის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რასაც Bayerische Landesbank -ი 300 მლნ ევროთი აფინანსებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## შემოდგომაზე აზერბაიჯანმა, შესაძლოა, ევრობონდების გამოშვება დაიწყოს

მიმდინარე წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანმა, შესაძლოა, ევრობონდების გამოშვება დაიწყოს. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, ამის შესახებ აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ჰეიდარ ბაბაევმა ინგლისში ვიზიტისას განაცხადა. ბაბაევის განმარტებით, ამისათვის აზერბაიჯანმა თავდაპირველად მეორე სუვერენული რეიტინგი უნდა მიიღოს, რისთვისაც ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს სარეიტინგო სააგენტო Moodys-თან. მისივე თქმით, აზერბაიჯანი 250-500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ევრობონდების გამოშვებას გეგმავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანში მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 39,5 პროცენტია

მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში აზერბაიჯანში მშპ-ს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39,5 პროცენტით გაიზარდა. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტიდან აცნობეს, მოქმედი ფასებით მშპ-ს მოცულობა 1 სულ მოსახლეზე 589,2 აშშ დოლარია. "ტრენდის" ინფორმაციით, მშპ-ში მრეწველობის წილი 58,7 პროცენტით გაიზარდა შარშანდელთან შედარებით და 67,6 პროცენტი შეადგინა, პროდუქციის იმპორტიდან მიღებულმა წმინდა გადასახადებმა მშპ-ში 7,4 პროცენტი შეადგინა. მშენებლობის სექტორი მშპ-ს მაჩვენებლში 8,9 პროცენტით არის წარმოდგენილი, ტრანსპორტი - 6,2 პროცენტით.

## "აზერენერჯი" მინგეჩიავირის თბოელექტროსადგურის რეკონსტრუქციისათვის ტექნიკურ კონსულტანტს არჩევს

კომპანია "აზერენერჯი" მაისის ბოლომდე მინგეჩიავირის თბოელექტროსადგურის რეკონსტრუქციისათვის ტექნიკურ კონსულტანტს შეარჩევს. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" "აზერენერჯიდან" აცნობეს, კომპანიამ უკვე მიიღო წინადადებები იაპონური, გერმანული და ფინური საკონსულტაციო კომპანიებისაგან. "ტრენდის" ინფორმაციით, მათ შორის საუკეთესოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი შეარჩევს, რომელმაც "აზერენერჯის" საკრედიტო ხაზი უნდა გაუხსნას.

სააგენტოს ცნობით, აღნიშნული თბოელექტროსადგური 80-იან წლებშია აშენებული და აზერბაიჯანში სიმძლავრით ყველაზე დიდი სადგურია 8 ენერგობლოკით, რომელთა თითოეულის სიმძლავრე 300 მეგავატია. რეკონსტრუქციის პროექტი 7 ენერგობლოკის გარემონტებას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ტურინში ქართველებმა კარგი სტარტი აიღეს



C2

ჩოგბურთი "ავსტრიის ავიახაზებთან"



C3

შევა - მოკრძალებული, მშვიდი და მოდური



C4



## სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

| | |
|---|---|
| **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** | 21 33 67 |
| **სარეკლამო სამსახური:** | 21 33 54, 33 23 11 |
| **სპორტული რედაქცია:** | 33 17 15 |




# "მწუხარების მთაზე" იუბილეა

## გიორგი თორთლაძემ და სერგეი ბოგომოლოვმა მანასლუ დაიპყრეს



ბიბა ბურასაშვილი

*მარტის ბოლოს გია თორთლაძე რუს სერგეი ბოგომოლოვთან ერთად ჰიმალაებში წავიდა. მიზანი დედამიწის 14 რვაათასიანი მწვერვალიდან ერთ-ერთის - მანასლუს (8163მ.) დაპყრობა გახლდათ. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ახლა ირკვევა, რომ ქართველ და რუს მთამსვლელებს მანასლუ დაუპყრიათ (კლასიკური მარშრუტით)!*

მწვერვალი მანასლუ (ლაშქრობისთვის ხელსაყრელი თვეებია აპრილი, მაისი, სექტემბერი, ოქტომბერი) ნეპალში მთავარი ჰიმალაური ქედის სამხრეთით მდებარეობს. მანასლუ სიტყვასიტყვით "მწუხარების მთას" ნიშნავს და სიმაღლით დედამიწის რიგით მერვე მწვერვალია. ასვლების სტატისტიკაც მოვიშველიოთ: 8-ათასიანი მწვერვალი 190 მთამსვლელს დაულაშქრავს. "მწუხარების მთა" ქალ მთამსვლელებს არ სწყალობს. მანასლუს პირველად დაპყრობიდან (1956 წლის 9 მაისს ის იაპონიის ექსპედიციის წევრებმა ჩრდილოეთიდან დალაშქრეს.-რედ.) დღემდე მწვერვალზე ერთადერთი ქალი ავიდა. საერთოდ, მანასლუს მუხთალი ხასიათის სტატუსი აქვს - 38 მთამსვლელი საკუთარ კალთებზე დატოვა.

მწვერვალი, რომლის დაპყრობასაც მთამსვლელები თავს არიდებენ, წლეულს პირველი დაპყრობიდან 50 წლის იუბილეს აღნიშნავს. მწვერვალის მცირერიცხოვან დამლაშქრავთა შორის ქართველი მთამსვლელიცაა.

ახლა უშუალოდ ექსპედიციაზე, რომელიც "პლანეტის 14 რვაათასიანის" ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო სერგეი ბოგომოლოვი, რომელსაც დედამიწის ყველა რვაათასიანი მწვერვალის დაპყრობა განუზრახავს. მანასლუს დალაშქვრის შემდეგ რუს მთამსვლელს აქტივში დაუგროვდა 13 რვაათასიანი - 1989 წელს კანჩენჯანღა (8586მ.), 1991 წელს ჩო-ოიუ (8201მ.), 1993 წელს დჰაულაგირი (8167მ.), 1995 წელს ევერესტი (8850მ.), 1996 წელს მაკალუ (8463მ.), 1997 წელს ლჰოცე (8501მ.), 2001 წელს ჰიდენ პიკი (8068მ.) და გაშერბრუმი 2 (8035მ.), 2002 წელს შიშა-პანგმა ცენტრალური (8008მ.) და შიშა-პანგმა მთავარი (8027მ.), 2003 წელს ნანგა-პარბატი (8125მ.) და ბროუდ პიკი (8047მ.) და ახლა უკვე მანასლუ. ერთადერთი მწვერვალი, რომელზეც რუს მთამსვლელს არ დაუდგამს ფეხი, ანაპურნაა (8091მ.). მისი დაპყრობის შემთხვევაში კი გაერევა იმ 12 მთამსვლელთა მარაქაში, რომლებსაც დედამიწის თოთხმეტივე 8-ათასიანი მწვერვალი დაულაშქრავთ (მათ ნუსხას ქვევით იხილავთ).

რაც შეეხება გია თორთლაძეს, დღეიდან მის აქტივში ექვსი 8-ათასიანი მწვერვალია: შიშა-პანგმა (1992 წ.), დჰაულაგირი (1995 წ.), ჩო-ოიუ (1996 წ.), ევერესტი (1999 წ.), ლჰოცე (2002 წ.) და მანასლუ. 1996 წელს შიშა-პანგმა (ალპური სტილით) და 2001 წელს ევერესტი მეორედ დაიპყრო. მანასლუს დასაპყრობა სამჯერ (1997-98-99 წლებში) სცადა, მაგრამ სამჯერვე წარუმატებლად.

ახლა წარმატებული ექსპედიცია გავაცოცხლოთ და ეტაპობრივად დღიურებს გადავავლოთ თვალი (ბოგომოლოვსა და თორთლაძეს მანასლუს დაპყრობა 9 მაისს სურდათ. ასე რომ, დღიურების კითხვასაც სწორედ 9 მაისიდან შევუდგეთ).

**9 მაისი:**

"უიღბლობაც ამას ჰქვია. მანასლუზე ასვლა სწორედ ახლა - გამარჯვების დღეს გვსურდა. გუშინ 23:00 საათზე მე-3 ბანაკიდან (6900მ.) გავედით და დღეს 08:00 საათზე პლატოზე ვიყავით, საიდანაც მწვერვალამდე 6-7 საათის სავალია. 12:00 საათისთვის ჩვენს თავზე ღრუბლები შეგროვდა და ხილვადობა გაგვიჭირდა. ამასთან, ადგილზე დავრჩით ოთხი საათი, ვიდრე ქარბუქი (100 კმ/სთ) არ ამოვარდა. ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებდა კაცი, მაგრამ მერე ქარბუქი მიყუჩდა.

**11 მაისი:**

საბაზო ბანაკში მოღუშული დღეა. ნისლი ჩამოწვა. წვიმს თუ თოვს, ვერ გაიგებ. ერთი იაპონელი ქალბატონი 6900 მეტრზე აბობღდა და ისტერიკა მოაწყა - უამრავი ფული გადავიხადე და აქედან მწვერვალზე აუსვლელად არსად წავალო.

**12 მაისი:**

საბაზო ბანაკში ვართ. დილიდან საღამომდე ცა მოწმენდილია.

**15 მაისი:**

მე-3 ბანაკი 6800 მეტრზე გავშალეთ. დროსა და სივრცეში დავიკარგეთ. დავიღალეთ.

**16 მაისი:**

მე-4 ბანაკი 7400 მეტრზე გავშალეთ. მწვერვალზე ასვლის ტაქტიკა შევცვალეთ. ამინდი ჭირვეულობს.

**17 მაისი:**

მე და გია 04:40 საათზე მწვერვალისკენ დავიძარით. ნეპალის დროით 11:30 საათზე მწვერვალზე ავედი. გია 12:45 საათზე ამოვიდა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## ტურინში ქართველებმა კარგი სტარტი აიღეს



ხურციძემ ოლიმპიადა ორი მოგებით დაიწყო.

20 მაისს იტალიის ქალაქ ტურინში სტარტი აიღო საჭადრაკო ოლიმპიადამ, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

ჩვენმა გოგონებმა კარგად დაიწყეს. პირველ ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები ისლანდიის გუნდს დაუპირისპირდა. ხურციძემ, ჯავახიშვილმა და ძაგნიძემ იოლად დაამარცხეს მეტოქეები და პირველი ტურის შემდეგ ქართველებს ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ. მეორე დღეს ჩვენი მეტოქე ბელორუსის გუნდი იყო. ხურციძემ და ჯავახიშვილმა ისევ გაიმარჯვეს. დასანანი მარცხი იწვნია მესამე დაფაზე ლომინეიშვილმა. ორი ტურის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრები მესამე ადგილზე იყო.

ვაჟთა ნაკრები პირველი ორი ტურის შემდეგ მე-17 ადგილზე იყო. პირველ ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა იოლად დაამარცხეს მეტოქე და ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს. მეორე ტურში კი ჩვენი ვაჟები ირანის ძლიერ გუნდს დაუპირისპირდნენ. ფანცულაიამ, ყაჭეიშვილმა და გაგუნაშვილმა თავიანთი პარტიები ფრედ დაასრულეს. საქართველოს ნაკრებს გამარჯვების ქულა თამაზ გელაშვილმა მოუტანა.

გუშინ შეჯიბრების მესამე ტური გაიმართა. ქართველი ქალები სლოვენიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. მატჩი დაძაბული გამოდგა და ფრედ 1,5:1,5 დასრულდა. სამივე ქართველმა ქალმა თავისი პარტია ფრედ ითამაშა.

რაც შეეხება მამაკაცებს, ჩვენი ნაკრები კოლუმბიელებს ეთამაშებოდა. ფანცულაიამ, ჯობავამ და არუთუნიანმა ფრედ ითამაშეს. ყაჭეიშვილმა კი ბარიენტოსი დაამარცხა და საქართველოს ნაკრებს მორიგი გამარჯვება მოუტანა.

მესამე დღეს პირველი ქულები დაკარგა ოლიმპიადის უდავო ფავორიტმა რუსეთის ნაკრებმა, რომელსაც აქამდე ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა.

დღეს ტურნირის მეოთხე ტური უნდა გაიმართოს.

## გეორ-გიამ პლაჟი დაგვანახა

ის, რომ ორი ბრაზილიელი პლაჟის ფრენბურთელი საქართველოს მოქალაქე გახდა, ამაზე ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ მათი შემდგომი სპორტული კარიერის თაობაზე ცოტა ვინმემ თუ იცის.

გუშინ შანხაიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ქართველმა ბრაზილიელებმა გეორ-გიამ (სწორედ ასე მონათლეს რენატო გომეში და ჟორჟე ტეჩეირა), ჩინეთის ღია ტურნირზე სამიდან სამი შეხვედრა მოიგეს, შესაბამისი თანამიმდევრობით მესამე წრეში იაპონელებთან, მეორეში - კუბელებთან და პირველში - კანადელებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი კუბელებზე გამარჯვებაა, რადგან მათ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ.

ჩინეთის ღია ტურნირში, რომელიც მსოფლიო ტურის ფარგლებში მიმდინარეობს, 24 ქვეყნის 58 სპორტსმენი ასპარეზობს. მათ შორის არგენტინელები, ავსტრალიელები, ავსტრიელები, ახალზელანდიელები, ბრაზილიელები, კანადელები, ხორვატები, ესტონელები, ფრანგები, გერმანელები, ესპანელები, იტალიელები, იაპონელები, ყაზახები, ნორვეგიელები, პუერტორიკოელები, რუსები, შვედები, შვეიცარიელები, უკრაინელები, ვენესუელელები, ჰოლანდიელები, მასპინძლები და ქართველი ბრაზილიელები.

ერთი სიტყვით, ჩინეთის ღია ტურნირზე პლაჟის ფრენბურთის წამყვანი ქვეყნები მონაწილეობდნენ. გუშინდელი ჰეთ-თრიკის შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრებმა 32 საუკეთესო გუნდს შორის დაიკავეს ადგილი და სადღეისო ძირითად ბადეში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქეები, ამასთან, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ყოფილი თანამემამულეები იქნებიან.

შეჯიბრება ხუთდღიანია (23-27 მაისი), საპრიზო ფონდი - 400 ათასი დოლარი.

## "ტოიოტა" დებიუტისთვის ემზადება

ფორმულა 1-ის გუნდი "ტოიოტა" მონტე კარლოს გრან-პრიზე თავის ახალ ბოლიდს TF106B-ს წარადგენს. ახალმა მანქანამ სამი კვირის განმავლობაში გაიარა ტესტები და მონაკოში დებიუტი ექნება.

"ჩვენი ახალი ბოლიდის დებიუტი მნიშვნელოვანი მოვლენაა გუნდის არსებობის ისტორიაში. ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში უფრო სრულყოფილი ბოლიდი გვეყოლება", - აცხადებს "ტოიოტას" წარმომადგენელი პასკალ ვასელონი.

## ვინ შეცვლის ალონსოს

მოგეხსენებათ, ფერნანდო ალონსო "რენოს" დატოვებას აპირებს. ამ გუნდის მფლობელმა ფლავიო ბრიატორემ დაასახელა იმ ხუთი პილოტის ვინაობა, რომლებმაც შესაძლოა შეცვალონ მსოფლიო ჩემპიონი. ამ ხუთეულში მოხვდნენ მიხაელ შუმახერი და კიმი რაიკონენი. ამავე დროს ბრიატორე ამბობს, რომ ალონსოს წასვლის შემდეგ გუნდის პირველი პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა იქნება.

# "დინამო" პარლამენტში

მიხეილ აბაიშვილი



ძველი დინამოელები პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო.

1981 წლის 13 მაისის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით გუშინ კიდევ ერთი ღონისძიება მოეწყო - ვეტერან დინამოელებს საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა. საკანონმდებლო ორგანოს ესტუმრნენ ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ოთარ გაბელია, რევაზ ჩელებაძე, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით მუჯირი, თამაზ კოსტავა, ვახტანგ ქორიძე, გია თავაძე, კარლო მჭედლიძე, ამირან ანდღულაძე, ვაჟა ჟვანია, ნუკრი კაკილაშვილი და სერგო კუტივაძე. ვეტერან დინამოელებთან ერთად პარლამენტს ეწვივნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი დავით კოვზირიძე. პარლამენტში გამოიფინა დაუვიწყარი გამარჯვებისადმი მიძღვნილი ექსპონატები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ ქარვასლაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე წარმოადგინეს.

სხდომა გაიხსნა დინამოელებთან მისალმებით და ხანგრძლივი ოვაციით, რის შემდეგაც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: "მსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ ქართველი ხალხის გახარებისთვის, იმ სიხარულისთვის, რომელიც მაშინ მთელ საქართველოს მიანიჭეთ! ის ემოცია ახლაც მახსოვს... ჩვენი სამშობლო ყოველთვის იამაყებს თქვენით!"

პარლამენტმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ნოდარ ახალკაცის, ვიტალი დარასელიას, დავით ყიფიანის, კოტე მახარაძის, ზაქარია თელიას და გივი ნოდიას ხსოვნას.

"დიდი მადლობა ასეთი დაფასებისთვის - იმ გამარჯვების შემდეგ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ ქართველი ხალხის, გულშემატკივრების სიყვარულს", - განაცხადა 1981 წლის "დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანმა, უეფას ღალის ორდენის კავალერმა ალექსანდრე ჩივაძემ.

მანვე პარლამენტის თავმჯდომარეს ვეტერანი დინამოელების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი უსახსოვრა. ნინო ბურჯანაძის თქმით, ეს ერთ-ერთი უძვირფასესი საჩუქარია, რაც პარლამენტს სტუმრებისგან მიუღია.

# ახალგაზრდულმა სლოვაკეთში კარი გამოიჯახუნა

## საქართველო - ირლანდია 3:2

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო "ელიტჯგუფის" კარი გამოიჯახუნა. გუშინ ჩვენმა ახალგაზრდულმა დასკვნითი მატჩი გამართა ირლანდიის ნაკრებთან. მატჩის შედეგი სატურნირო მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, ჯგუფიდან ერთადერთი საგზურის მფლობელის გამორკვევაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენდა. როგორც საქართველოს, ისე ირლანდიის 19 წლამდელთა ნაკრები პირველ ორ ჯგუფურ თამაშში დამარცხდა. ასე რომ, ამ მატჩს მხოლოდ სტატისტიკური თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა და გამარჯვებული გუნდისთვის არაფრისმთქმელ მესამე ადგილთან ერთად მხოლოდ მორალური კმაყოფილების მოტანა შეეძლო.

თუმცა, საფეხბურთო კარიერის სტარტზე მყოფი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ბრიტანეთის თუნდაც არცთუ ძლიერ წარმომადგენლებთან - ირლანდიელებთან წარმატებას დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და საპატიო გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ჩვენს ნაკრებს სერიოზული ძალა გამოაკლდა გიორგი განუგრავას სახით. "ზესტაფონის" საყრდენმა ნახევარმცველმა წინა ჯგუფურ მატჩში (სლოვაკეთთან) უხეში თამაშისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა და ირლანდიელებთან თამაშს ტრიბუნებიდან ადევნა თვალი. თუმცა, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდისთვის ამას დიდად არ შეუშლია ხელი. მართალია, მსაჯის სასტარტო სასტვენისთანავე ირლანდიელებმა მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს და ინიციატივის დაუფლებას შეეცადნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა, ასე ვთქვათ, სწრაფად "დაალაგა" თამაში და მეტოქის კარზე რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩვენი გარემარბები კვარაცხელია და კობახიძე, რომელთა ნეიტრალიზებას ირლანდიელები ვერ ახერხებდნენ. ჯერ კობახიძის მიერ მარცხენა ფლანგზე წამოწყებული იერიში დასრულდა მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებით, რის შემდეგაც წინამძღვრიშვილმა ბურთი თავით დაუგდო გოცირიძეს, მაგრამ მას დარტყმა არ გამოუვიდა. მე-9 წუთზე უკვე საპირისპირო ფლანგიდან ჩააწოდა კვარაცხელიამ და რატი წინამძღვრიშვილმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გაშვებულმა "სწრაფმა" გოლმა ბრიტანელები დააბნია და მათ კარზე დაწოლა გაგრძელდა. ასეთმა ტაქტიკამ ხუთ წუთში კიდევ ერთხელ გამოიღო შედეგი: სტანდარტული მდგომარეობიდან მაილაშვილის ჩაწოდების შემდეგ ბურთი თბილისის "დინამოს" მცველს თომაშვილს მიუვიდა, რომელმაც მეტოქის დაცვის ხაზის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

შემდეგაც სრულ უპირატესობას ჩვენები ფლობდნენ. 29-ე წუთზე განხორციელებული სწრაფი კონტრშეტევა რომ არა (რის შემდეგაც ირლანდიელებმა ერთი გოლი გაქვითეს), ჩვენებს შესაძლოა დიდი ანგარიშითაც მოეგოთ. მაგრამ პოლ კელის გოლმა მოედანზე ვითარება შეცვალა და ჩვენები თამაშის შედარებით ფრთხილ მანერაზე გადავიდნენ. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა: 2:1 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში იყო და არც ერთ, არც მეორე კართან სახიფათო მომენტი არ იქმნებოდა. გამარჯვების გოლი 76-ე წუთზე გავიდა: გოცირიძემ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ორი მეტოქე მოატყუა და მოჭრილი დარტყმით მეკარისგან შორეულ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა.

ერთადერთი, რაც ამის შემდეგ ირლანდიელებმა შეძლეს, 90-ე წუთზე გატანილი მეორე საპასუხო გოლია. მატჩი დასრულდა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

ჩვენმა ახალგაზრდულმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თევდორაძე, თომაშვილი, კობახიძე, ბჟალავა, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი, გვაძაბია, კახელიშვილი (ბენაშვილი, 35`), ხოხონიშვილი (მჭედლიშვილი, 56`), მაილაშვილი, კვარაცხელია (ჩირიკაშვილი, 62`).

ირლანდიელებთან მატჩამდე საქართველოს ნაკრები ჯერ თურქებთან დამარცხდა (0:6), შემდეგ - სლოვაკებთან (1:4) და საერთო ჯამში სამი ქულით მესამე ადგილი დაიკავა. "ელიტ ჯგუფში" კი სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა, პირველი ადგილი დაიკავა და ამ ასაკის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა თურქეთის ნაკრებმა. თურქებმა გუშინ დაძაბულ ბრძოლაში სლოვაკები დაამარცხეს - 2:1.

# "მწუხარების მთაზე" იუბილეა

პირველი გვერდიდან

ჩვენთან ერთად ამოვიდა ორი გერმანელი, ერთი იაპონელი ქალბატონი და ორი შერპი. ამჟამად მე-4 ბანაკში ვართ. ხვალ საბაზო ბანაკში ვეშვებით.

**18 მაისი:**

საბაზო ბანაკში ვართ. მანასლუ არ გვიშვებდა. გაგვაფრთხილეს კიდეც, 18 მაისს ამინდი აირევაო. ქარიშხალი ამოვარდა. მთელი ღამე კარვებს გლეჯდა. ისეთი ამინდი იყო, ნიღბის გარეშე ცხვირს ვერ გამოყოფდი. მერე დაშვება დავიწყეთ. არაქათი გამოგვეცალა. ვერ ვპოულობთ პირველ ბანაკს.

**19 მაისი:**

კიდევ ერთი ღამე საბაზო ბანაკში და ქვევით - დაბლობისკენ ვეშვებით.

**20 მაისი:**

სამდოდან (3800მ.) ლარკას უხელტეხილი (5000მ.) გადავლახეთ და ბიმტანგში (3600მ.) ჩამოვედით. გზაში 12 საათი დავკარგეთ, მაგრამ ეს ის დატვირთვა არ არის, რაც მაღლა. აქ უფრო თბილა და არც თოვლია. რაც მთავარია, ჟანგბადია მეტი. მეშვიდე დღეა არ დაგვისვენია. ერთი სიტყვით, საბაზო ბანაკს ზევით 42 დღე გავატარეთ.

**22 მაისი:**

ისეთ ზონაში მოვხდით, ვერაფერს ვხედავთ. დორაპანამდე (1900მ.) ჩამოვედით. შევიტყვეთ, რომ 18-ში მეფემ უფლებამოსილება დატოვაო (ნეპალელებმა მეფის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები მოაწყვეს.-რედ.).



სამი წარუმატებელი ექსპედიციის შემდეგ თორთლაძემ მანასლუ დაიპყრო.

**23 მაისი:**

იაგატამდე დავეშვით (1300მ.). აქ უკვე მართლა თბილა.

ბულბულში ჩამოვედით (850მ.). გზაში მაოისტებს შევხვდით, რომლებმაც პარტიისა და საზოგადოების განვითარებაზე საკუთარი შეხედულებები გაგვაცნეს. მეფის მმართველობით უკმაყოფილონი ჩანდნენ. რაც მალე დაისადგურებს აქ სიმშვიდე, მით უკეთესი.

### მთამსვლელები, რომლებმაც თოთხმეტივე 8-ათასიანი მწვერვალი დალაშქრეს

1. რეინჰოლდ მესნერი (იტალია) - ჟანგბადის ბალონების გარეშე
2. ეჟი კუკუჩკა (პოლონეთი)
3. ერხარდ ლორენტალი (შვეიცარია) - ჟანგბადის ბალონების გარეშე
4. კარლოს კარსოლიო (მექსიკა)
5. კჟიშტოფ ვიელიცკი (პოლონეთი)
6. ხუანიტო ირასაბალი (ესპანეთი) - ჟანგბადის ბალონების გარეშე
7. სერჯო მარტინი (იტალია)
8. იანგ სეოკ პარკი (კორეა)
9. ჰონგ-გილ უმი (კორეა)
10. ალბერტო ინურატეგი (ესპანეთი) - ჟანგბადის ბალონების გარეშე
11. ვანგ-იონგ ჰანი (კორეა)
12. ედმუნდ ვისტურსი (აშშ) - ჟანგბადის ბალონების გარეშე.

## ინფოთეკა

### კუიტს ინგლისში სურს თამაში

ჰოლანდიის ნაკრებისა და როტერდამის "ფეიენოორდის" ფორვარდმა დირკ კუიტმა განაცხადა, რომ ინგლისში სურს კარიერის გაგრძელება. "ყოველთვის მინდოდა ინგლისში თამაში. ბავშვობაში ძალიან მომწონდა იტალიური ფეხბურთიც, მაგრამ ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა: "მილანში" ჩემი კერპი მარკო ვან ბასტენი თამაშობდა", - აცხადებს კუიტი.

ცნობილია, რომ კუიტის შეძენა "ნიუკასლს" სურს.

### კლემენტე "ატლეტიკიდან" არ გაუშვეს

ბილბაოს "ატლეტიკის" პრეზიდენტმა ფერნანდო ლამიკიზმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდის მწვრთნელი ხავიერ კლემენტე მომავალ სეზონშიც ამ თანამდებობაზე დარჩება. კლემენტემ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში მესამედ მივიდა "ატლეტიკში", წლეულს გუნდი პრიმერადივიზიონიდან გავარდნას გადაარჩინა და საბოლოოდ მეთორმეტე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ 1983 წელს ბილბაოს "ატლეტიკმა" სწორედ ხავიერ კლემენტეს თავკაცობით მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი და თასი.

### ხოაკინი და ნავასი "რეალში"?

მადრიდის "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ბენიტო ფლორომ დაადასტურა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია "ბეტისის" ნახევარმცველის ხოაკინისა და "სევილიას" ჰავბექის ხესუს ნავასის შეძენით. ბენიტო ფლორო მიიჩნევს, რომ "სამეფო გუნდს" აუცილებლად სჭირდება ნახევარდაცვის გაძლიერება და ორივე ეს ფეხბურთელი ამ პოზიციას კარგად მოერგება.

### დელ ორნოს "ჩელსიდან" წასვლა არ უნდა

ლონდონის "ჩელსის" ესპანელი მცველის ასიერ დელ ორნოს თქმით, დიდი სურვილი აქვს მომავალ სეზონშიც "სტემფორდ ბრიჯზე" ითამაშოს. მიუხედავად იმისა, რომ "ატლეტიკის" ყოფილმა მოთამაშემ ინგლისურ ფეხბურთთან დღემდე ვერ შეძლო ადაპტირება, დარწმუნებულია, რომ მომდევნო სეზონში კრიტიკოსებს გააჩუმებს. 25 წლის ესპანელი მცველის "არისტოკრატებიდან" წასვლის შესახებ ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც მადრიდის "რეალში" მარცხენა ფლანგზე მოთამაშე რობერტო კარლოსმა "ჩელსიში" თამაშის სურვილი გამოთქვა. "კლუბთან კონტრაქტი სამი წლის შემდეგ მიმთავრდება. დარწმუნებული ვარ, მანამდე "სტემფორდ ბრიჯზე" დავრჩები", - განაცხადა ასიერ დელ ორნომ.

### როსიცკი "მეთოფეა"

ინგლისური პრესის ცნობით, ლონდონის "არსენალმა" ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ჩეხეთის ნაკრებისა და დორტმუნდის "ბორუსიას" ნახევარმცველთან ტომაშ როსიცკისთან. "მეთოფეთა" ხელმძღვანელობის განცხადებაში ნათქვამია, რომ კონტრაქტი რამდენიმეწლიანია და მისი პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება. უეფა-ს ვებგვერდის ინფორმაციით, ლონდონელებს ჩეხი ფლეიმეიქერის შეძენა 10 მილიონი ევრო დაუჯდათ. "გვიხარია, რომ ტომაში ჩვენს გუნდში იასპარეზებს. მას ბურთის ფლობის კარგი ტექნიკა და ბრწყინვალე გადაცემები აქვს. მოუთმენლად ველით გუნდში მის გამოჩენას. მანამდე კი, ჩეხეთის ნაკრებთან ერთად, წარმატებას ვუსურვებთ მსოფლიო ჩემპიონატზე", - აღნიშნა "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. "არსენალი" საუკეთესო კლუბია მთელ ევროპაში და მისთვის ყველაფერს გავიღებ", - განაცხადა ტომაშ როსიცკიმ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მოირგებს ლონდონური კლუბის მაისურას.

### ანჩელოტის სილვა და ემერსონი ესიმპათიურება

"მილანის" მთავარი მწვრთნელი ლონდონის "არსენალში" მოთამაშე ჟილბერტო სილვათი და ტურინის "იუვენტუსში" მოასპარეზე ბრაზილიელი ემერსონით დაინტერესდა.

"ვფიქრობ, იმისთვის, რომ ნახევარდაცვის ხაზში კიდევ უფრო გავაძლიეროთ თამაში, პირლოს მაქსიმალური თავისუფლება უნდა მივანიჭოთ. თუ გუნდში შემტევი ჰავბექი გვეყოლება, ამით ანდრეას ხელს შევუწყობთ. ამ პრობლემას კი გადაგვიჭრიან ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან ემერსონი და ჟილბერტო სილვა", - განაცხადა კარლო ანჩელოტიმ.

## ინფოთეკა

### რეინამ ქორწილი გადადო

ესპანური "მარკას" ცნობით, ქვეყნის ეროვნული ნაკრების მეკარემ ხოსე მანუელ რეინამ მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაგეგმილი ქორწილი გადადო.

ინგლისური "ლივერპულის" ესპანელმა კარის დარაჯმა გასულ კვირას ცოლად შეირთო მეგობარი გოგონა იოლანდე რუისი, თუმცა საქორწილო ცერემონიალისგან თავი შეიკავა, რათა მუნდიალის წინ მხოლოდ ფეხბურთზე ეფიქრა.

"ჩემი ახალი ამპლუით ძალიან ბედნიერი ვარ, თუმცა თაფლობის თვის გატარება 22 ფეხბურთელთან ერთად მომიწევს", - განაცხადა 24 წლის ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ ხოსე მანუელ რეინა ესპანეთის ნაკრების მესამე მეკარეა "რეალის" გოლკიპერის იკერ კასილასისა და "ვალენსიას" სანტიაგო კანისარესის შემდეგ.

### ნისტელროი მხოლოდ ნაკრებზე ფიქრობს

ჰოლანდიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას, რომელ კლუბში გააგრძელოს კარიერა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს.

"შესაძლოა, ჩემი სპორტული კარიერისთვის უკეთესიც იყოს, თუ "მანჩესტერ იუნაიტედიდან" წავალ. მეორე მხრივ, კონტრაქტის თანახმად, გუნდში კიდევ ორი სეზონი უნდა დავრჩე. ახლა მთლიანად ნაკრებზე და გერმანიაში თამაშზე ვარ კონცენტრირებული. ამიტომ ჩემს აგენტს ვთხოვე, საკლუბო საკითხებზე არ შემაწუხოს", - განაცხადა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა.

რუუდ ვან ნისტლეროით დაინტერესებას უკვე გამოთქვამენ მილანის "ინტერი", მადრიდის "ატლეტიკო" და ინგლისური "ტოტენჰემი" და "ნიუკასლ იუნაიტედი".

### სად წავა გუდიონსენი?

მომავალი სეზონიდან ლონდონის "ჩელსის" 27 წლის თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი, შესაძლოა, კატალონიის "ბარსელონაში" აღმოჩნდეს. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩემპიონთა თასის მფლობელი "ბარსა" "ვილიარეალიდან" ურუგვაელ ფორვარდს დიეგო ფორლანდს ვერ დაიმატებს.

ესპანური "მარკას" ცნობით, კატალონიურ კლუბს ურუგვაელის ალტერნატივად "სარაგოსაში" მოთამაშე დიეგო მილიტო და "იუვენტუსის" ფეხბურთელები ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დავიდ ტრეზეგე ესახება.

ცნობისთვის: ეიდურ გუდიონსენი "ჩელსიში" 2000 წლიდან თამაშობს.

### "ფენერბახჩემ" კემპბელი უარყო

თურქულმა "ფენერბახჩემ" უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში კლუბი ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელს სოლ კემპბელს შეიძენდა.

რამდენიმე დღის წინ ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "მეთოფეთა" მცველს ერთი ნაბიჯიღა აკლდა თურქულ კლუბში გადასასვლელად. სახელდებოდა სავარაუდო ტრანსფერის თანხაც - 8 მილიონი ევრო.

### ეტოო ისრაელს ესტუმრა

კამერუნის ნაკრებისა და ესპანური "ბარსელონას" თავდამსხმელი სამუელ ეტოო ისრაელში, ქვეყნის პრეზიდენტის შიმონ პერესის ოფიციალური მიწვევით ჩავიდა.

უკვე რამდენიმე წელია პერესი - ცნობილი პოლიტიკოსი და ნობელიის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში - ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარებისთვის იბრძვის. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად კი ისრაელის პრეზიდენტს საერთაშორისო ღონისძიების ჩატარება მიაჩნია, რომელშიც კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

სამუელ ეტოო მონაწილეობას მიიღებს საგანგებოდ მოწყობილ აუქციონში, რომელშიც ცნობილი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების პირადი ნივთები გაიყიდება. შემდეგ კამერუნელი თავდამსხმელი გამართავს ამხანაგურ მატჩს, რომელიც სპორტში რასიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა გადაირიცხება უკიდურესად გაჭირვებულ ბავშვთა ფონდში.

# ჩოგბურთი "ავსტრიის ავიახაზებთან"

*14/16 წლამდელთა გოგონათა და ჭაბუკთა საჩოგბურთო საერთაშორისო ტურნირს ავსტრიის ავიახაზების თასს (AUSTRIAN AIRLINES CUP) წლეულს მერვედ მასპინძლობს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები". ასპარეზობა, რომელიც ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით ტარდება, იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში, ასე ვთქვათ, შინიდან გაუსვლელად ქართველ სპორტსმენებს სარეიტინგო ქულების აღება შეუძლიათ.*



თბილისში ავსტრიის ავიახაზების თასის გათამაშება მიმდინარეობს.

ავსტრიის ავიახაზების თასის წლევანდელმა გათამაშებამ მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. მთავარ ჯილდოს ერთმანეთს ეცილებიან აზერბაიჯანის, ბელორუსის, ესტონეთის, ისრაელის, სომხეთის, უკრაინისა და საქართველოს 110 ჩოგბურთელი (55 გოგონა და 55 ვაჟი).

ერთი სიტყვით, ავსტრიის ავიახაზების თასის მერვე გათამაშებით საქართველოში საჩოგბურთო სეზონი გაიხსნა.

"ის, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ტურნირის სპონსორები ვართ, ეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებს, - "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე" მოწყობილ სახელდახელო პრესკონფერენციაზე გვითხრა "ავსტრიის ავიახაზების" გენერალურმა მენეჯერმა ევა ბერგერმა, - უკვე რვა წელიწადია ჩვენი კომპანია ნაყოფიერად თანამშრომლობს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასთან. ავსტრიის ავიახაზები ყოველთვის მოხარული იქნება ხელი შეუწყოს და წაახალისოს ახალგაზრდა ჩობურთელები. ტურნირი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ახალი სახეები ვნახოთ. მეამაყება, რომ ჩვენი ტურნირის ოთხი მონაწილე საქართველოს ნაკრებშია".

იმის გამო, რომ ქართველ ჩოგბურთელთა უმეტესობას საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრების საშუალება არა აქვს, "ავსტრიის ავიახაზების თასის" გათამაშება მათთვის ნამდვილი მისწრებაა. ტრადიციად ქცეულ ტურნირში მონაწილენი ავტომატურად ხვდებიან რეიტინგ-ნუსხაში, ამასთან, ნაკლები ხარჯით. თუმცა, იმისთვის, რომ სარეიტინგო ქულები მიიღონ, ერთი შეხვედრის მოგება მაინც არის საჭირო.

ასპარეზობები დილიდან საღამომდე მიმდინარეობს, შაბათს კი ფინალები გაიმართება.

# ფიფას პრეზიდენტი კმაყოფილია

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჟურნალისტებს შეხვდა. პრესკონფერენციაზე ბლატერმა მომავალ მუნდიალზე და თანამედროვე ფეხბურთში შექმნილ პრობლემებზე ისაუბრა.



ბლატერი თანამდებობაზე დარჩენას აპირებს

**- მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე რას იტყოდით?**

- პირველ რიგში დიდი მადლობა გერმანელებს. ყველაფერი, რასაც მათ მიაწიეს - სტადიონები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაციები - ყველაფერი ბრწყინვალე მდგომარეობაშია. ბილეთების შეძენა 9 ივლისამდეც კი იქნება შესაძლებელი. გაიყიდება აბსოლუტურად ყველა ბილეთი. ცოტა ხნის წინ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრ ვოლფგანგ შობლეს ვესუბრე და მან მითხრა: "აუცილებელია ბოლომდე შევინარჩუნოთ უსაფრთხოების სისტემა. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული".

**- მსაჯობასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?**

- ჩვენი ჩანაფიქრით, მინდორზე უნდა გავიდნენ მსაჯთა ბრიგადები, მსაჯები, რომლებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს. არბიტრი იმისთვის არსებობს, რომ გაუფრთხილდეს ფეხბურთელს და უზრუნველყოს პატიოსანი თამაში. ამიტომ მუნდიალის დაწყებამდე ყველა ბრიგადამ ჩააბარა ტესტები. მთავარი მსაჯი ასახელებდა სამ თანაშემწეს და მათგან მხოლოდ ორი შევარჩიეთ ტესტების ჩაბარების შემდეგ. არბიტრებს საკმაოდ მკაცრად ვაფასებდით. თუ გამოცდას სამიდან ორი ასისტენტი ვერ აბარებდა, მთელ ბრიგადას ვხსნიდით. ფიფას დისციპლინარული კომიტეტი მსოფლიო ჩემპიონატის თითოეულ მატჩს ძირფესვიანად განიხილავს და თუ მსაჯს რაიმე გამორჩა, საქმეში ჩავერევით. არბიტრებს, რომლებიც ჩვენს მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, ტურნირიდან მოვხსნით.

**- ცოტა ხნის წინ ტურნირიდან უკვე მოიხსნა იტალიელი არბიტრი მასიმო დე სანქტისი...**

- იტალიის საფეხბურთო ასოციაციამ ამ შემთხვევაში საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა. ჩვენ დე სანქტისის ბრიგადას არ შევცვლით. ისედაც გვყავს მსაჯთა 22 ბრიგადა და ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ახლა იტალიაში სკანდალური საქმის გამოძიება მიმდინარეობს და მის დასრულებამდე დე სანქტისს ვერაფერში დავადანაშაულებთ.

**- რატომ არის მსოფლიო ჩემპიონატზე აფრიკიდან მსაჯთა მხოლოდ ორი ბრიგადა?**

- ორი ძირითადი და ორი სარეზერვო ბრიგადა გვყავს. აფრიკას და აზიას ერთნაირი კვოტა ჰქონდა. მაგალითად, მექსიკიდანაც მსაჯთა ორი ბრიგადა იმუშავებს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მექსიკაში მსაჯობის დონე უმაღლეს დონეზე დგას. აფრიკაში კი ვითარება საკმაოდ რთულია.

**- იტალიურ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე რას იტყვით?**

- კალჩო იტალიელთა ცხოვრების დიდი ნაწილია. აპენინებზე ფეხბურთი რელიგიასავითაა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ყველა საჭირო დოკუმენტაცია უკვე მოგვაწოდა. ფრანკო კარარო ფიფასა და უეფაში დაკავებული პოსტების დატოვებასაც აპირებდა, მაგრამ ჩვენ ის დავტოვეთ.

**- მსოფლიო ჩემპიონატის დროს ტოტალიზატორებზე თამაში ჩვეულებრივი ამბავია...**

- რიგით გულშემატკივარს ამას ვერ დავუშლით. ბოლოს ყველა ის ადამიანი, ვინც რაიმენაირად მაინც უკავშირდება მუნდიალის ჩატარებას, ხელს მოაწერს პატიოსანი თამაშის დეკლარაციას, რომელსაც ცოტა ხანში მივიღებთ. ამავე დეკლარაციით შევებრძოლებით ფეხბურთში არსებულ რასიზმს და დოპინგის გამოყენებას.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ტელევიზიით საკმაოდ ბევრ ფეხბურთს აჩვენებენ, მსოფლიო ჩემპიონატის დროს კი ფეხბურთი ალბათ საერთოდ წალეკავს ტელევიზიას.**

- ფაქტია, რომ იტალიასა და ინგლისში სტადიონებზე დასწრება შემცირდა. ინტერესი მაშინაც მცირდება, როდესაც ტელევიზიით მეტისმეტად ბევრ ფეხბურთს აჩვენებენ. ფიფა აპირებს რეგულაციის მეთოდის მოძიებას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ წამყვან ჩემპიონატებში გუნდების რაოდენობა უნდა შემცირდეს. ფიფას მორიგ ყრილობაზე ამ საკითხს განვიხილავთ და ელიტურ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების რაოდენობის ზღვარს დავაწესებთ. ჩემი აზრით, კლუბების რაოდენობა 18-ს არ უნდა აღემატებოდეს.

**- სად ჩატარდება 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი?**

- გადაწყვეტილებას ამის თაობაზე 2008 წელს მივიღებთ. ერთი რამ უკვე ცნობილია: ტურნირს სამხრეთ ამერიკა უმასპინძლებს.

**- 2007 წელს ფიფას პრეზიდენტის არჩევნებია...**

- ჩვენ ავიღეთ გარკვეული ვალდებულებები და მე მათ შესრულებას ვაპირებ. მიუნხენში გასამართი ყრილობის ბოლოს გეტყვით, რომ მუშაობის გაგრძელება 2007 წლის შემდეგაც მსურს და იმ ასოციაციების ვინაობასაც გაგაცნობთ, რომლებმაც მხარდაჭერა აღმითქვეს.

**- რა ხდება ანტიდოპინგურ კომიტეტთან დაკავშირებით?**

- დოპინგის გამოყენების შემთხვევაში ჩვენ თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განვიხილავთ. ალბათ წესდებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოგვიწევს, რათა ანტიდოპინგურ კომიტეტთან უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ.

# საფეხბურთო კლუბებისთვის უეფას 2006/2007 წლების სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო!

პირველ რიგში გვსურს მადლობა გადაგიხადოთ მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში ოპერატიულად და სამართლიანად აშუქებდით სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების პროცესს.

როგორც მოგეხსენებათ, უეფას 2006-07წწ. სეზონის ლიცენზირების პროცესში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 16-მა კლუბმა - უმაღლესი ლიგის ყველა კლუბმა, ს.კ. გორის "დილას" გარდა და ს.კ. რუსთავის "რუსთავმა" პირველი ლიგიდან. მათგან, სეზონის მსვლელობისას, ს.კ. თბილისის "ლოკომოტივმა" და ს.კ. ბათუმის "დინამომ" წერილობითი უარი განაცხადეს ლიცენზირების პროცესში მონაწილეობაზე.

საფეხბურთო სეზონის განმავლობაში საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირთა და ფინანსისტებისთვის, აგრეთვე, სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის ჩატარდა სწავლება-სემინარები. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების განყოფილების თანამშრომლები და ექსპერტები რეგულარულად ეხმარებოდნენ კლუბებს სხვადასხვა სახის კონსულტაციებით. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების თანამშრომლები, ლიცენზირების მენეჯერის ქ-ნ ლალი ლობჟანიძის ხელმძღვანელობით, დღესაც აქტიურად მონაწილეობენ საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ჩატარებულ ღონისძიებებში და შესაბამის პირებსა თუ ორგანიზაციებს აწვდიან საჭირო რეკომენდაციებს თუ დოკუმენტურ მასალებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ კლუბს ლიცენზირების მოთხოვნების დაკმაყოფილებისას სერიოზული პრობლემები შეექმნა იურიდიული, საკადრო თუ ფინანსური მოთხოვნების ჭრილში (აღარაფერს ვამბობთ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არა მარტო კლუბების, არამედ მთელი ქვეყნის პრობლემაა), ხშირ შემთხვევაში დაირღვა ლიცენზირების დადგენილი ვადებიც. საბოლოოდ, აპრილის მიწურულს, კლუბებმა მეტ-ნაკლები წარმატებით წარმოადგინეს საჭირო დოკუმენტაცია.

2006წ. 8 მაისს გაიმართა სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებითაც, უეფას 2006-07წწ. საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიეცა საფეხბურთო კლუბებს:

**- ბოლნისის "სიონი",**
**- თბილისის "ვიტ ჯორჯია",**
**- თბილისის "დინამო"**
**- ბორჯომის "ბორჯომი",**
**- თბილისის ფკ "ამერი",**
**- თბილისის "სპარტაკი"**

უეფას 2006-07წწ. საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის პირობითი ლიცენზია მიეცა ს.კ. ზესტაფონის "ზესტაფონს", რომელსაც 2006წ. 18 მაისამდე უნდა წარმოედგინა ლიცენზირების ექსპერტების მიერ მითითებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ს.კ. "ზესტაფონის" "ზესტაფონის" ლიცენზია გაუქმდებოდა.

უეფას 2006-07წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია არ მიეცა საფეხბურთო კლუბებს:

**- ფოთის "კოლხეთი 1913"**
**- თბილისის "თბილისი"**
**- თელავის "კახეთი"**

ლიცენზირების მოთხოვნების სრული იგნორირებისა და შეუსრულებლობის გამო საფეხბურთო კლუბებს:

**- ქუთაისის "ტორპედო"**
**- ცხინვალის "ცხინვალი"**
**- სოხუმის "დინამო"**
**- რუსთავის "რუსთავი"**

საკითხის განუხილველად ეთქვა უარი უეფას 2006-07წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზიაზე.

კომიტეტმა საფეხბურთო კლუბებს დაუწესა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული თუ ფინანსური სანქციები. კლუბებს აგრეთვე მიეცათ მკაცრი გაფრთხილებები ლიცენზირების ვადების დარღვევისა და C თანრიგის კრიტერიუმების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. მომავალში მსგავსი დარღვევების გამეორებისას ისინი დაისჯებიან ფულადი ჯარიმებით.

უკმაყოფილო კლუბებს ჰქონდათ უფლება ა/წ 15 მაისამდე გაესაჩივრებინათ სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილება ლიცენზიების გაცემასა თუ სანქციებთან დაკავშირებით, მაგრამ დადგენილ ვადებში მსგავსი განცხადებით სფფ-სთვის არც ერთ კლუბს არ მიუმართავს.

19 მაისს სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების კომიტეტი კიდევ ერთხელ შეიკრიბა და იმსჯელა ს.კ. ზესტაფონის "ზესტაფონის" საკითხის შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილებით, ს.კ. ზესტაფონის "ზესტაფონმა" ვადებში წარმოადგინა მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რითაც დააკმაყოფილა პირობითი ლიცენზიის გაცემისას მისთვის წაყენებული მოთხოვნები და ამიტომ მისი ლიცენზია ძალაში დარჩა.

ამგვარად, უეფას 2006-07წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიენიჭა 7 საფეხბურთო კლუბს (ყველა უმაღლესი ლიგა), ხოლო ლიცენზიაზე უარი ეთქვა ასევე 7 კლუბს. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების ხელმძღვანელობა გულწრფელად ულოცავს ლიცენზირებულ კლუბებს ამ წარმატებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ კლუბებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ლიცენზირების პროცესში, მაგრამ ვერ მიიღეს ლიცენზია, შეიძინეს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, რაც წაადგებათ ლიცენზირების მომავალ სეზონებში.

აქვე გვსურს შეგახსენოთ, რომ 2007-08 წწ. სეზონიდან საფეხბურთო კლუბებს მოეთხოვებათ ლიცენზირების ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება 2008-09წწ. სეზონის უეფას საკლუბო ტურნირებსა და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლების მისაღებად. საქმის სერიოზულობიდან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ სალიცენზიო სეზონში, რომელიც ერთგვარი რეპეტიცია იქნება ლიცენზირების სისტემის ეროვნულ ჩემპიონატში დანერგვის წინ, საფეხბურთო კლუბები გაითვალისწინებენ ჩვენს რეკომენდაციებს, უფრო მეტი კლუბი ჩერთვება ლიცენზირების პროცესში როგორც უმაღლესი, ისე პირველი ლიგიდან და ჩვენც ყველანი, საფეხბურთო სამყაროსა თუ მასმედიის წარმომადგენლები, კვლავაც ერთობლივად ვილვაწებთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

### ვარსკვლავები ნიუ ორლეანში შეიკრიბებიან

NBA-ს 2007-08 წლების ყველა ვარსკვლავის თამაშს ქარიშხალ "კატრინასგან" დაზარალებული ნიუ ორლეანი უმასპინძლებს. მატჩი 2008 წლის 17 თებერვალს კლუბ "ნიუ ორლეანის" საშინაო მოედანზე გაიმართება.

### ფედერერი წლის საუკეთესო სპორტსმენია

ორშაბათს ბარსელონაში შედგა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონიალი. საუკეთესო მამაკაც სპორტსმენად როჯერ ფედერერი დაასახელეს. ქალებში ხორვატმა სამთო მოთხილამურემ იანიცა კოსტელიჩმა გაიმარჯვა. წლის დაბრუნების ჯილდო მარტინა ჰინგისს გადასცეს, წლის აღმოჩენად კი ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი დაასახელეს.

### ესპანეთში რადჩენკო დააპატიმრეს

რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დმიტრი რადჩენკო ორშაბათს ესპანეთის ქალაქ სანტა მარია დე ოლეიროსში დააპატიმრეს. ფეხბურთელს ცოლის გალახვა ედება ბრალად. ამჟამად რადჩენკო წინასწარი პატიმრობის საკანში იმყოფება. როგორც ამბობენ, ბოლო ხანს ყოფილ ფეხბურთელს ალკოჰოლიზმის პრობლემები ჰქონდა.

### ჩინური მსხვერპლი

ჩინეთის პრემიერ-მინსიტრი ვენ ცზიაბაო მზადაა ფეხბურთის გამო მსხვერპლზე წავიდეს. კერძოდ, ჩინეთის პრემიერი არ დაიძინებს, რათა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს პირდაპირ ეთერში ადევნოს თვალყური.

"ჩინეთში უამრავი გულშემატკივარია, რომლებიც არ დაიძინებენ და მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს პირდაპირ ეთერში უყურებენ. მეც მათ რიცხვს განვეკუთვნები", - განაცხადა ჩინეთის პრემიერმა.

ცზიაბაომ აღნიშნა, რომ აუცილებლად უყურებს ტურნირის გახსნის ცერემონიალს, ფინალს და კიდევ რამდენიმე მატჩს. ამავე დროს ჩინელმა პოლიტიკოსმა წარმატებები უსურვა გერმანიის ნაკრებს.

### ელ-გერუჯმა კარიერა დაასრულა

ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა მაროკოელმა მძლეოსანმა ჰიშამ ელ გერუჯმა სპორტული კარიერა დაასრულა. ამის შესახებ სპორტსმენმა გუშინ გამთენიისას განაცხადა. შეგახსენებთ, რომ 1500 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდი ამჟამადაც ელ-გერუჯს ეკუთვნის.

### 110 ახალი სასტუმრო

2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის პეკინში 110 ახალ სასტუმროს ააშენებენ. "დაგეგმილია 110 სასტუმროს აშენება ერთიდან ხუთ ვარსკვლავიანამდე", - აცხადებს პეკინის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დუ ცზიანი.

ამჟამად პეკინში სულ 658 სასტუმროა. ახალი სასტუმროების უმეტესობა მაღალბიუჯეტიანი იქნება.

### ლიუნგბერგი მუნდიალის დასაწყისს გამოტოვებს

შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა ფრედერიკ ლიუნგბერგი ფინელებთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის თავისი გუნდის განაცხადში არ შეიყვანა. მიზეზი "არსენალის" ნახევარმცველის ტრავმაა. ეტყობა, ფრედერიკს ტრავმა გაუმიზეზდა, რადგან გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ვერც მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩებში დაეხმარება თავის გუნდს.

### გალიანი თანამდებობას არ დატოვებს

იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი აცხადებს, რომ არ აპირებს თანამდებობის დატოვებას, რადგან აპენინებზე ატეხილ საფეხბურთო სკანდალში საკუთარ ბრალეულობას ვერ ხედავს.

"გადადგომას არ ვაპირებ, მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობ, მე არაფერ შუაში ვარ და რატომ უნდა გადავდგე", - აცხადებს გალიანი.

ცნობილი გახდა, რომ იტალიის პროკურატურამ საქმე აღძრა იმ გაზეთების წინააღმდეგ, რომლებმაც ის ავადსახსენებელი სატელეფონო საუბრები გამოაქვეყნეს, რომელსაც მოჰყვა ეს სკანდალი.

### ტევესი შევჩენკოს ნაცვლად

"მილანი" დაინტერესდა ორი არგენტინელი ფეხბურთელით. იტალიურ გრანდს კარლოს ტევესისა და ხავიერ მასკერანოს შეძენა სურს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ორივე ფეხბურთელი ბრაზილიურ "კორინთიანსში" თამაშობს. ამ დუეტის შეძენას მილანელები შევჩენკოს გაყიდვით მიღებული თანხით აპირებენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, "კორინთიანსის" ხელმძღვანელთა განცხადებით, ისინი არგენტინელთა გაყიდვას არ გეგმავენ.

### მოლდოვაში მსოფლიო ჩემპიონატს ვერ ნახავენ

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სამარკეტინგო კომპანიამ, რომელიც ამ ტურნირის ტელეტრანსლაციების უფლებას ფლობს, მოლდოვას, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანას, შესთავაზა ეყიდა მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება. მოლდოვას სახელმწიფო ტელევიზიას ფასიც კი დაუკლეს, მაგრამ თანხა მაინც ვერ გადაიხადეს. იმისთვის, რომ მოლდოვაში მატჩების ტელეტრანსლაცია მოეწყოს, სახელმწიფო ტელევიზიას კიდევ 15 ათასი ევრო სჭირდება. ამ თანხის მოძიება კი არ მოხერხდა.

### არდილესი "ბეითარში"

არგენტინელი სპეციალისტი ოსვალდო არდილესი ისრაელის კლუბ "ბეითარის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ებრაული მედიის ინფორმაციით, არგენტინელი მწვრთნელი "ბეითარში" სეზონში 500 000 დოლარს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ 1978 წელს არდილესი არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი ავარჯიშებდა კლუბებს: "ტოტენჰემს", "ვესტ ბრომვიჩს", იაპონურ "შიმიცუს" და ზაგრების "დინამოს".

## ტერი დააჯარიმეს

ლონდონის "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების მცველი ინგლისის პოლიციამ 80 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. მას შემდეგ, რაც "ჩელსი" ჩემპიონი გახდა, "არისტოკრატებმა" ეს მოვლენა აღნიშნეს. წვეულებიდან ტერი მთვრალი ბრუნდებოდა და ქუჩაში დებოში ატეხა. ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ ფეხბურთელი ასე იოლად გამოძვრა და მხოლოდ 80 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს.

## პამპლონელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

პამპლონური "ოსასუნას" მთავარ მწვრთნელად 39 წლის ხოსე ანხელ სიგანდა დაინიშნა. ახალგაზრდა სპეციალისტმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე სიგანდა "ოსასუნას" იუნიორთა გუნდთან მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ პამპლონური კლუბი დატოვა ხავიერ აგირემ. ამ სპეციალისტმა "ოსასუნა" ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და ისე წავიდა გუნდიდან.

## ბოსკამპი "სტანდარდში" იმუშავებს

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ბელგიელი სპეციალისტი იოჰან ბოსკამპი ლიეჟის "სტანდარდის" მთავარ მწვრთნელად იმუშავებს. 53 წლის სპეციალისტი, რომელიც გასულ სეზონში ინგლისურ "სტოუკში" მუშაობდა, "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვლის იტალიელ დომინიკ დონოფრიოს, რომელიც გასულ კვირას გადადგა თანამდებობიდან.

## "აიაქსში" დავიდსს ელიან

ამსტერდამის "აიაქსის" მთავარმა მწვრნელმა ჰენკ ტენ კატემ განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით იხილავდა თავის გუნდში ედგარ დავიდსს. "ძალიან გამიხარდება, თუ დავიდსი გუნდში დაბრუნდება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი სატრანსფერო ფასი. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, რომ ედგარი დაბრუნდება და იაპ სტამთან ერთად გუნდის წამყვანი ფეხბურთელი იქნება", - აცხადებს ამსტერდამული კლუბის მწვრთნელი.

შეგახსენებთ, რომ ბოლო სეზონი "პიტბულმა" ინგლისურ "ტოტენჰემში" გაატრა.

## ბილეთები ინტერნეტით აღარ გაიყიდება

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გააფრთხილეს ის გულშემატკივრები, რომლებიც მზად არიან ბილეთები ინტერნეტით შეიძინონ და 1000 ევროც კი გადაიხადონ. მუნდიალის ორგანიზატორთა განცხადებით, ყველა ბილეთი სახელობითია. თუ ბილეთის მფლობელი სტადიონზე შესვლის წინ პირადობის მოწმობით არ დაადასტურებს, რომ ბილეთი ნამდვილად მის სახელზეა გამოწერილი, თამაშზე ვერ მოხვდება.

## "მარსელი" ინტერტოტოზე ითამაშებს

ფრანგული "მარსელი" ამ სეზონში ევროტურნირებს ინტერტოტოს თასის გათამაშებით დაიწყებს. ეს გუნდი ტურნირში ფინალური ეტაპიდან ჩაერთვება და მისი მეტოქე უკრაინის, ლუქსემბურგის ან სლოვაკეთის გუნდი იქნება. მატჩები 15 და 22 ივლისს გაიმართება.

## ხავი: "ესპანეთს ჩემპიონობა შეუძლია"

"ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ხავი აცხადებს, რომ ლუის არაგონესის გუნდს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება შეუძლია.

"ვიცით, რომ ძალიან გაგვიჭირდება. გერმანიაში მსოფლიოს უძლიერესი გუნდები ითამაშებენ. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემპიონის ტიტულის მოგება შეგვიძლია, რითაც ესპანური ფეხბურთის წარმატებულ სეზონს დავაგვირგვინებთ", - აცხადებს ხავი.

შეგახსენებთ, რომ ევროპული ფეხბურთის ორივე საკლუბო ტურნირი ესპანურმა გუნდებმა მოიგეს. "სევილია" უეფას თასს დაეუფლა, "ბარსელონამ" კი ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

## ადრიანო "რეალზე" არ ფიქრობს

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი ადრიანო ამჟამად მხოლოდ მუნდიალზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ მედიაში აქტიურად საუბრობენ ფეხბურთელის შესაძლო გადასვლაზე მადრიდის "რეალში".

"ამჟამად ადრიანოს საკლუბო საქმეები არ აინტერესებს. ტრანსფერზე საუბარი მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი", - აცხადებს ადრიანოს აგენტი ჟილმარ რინალდი.

## ჰაინკესმა "გლადბახი" ჩაიბარა

მიონხენგლადბახის "ბორუსიას" მთავარ მწვრთნელად ცნობილი გერმანელი სპეციალისტი იუპ ჰაინკესი დაინიშნა. მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან.

"ბედნიერი ვარ, რომ კონტრაქტი გავაფორმე. ჩემი გული ყოველთვის ამ გუნდს ეკუთვნოდა", - განაცხადა იუპ ჰაინკესმა.

## რუი კოშტა პორტუგალიაში დაბრუნდა

დღეს "მილანის" ნახევარმცველი რუი კოშტა პორტუგალიურ "ბენფიკასთან" გააფორმებს კონტრაქტს. 34 წლის ნახევარმცველი უკვე ლისაბონშია და დღეს "ბენფიკას" მესვეურებს უნდა შეხვდეს.

შეგახსენებთ, რომ რუი კოშტა "მილანმა" 2001 წელს შეიძინა 27 მილიონ გირვანქა სტერლინგად, მანამდე კი პორტუგალიელი "ფიორენტინას" ღირსებას იცავდა.

## ჯონსონი არ იყიდება

ინგლისურმა კლუბმა "კრისტალ პალასმა" უარი თქვა ენდი ჯონსონის გაყიდვაზე. ამ ფორვარდის შეძენა "ბოლტონს" სურდა. რიბოკელები 25 წლის თავდამსხმელში 8 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც იხდიდნენ, მაგრამ "კრისტალ პალასის" მესვეურებმა საუკეთესო ფორვარდის გაყიდვა არ ისურვეს.

# ფინალისტები ცნობილია

NBA-ს დასავლეთ კონფერენციაში გაირკვა ფინალისტების ვინაობა. ლიგის საუკეთესო გუნდის ტიტულისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი გააგრძელებს. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში "მაიამი" და "დეტროიტი" ითამაშებენ, დასავლეთ კონფერენციაში - "დალასი" და "ფენიქსი".

ფეიისელთა ფინალში გასვლა სავარაუდო იყო. სტივ ნეში და მისი თანაგუნდელები მთელი სეზონის განმავლობაში კარგად თამაშობდნენ და ლოს ანჯელეს "კლიპერსთან" დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. მიუხედავად ამისა, ნახევარფინალური სერია მაინც მეშვიდე მატჩამდე მივიდა, რომელსაც ფენისქმა უმასპინძლა. შეხვედრა მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. "ფენიქსმა" გადამწყვეტი მატჩი ანგარიშით 127:107 მოიგო. მასპინძლები თავიდანვე უკეთ თამაშობდნენ, სტივ ნეშის შეჩერება კი საერთოდ შეუძლებელი იყო. ლიგის საუკეთესო კალათბურთელმა ამ მატჩში 29 ქულა დაგროვა, 2-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 11 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. სამწუხაროდ, თავისი გუნდის გამარჯვებას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს ნიკა ცქიტიშვილი - მწვრთნელს მისთვის თამაშის საშუალება არ მიუცია. კალიფორნიელთა შორის საუკეთესო იყო ელტონ ბრენდი. მის ანგარიშზე 31 ქულა და 9 მოხსნაა.

გაცილებით დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც "სან ანტონიო" "დალასს" მასპინძლობდა. მასპინძლებს საკუთარმა გულშემატკივრებმაც ვერ უშველეს. დირკ ნოვიცკის ფანტასტიკური თამაშის წყალობით "დალასმა" დამატებით ხუთწუთიან ტაიმში გაიმარჯვა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 119:111.

ტეხასელები სწორედ გერმანელმა კალათბურთელმა იხსნა. ჯერ იყო და, მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ნოვიცკიმ ზუსტად შეასრულა ორი საჯარიმო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ "სან ანტონიოს" ერთი შეტევისთვის კიდევ ჰქონდა დრო. გერმანელმა დაცვაშიც ბრწყინვალედ ითამაშა და მასპინძელთა ბოლო შეტევა ბლოკშოტით ჩაშალა. ასე გადავიდა მატჩი ოვერტაიმში, რომელიც "დალასმა" უკვე პირწმინდად მოიგო.

დირკ ნოვიცკის ანგარიშზე 31 ქულა, 15 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემაა. მასპინძელთა შორის საუკეთესომ ტიმ დანკანმა კი თავის გუნდს 41 ქულა შესძინა. ამასთან, 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 6 შედეგიანი გადაცემაც გააკეთა.

# ყველაზე დიდი საფეხბურთო სკანდალი

ვასილ უდუმაშვილი

აპენინებზე ბევრს მიაჩნია, რომ ასეთი საფეხბურთო სკანდალი 1980 წლის შემდეგ არ ყოფილა. თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, უნდა ითქვას, რომ ის, რაც 2006 წლის მაისში მოხდა, იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ფურცელია. 1980 წელს სკანდალი ჩაწყობილი მატჩების გამო აგორდა. მისი შედეგი კი რამდენიმე ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია იყო, მათ შორის პაოლო როსიც ორი წლით ჩამოაცილეს ფეხბურთს. თუმცა, ის, რაც ახლა ხდება, თავისი მაშტაბით გაცილებით დიდია და მთლიანად ჩრდილავს 1980 წლის ამბებს.

მოკლედ შეგახსენებთ საქმის ვითარებას. 3 მაისს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ იწყებს ფაქტების გამოძიებას, რომელიც პროკურატურის მიერ საფეხბურთო ჩინოსნების სატელეფონო საუბრების შედეგად გამომჟღავნდა. თავდაპირველად ამ მწირ ინფორმაციას აჟიოტაჟიც კი არ გამოუწვევია, მაგრამ მეორე დღეს სკანდალმა მთელი იტალია მოიცვა. გაზეთებში გამოქვეყნდა მოჯის სატელეფონო საუბრები და კალჩო თავდაყირა დადგა.

ფედერაციის გამოძიებათა სამსახური, რომელიც მისი ხელმძღვანელის იტალო პაპის გადადგომის შემდეგ დაიშალა, ახლა ფერფლიდან უნდა აღდგეს. ამავდროულად შვიდი იტალიური ქალაქის პროკურატურა აგრძელებს ეგრეთ წოდებული "მოჯის საქმის" გამოძიებას, რათა გაირკვეს, რაოდენ ღრმად გაიდგა ფესვები საფეხბურთო მაფიამ. იტალიური ფეხბურთის მამების სატელეფონო საუბრები თითქოს სპეციალურად ხვდება ჟურნალისტთა ხელში და ყოველდღიურად ახალ-ახალი ფაქტები ხდება ცნობილი. ამასთან ერთად ამოტივტივდა ჩაწყობილი მატჩების საქმეც.

ყველაფერ ამის ლოგიკურ შედეგად იქცა ის, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში თანამდებობები დატოვეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და მისმა მოადგილემ, "იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტმა, გენერალურმა მენეჯერმა და დირექტორმა, არბიტრი მასიმო დე სანქტისი და მისი თანაშემწეები მოხსნეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების მსაჯობიდან. იმ ადამიანთა სიაში, რომელთა ქმედება გარკვეულწილად მაინც უკავშირდება მოჯის საქმეს, აღმოჩნდნენ: იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პიზანუ, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი დომენიკო სინისკალკო, რომისა და ტურინის პროკურატურის მაღალჩინოსნები. სკანდალი საფეხბურთო ჩარჩოებს გასცდა და იტალიის ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი რომანო პროდი უკვე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსზე საუბართან ერთად, კალჩოშიც აპირებს წესრიგის დამყარებას.

17 მაისს იტალიაში პირველად დაინიშნა სპორტის მინისტრი. ეს სავარძელი ქალს დაუთმეს. ეტყობა, მამაკაცებმა ჩათვალეს, რომ მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენელს შეუძლია დაუბრუნოს იტალიურ ფეხბურთს შელახული ღირსება. დოვანე მელანდრის დაევალა მთელი სიმკაცრით შეამოწმოს ახალი საფეხბურთო ჩინოსნების საქმიანობა.

ჯერჯერობით კი კალჩოს დროებითი ხელმძღვანელი პროფესიონალი პოლიტიკოსი გვიდო როსია. პოლიტიკური ბატალიების 75 წლის ვეტერანს ევალება ოდნავი წესრიგი მაინც დაამყაროს მოჯის მიერ მთლიანად არეულ საფეხბურთო მეურნეობაში. ამ ეტაპზე როსის თანამდებობა დროებით კომისრის პოსტით შემოიფარგლება. მას სამი თანაშემწე ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთი ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი დემეტრიო ალბერტინია, რომელმაც ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან უნდა იმუშაოს.

როსის საკმაოდ დიდი უფლებამოსილება მისცეს. მან დადო პირობა, რომ მაქსიმალურად მცირე დროში მოაგვარებს საქმეს. დრო კი მართლაც არ ითმენს. უეფა და ფიფა იტალიელებისგან გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვენ. ბოლოს და ბოლოს, ჯერ ისიც კი არ არის ცნობილი, რომელი იტალიური გუნდები ითამაშებენ მომავალ სეზონში ევროტურნირებზე. "იუვენტუსი", "ლაციო", "ფიორენტინა" და "მილანი" შესაძლოა საერთოდ სერია A-დანც კი გარიცხონ.

აპენინებზე აგორებულმა სკანდალმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს იტალიის ნაკრების თამაშზეც. მართალია, ფედერაციის ახალი მესვეურები ლიპის სრულ მხარდაჭერას უცხადებენ, მაგრამ სკუადრა აძურას თავკაცის სახელსაც მიადგა ჩრდილი. ლიპისა და მოჯის მეგობრობის შესახებ კარგად არის ცნობილი. ამასთან, ირკვევა, რომ ლიპისა და მოჯის შვილები ერთად საქმიანობდნენ იმ სააგენტოში, რომლის საშუალებითაც "იუვენტუსის" აწ უკვე ყოფილი გენერალური მენეჯერი იტალიურ სატრანსფერო ბაზარს აკონტროლებდა.

ყველაფერ ამასთან დაკავშირებით ზეპ ბლატერმაც კი გააკეთა კომენტარი. ფიფას პრეზიდენტის თქმით, ასეთი მასშტაბური სკანდალი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიასაც კი არ ახსოვს.

რაც უფრო სწრაფად გაერკვევა 75 წლის როსი საქმეში, მით უკეთესი იტალიური ფეხბურთისთვის. ახლა ყველა მოლოდინშია. რა ელის "იუვენტუსს"? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ იტალიაში როდი აინტერესებთ. თუ ბატონი როსი რადიკალური ზომების მომხრე იქნება, ტურინულ კლუბს ალბათ სერია A-დან გააგდებენ და მაშინ სატრანსფერო ბაზარი ნამდვილად აფეთქდება. თავად განსაჯეთ რა მოხდება, როდესაც "იუვენტუსის" ვარსკვლავების უდიდესი ნაწილი ტრანსფერზე დადგება. ახლა ამას დავუმატოთ "ლაციოსა" და "ფიორენტინას" ფეხბურთელებიც. ეს გუნდები ალბათ "ბებერი ქალბატონის" ბედს გაიზიარებენ. რაც შეეხება "მილანს", ალბათ სასჯელი არც ისე სერიოზული იქნება.

ამის თქმის საფუძველს ერთი ფაქტი იძლევა. თუ ლუჩანო მოჯის დავუჯერებთ, აგორებული სკანდალი ნაწილობრივ "მილანის" ხელმძღვანელობის წამოწყებულია.

"მე უბრალოდ გამწირეს. ყველაფერი გასული წლის სექტემბერში დაიწყო, როდესაც "მილანის" მფლობელ სილვიო ბერლუსკონის შევხვდი. მან "მილანში" მუშაობა შემომთავაზა. მართალია, მოულოდნელი იყო, მაგრამ ძალიან მესიამოვნა. სენიორ ბერლუსკონის ვთხოვე, მოსაფიქრებლად დრო მოეცა. თუმცა სეზონი ახალი დაწყებული იყო და კლუბის შეცვლა არასწორი იქნებოდა. ყველამ ვიცით, როგორი პიროვნებაა "მილანის" მფლობელი. ჩვენი შეხვედრის შესახებ მან გალიანისაც უთხრა.

ბერლუსკონისთან საუბრის შემდეგ ორი კვირაც არ იყო გასული, რომ პროკურატურა სატელეფონო საუბრებზე ალაპარაკდა. კარარომ ამის თაობაზე პირდაპირ გალიანის მოახსენა, მან კი ბერლუსკონის უთხრა, რომ ჩემზე ფიქრიც აღარ ღირდა. პირადად მე ჩემს წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას სწორედ ბერლუსკონისთან შეხვედრას ვუკავშირებ," - ამბობს მოჯი.

ლუჩანო მოჯიმ არც ფრანკო კარარო დაინდო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ორიოდე კვირის წინ დატოვა თანამდებობა და ამის მიზეზი სწორედ იტალიაში აგორებული საფეხბურთო სკანდალია.

"კარარომ ყველაფერი იცოდა. სწორედ მისგან გაჟონა ინფორმაციამ. უკვე რამდენიმე წელია, რაც იტალიური საფეხბურთო სამყარო ასე მუშაობდა და ხმას არავინ იღებდა. საკმარისი იყო მე ბურლუსკონის შევხვედროდი და რატომღაც ყველაფერი ამოტივტივდა. რაც შეეხება სატელეფონო ზარებს, შესაძლოა, ვინმე ამაში კრიმინალს ხედავდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ასე არაა. დიახ, კანონს ვარღვევდით, მაგრამ ეს იყო უბრალოდ მეგობრული ზარები, უბრალოდ მინდოდა, რომ "იუვენტუსის" მატჩები კვალიფიციურ არბიტრებს ემსაჯათ", - აცხადებს მოჯი.

მოკლედ, გალიანიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურების ხელით მწვანე შუქი აუნთო მოჯის წინააღმდეგ სკანდალის აგორებას.

# შევა - მოკრძალებული, მშვიდი და მოდური

მარი ჯავახიშვილი




ის სულაც არ ჰგავს სხვა ვარსკვლავებს - მოკრძალებულია, მშვიდი და სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. აცვია მოდური ჯინსები - არა, დახეული არა, - უბრალოდ, მოდური. ტყუილად ხომ არ მეგობრობს "მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ცნობილ იტალიელ დიზაინერთან ჯორჯო არმანისთან.

მიუხედავად ტრავმისა, რომელიც "მილანის" უკანასკნელი თამაშის წინ მიიღო, მაინც დაძაბულ რეჟიმში უწევს ცხოვრება. მილანი-მოსკოვი-კიევი-მილანი - ეს მისი ორი დღის გრაფიკია. ანდრეი შევჩენკო მილანიდან ჯერ მოსკოვში ჩავიდა სპორტული ფეხსაცმლის კომპანია "მიცუნოს" ბუცების წარსადგენად. მოსკოვიდან კიევში ჩაფრინდება, მერე ისევ მილანი...

თანამედროვეობის საუკეთესო ფორვარდი ინტერვიუს წინ რუს ჟურნალისტებს თავაზიანად ხვდება: გამარჯობა, დაბრძანდით, გისმენთ - და "მიცუნოს" ბუცების პრეზენტაციას იწყებს:

- თავიდანვე ვიტყვი, რომ "მიცუნოს" კომპანიის ახალი ბუცები "WAVE SHINKEN" ძალიან მომწონს. დარწმუნებული ვარ, ახალი ბუცებით უკეთესად ვითამაშებ. გარდა ამისა, მოხარული ვარ, რომ ასეთი მაღალი დონის კომპანიასთან ვთანამშრომლობ - სპორტის სამყაროში "მიცუნოს" უძველესი ტრადიციები და შეუბღალავი რეპუტაცია აქვს.

**- ანდრეი, თქვენი პირველი ბუცები რა ფირმის იყო?**

- სიმართლე გითხრათ, თამაში კედებით დავიწყე. ბუცები ჩემს ბავშვობაში ძალიან ძვირი ღირდა და არც იშოვებოდა. სამაგიეროდ, არასოდეს დამავიწყდება, როცა კიევის "დინამოს" იუნიორები ლონდონში ჩავედით და იქ ყველას დაგვირიგეს ბუცები. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. სახლში რომ დავბრუნდი, იმ ბუცებს არ ვიცვამდი, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, მენანებოდა. მერე მივხვდი, რომ ჯობდა ჩამეცვა, თორემ ფეხი მეზრდებოდა და დამიპატარავდებოდა. ის ბუცები კარგა ხანს ერთგულად მემსახურნენ. რომ იხეოდა, ნაკერებს ვადებდი.

**- შეუძლებელია არ დაგისვათ შეკითხვა, რომელიც ახლა ყველაზე აქტუალურია: "მილანში" რჩებით თუ "ჩელსიში" გადადიხართ?**

- 24 მაისს "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის უნდა შევხვდე. სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ და საბოლოო პასუხსაც მერე გაიგებთ.

**- იტალიაში მომხდარ კორუფციულ სკანდალზე რას ფიქრობთ?**

- არ მინდა, ამ საკითხის დეტალურად განხილვა. ჯერ გამოძიება არ დასრულებულა და დასკვნებისგან მეც თავს შევიკავებ.

**- უკრაინის ნაკრებს არც ერთი ამხანაგური მატჩი არ ჩაუტარებია, თუმცა ერთი ფეხბურთელი უკვე დააკლდა - მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო მცველი სერგეი ფიოდოროვი დაგაკლდებათ. თქვენ ტრავმირებული ხართ..**

- სერგეის ამბავი პირველად თქვენგან მესმის და ძალიან ვწუხვარ. ნაკრებში კარგად ითამაშა და ასეთ დროს გერმანიაში წაუსვლელობა ნამდვილად ცუდი ამბავია. მიმძიმს ამ თემაზე საუბარი.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ შეგნებულად ასაიდუმლოებთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ვმკურნალობ, ძალებს აღვიდგენ, სრული დატვირთვისგან თავს ვიკავებ - მხოლოდ ამას ამბობთ. მტრებისგან თავდაცვის თქვენეული მეთოდია?**

- არა, რა თქმა უნდა, არა. იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ და რაც ვიცი. არც მეტი, არც ნაკლები.

**- მიახლოებით მაინც არ იცით თარიღი, როცა მოედანზე გახვალთ?**

- დამიჯერეთ, რომ მართლა არ ვიცი. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული (შევჩენკო მუხლზე იდებს ხელს - ავტ.) ვნახოთ, როგორ მოშუშდება.

**- აღდგენითი პროცესი როგორ მიდის. რთულია?**

- არც ისე. დღის განმავლობაში სამი საათი ფიზიოთერაპევტთან მიწევს ვარჯიში. ახლა ორი დღე აბსოლუტურად ვისვენებ ყველანაირი ვარჯიშისგან. 25-დან კი თითქმის სრული დატვირთვით შევუდგები მუშაობას.

**- ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ ბლოხინს ხშირად უკავშირდებით?**

- ოლეგ ვლადიმიროვიჩთან მუდმივი კავშირი მაქვს. ჩვენ ხომ ერთად შევარჩიეთ ჩემი სარეაბილიტაციო კურსის ოპტიმალური პროგრამა. ახლა ჩემთვის უმჯობესია მილანში ყოფნა, სადაც პირად ფიზიოთერაპევტს ვყავარ კონტროლზე აყვანილი.

**- რა შედეგს გინდათ მიაღწიოთ მსოფლიო ჩემპიონატზე?**

- უკრაინის ნაკრებისთვის ჯგუფიდან გასვლაც კარგი შედეგი იქნება.

**- საინტერესოა, რას განიცდის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში 12 სეზონი აქვს ნათამაშევი და ახლა პირველად უწევს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში?**

- მით უმეტეს, როცა მისი წასვლის საკითხი ეჭვქვეშაა. ეს ტრავმა სერია ა-ს ბოლოსწინა მატჩში მივიღე. გამოკვლევის წინა ღამეს არ მძინებია. მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა ექიმმა ხელით მანიშნა, რომ ყველაფერი რიგზეა და ოპერაცია არ დამჭირდებოდა. ვერ გადმოგცემთ, რა შვება ვიგრძენი მაშინ. ახლაც გამუდმებით ჩემს ფეხზე ვფიქრობ, მაგრამ უფრო პოზიტიურად - საკუთარ თავს ვარწმუნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მსოფლიო ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებ.

**- მით უმეტეს, რომ ასეთი კარგი ბუცები მიიღეთ...**

- ჰო, "მიცუნოს" კომპანიამ ხარისხიანად იმუშავა. შემთხვევით არ მითქვამს, რომ ბავშვობაში კედებით ვთამაშობდი. მშურს ახლანდელი თაობის, მათ ხომ ასეთ ხარისხიანი სპორტული ფეხსაცმლით უწევთ თამაში - რბილით, კომფორტულით...

**- გერმანიაში უკრაინის ნაკრების თამაშებზე თქვენგან პერსონალური მიწვევა ვინ დაიმსახურა?**

- ჩემმა და კრისტენის მშობლებმა, კიდევ ბავშვობის ორმა მეგობარმა კიევის იმ რაიონიდან, სადაც ვცხოვრობდი.

**- ბავშვობაზე გამახსენდა. იცით თუ არა, რა პრობლემები აქვს კიევის იმ სკოლის დირექტორს, რომელიც თქვენ დაამთავრეთ?**

- სიმართლე გითხრათ, ცოტა დავიბენი. ამას მე რატომ მეკითხებით?

**- პრობლემა ის გახლავათ, რომ მთელი კლასი...**

- აა, მივხვდი, ყველას იმ მერხზე უნდა ჯდომა, რომელზეც მე ვიჯექი?

**- არა, მთლად მასე არაა. დირექტორს არ ჰყოფნის სალებავი, რომ მერხებზე ამოკაწრული წარწერები გადაღებოს: აქ იჯდა შევა...**

- სამწუხაროა, რომ დირექტორს ვერაფრით დავეხმარები. კარგად მესმის რას ნიშნავს ბავშვებისთვის, განსაკუთრებით ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ჩემი თამაში.

**- თვითონ ვის გვარს წერდით ხოლმე მერხზე?**

- ზუსტად არ მახსოვს. მაგრამ ბავშვობაში რომ ძალიან ცელქი ვიყავი და მერხზე რაღაცებს ვწერდი, ეს მახსოვს.

**- ანდრეი შევჩენკო - ქმარი, მამა... ათბალიანი სისტემით თქვენს ამ ამპლუაში ყოფნას როგორ შეაფასებთ?**

- თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, დროის რა მონაკვეთს ვატარებ მოედანზე და რას - სახლში, საკუთარ თავს 9,5 ქულით შევაფასებ.

**- მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე ამერიკელი გყავთ, ამბობენ, თითქოს ინგლისური ვერ ისწავლეთ...**

- სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობა - ნაკლები. ცოტა მესმის, მაგრამ სრულყოფილებამდე ბევრი მიკლია. სახლში ყოფნა იშვიათად მიწევს და ენის კარგად შესწავლასაც ამიტომ ვერ ვახერხებ. ჩემი შვილი უკეთესად ლაპარაკობს ინგლისურს, ვიდრე მე. ვცდილობ, უკრაინული და რუსულიც ვასწავლო, მაგრამ დრო არ მრჩება.

**- მაშინ გირჩევთ, უკრაინაში, დვირკივშჩინაში ჩაიყვანოთ, სადაც გაიზარდეთ. იქ უკეთესად ასწავლიან უკრაინულსაც და რუსულსაც...**

- საინტერესო ვარიანტია. აუცილებლად გავითვალისწინებ თქვენს რჩევას.

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 02.01.37.**
**გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი N 200 266 007**

**ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (KFW) მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ახალციხის რაიონის ანდრიაწმინდის თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ანდრიაწმინდის თემის განვითარების კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 24 მაისიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ბანკის სახელწოდება: "ბანკი რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **30 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 400 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 7 ივნისის 12:00 საათამდე**, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **12:00 საათზე,** დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში (ზემოაღნიშნულ მისამართზე) შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის

**განცხადება საპროექტო-აზომვითი სამუშაოების და ტექნიკური პასპორტების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ**

1. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი აცხადებს, ორეტაპიანი ტენდერის წესით, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპროექტო-აზომვითი სამუშაოების, ტექნიკური პასპორტების შედგენის მომსახურების შესყიდვას და ორეტაპიან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. სამუშაო განხორციელდება 2006 წლის 30 სექტემბრამდე, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
3. დაინტერესებულმა პირებმა, ქართულ ენაზე შედგენილი როგორც პირველადი, ისე საბოლოო სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს დახურული კონვერტებით 2006 წლის 13 ივნისის 15 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი, საქართველოს სახელმწიფო-სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, ოთახი N109
4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები: საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის არასაბიუჯეტო შემოსავლების ანგარიში, ს/ს "შუგრეფიმპექსბანკი" მიმღები ბანკის კოდი: N220101703; ანგარიშის N: 93402;Aსაიდენტიფიკაციო კოდი N211325653), გაცხადების გამოქვექვეყნებიდან 2006 წლის 13 ივნისის 15 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კოლომეტრი, ოთახი N109 .
5. ტენდერის პირველ ეტაპზე სატენდერო კომისია უფლებას იტოვებს გამართოს მოლაპარაკება ამ პროცედურაში მონაწილე ყველა პირთან (ცალ-ცალკე) პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტების და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით.
6. პრეტენდენტები წარადგენენ პირველად სატენდერო წინადადებებს ღირებულების მითითების გარეშე.

6.1. პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის ინსტრუქცია:

ა) პირველადი სატენდერო წინადადებება არ უნდა შეიცავდეს ღირებულებას;

ბ) პირველად სატენდერო წინადადებაში პრეტენდენტმა დეტალურად უნდა მიუთითოს, თუ რა მეთოდების გამოყენებით და რა ვადებში შეძლებს სამუშაოების შესრულებას ტექნიკური დავალების შესაბამისად;

გ) პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრედენდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პრეტენდენტის გამოცდილებისა და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

7. საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპზე სატენდერო კომისია განიხილავს და აფასებს პირველად სატენდერო წინადადებებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს.

7.1 პირველადი სატენდერო წინადადების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი;

7.2 პირველადი სატენდერო წინადადების შეფასების დროს ყურადღება გამახვილდება პრეტენდენტის გამოცდილებაზე და მომსახურების გაწევის ვადებსა და ხარისხზე;

8. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.
9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.
10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადების წარმომდგენ ყველა პირს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადისა;
11. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**11.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან/საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**11.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრობის საქმის წარმოება;

12. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-11 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;
13. დამატებითი ინფორმაციის დაინერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირი: ანდრო წამალაიძე, ოთახიN109, ტელ: 59-43-88; მობ. 899 20-10-11.

**საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **ორი ავტოთვითმცლელის** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:
- გამოშვების წელი: 2006
- საბორბლე ფორმულა - 6X4;
- ტვირთამწეობა - 14 ტონა;
- პლატფორმის მოცულობა - 8 მ3;
- ძრავის მუშა მოცულობა - 15 ლიტრი;
- ცილინდრების რიცხვი და განლაგება - V-8;
- სიმძლავრე - 176 კვტ (240 ცხ. ძალა);
- სიჩქარეების კოლოფი - მექანიკური, ხუთსაფეხურიანი;
- საბურავები - 12.00ღ20 (320ღ-508);
- მაქსიმალური სიჩქარე - 80 კმ/სთ;
- მაქსიმალური გადალახვადი აღმართი - 30%;
- საწვავი - დიზელის;
- საწვავის ხარჯი - 30-33 ლიტრი 100 კმ-ზე;
- მოხვევის რადიუსი - 12.0 მ;
- ფერი - კაბინა: თეთრი, პლატფორმა: ცისფერი.

**მანქანებს უნდა გააჩნდეს მწარმოებლის გარანტია 1 წელი ან 25000 კმ გარბენი, რომელიც უფრო ადრე შესრულდება.**

**2.** მიწოდების სასურველი ვადაა ერთი თვე. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 14 ივნისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: შპს "თბილწყალკანალი"
ს/კ: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 220101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **15 ივნისის 10 სთ-დან - 15.00 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:
**ზურაბ ღონღაძე**, ტელ: 487140, ელ.ფოსტა: **zgongadze@Tbilisiwater.com**, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების და ინვესტიციების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი -ქ. თბილისში, კრწანისის ტყეპარკის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 $მ^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**II ობიექტი - მარნეულის რაიონში, მდ. დებედას მარცხენა ჭალის ტერასაზე, სოფ. ზემო-სალარის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 755 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 751 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 $მ^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი - ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე "ტბორების" ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 347 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 869ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 $მ^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**IV ობიექტი - გარდაბნის რაიონში, სოფ. ახალი სამგორის ტერიტორიაზე გაჯის ნედლეულის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 023 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 205 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი გაჯის ნედლეულის ჯამური მოცულობა | 12 000 ტ. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 24 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 23 ივნისს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **" ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **" ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)"ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ" და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 8 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 8 მაისს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:**

ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო ფართს დაემატოს 34.071 მ2 სარემონტო ფართი და შესაბამისად, ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო ფართი განისაზღვროს 396.871 მ2 ოდენობით.

# ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

აჭარის არ-ის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად აქვეყნებს ინფორმაციას ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

| № | შესყიდვის ობიექტი | | მიმწოდებელი | ხელშეკრულების ღირებულება | მიწოდების სავალდებულო პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 |
| | დამატებითი სტაციონარული დახმარების კომპონენტი | ლოტი 1 – დამატებითი სტაციონარული მომსახურება ქ. ბათუმში | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | 242,911 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| | | | შ.პ.ს. აჭარის ონკოლოგიური ცენტრი" | 24,211 | |
| | | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცის რესპუბლიკური ცენტრი" | 187,590 | |
| | | | შ.პ.ს. „საგიტარუისი" | 25,531 | |
| | | | შ.პ.ს. „ინფექციური საავადმყოფო" | 30,020 | |
| | | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო" | 320,642 | |
| | | | შ.პ.ს. „აღდგენითი მკურნალობის ცენტრი" | 40,075 | |
| | | | შ.პ.ს. საზღვაო სამედიცინო ცენტრი" | 63,771 | |
| | | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი" | 43,029 | |
| | | ლოტი 2 – დამატებითი სტაციონარული მომსახურება ქობულეთის რაიონში | შ.პ.ს. „ქობულეთის ბავშვთა საავადმყოფო" | 6,500 | |
| | | | შ.პ.ს. „ქობულეთის რაიონული საავადმყოფო" | 12,899 | |
| | | ლოტი 3 – დამატებითი სტაციონარული მომსახურება ხელვაჩაურის რაიონში | შ.პ.ს. „ხელვაჩაურის რაიონული საავადმყოფო " | 12,225 | |
| | | ლოტი 4 - დამატებითი სტაციონარული მომსახურება ქედის რაიონში | შ.პ.ს. „ქედის რაიონული საავადმყოფო" | 6,359 | |
| | დამატებითი სტაციონარული დახმარების კომპონენტი | ლოტი 5 - დამატებითი სტაციონარული მომსახურება შუახევის რაიონში | შ.პ.ს. „შუახევის რაიონული საავადმყოფო" | 7,890 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| | | ლოტი 6 - დამატებითი სტაციონარული მომსახურება ხულოს რაიონში | შ.პ.ს. „ხულოს რაიონული საავადმყოფო" | 10,191 | |
| | | ლოტი 7 ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა, ინტრაკოხლეარული პათოლოგიის ოპერაციული მკურნალობა (ყურის ანპლანტი) ქ. თბილისში | შ.პ.ს. „კინდ სმენა" | 74,199 | |
| 2 | ორსულთა დამატებითი სამედიცინო მეთვალყურეობის კომპონენტი | ლოტი 1 – ორსულთა დამატებითი მომსახურება ქ. ბათუმში | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცის რესპუბლიკური ცენტრი" | 8,300 | |
| | | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი" | 62,150 | |
| | | ლოტი 2 –ორსულთა დამატებითი მომსახურება ქობულეთის რაიონში | შ.პ.ს. „ქობულეთის სამშობიარო სახლი" | 12,963 | |
| | | ლოტი 3 – ორსულთა დამატებითი მომსახურება ხელვაჩაურის რაიონში | შ.პ.ს. „ხელვაჩაურის ამბულატორიულ პოლიკლინიკური გაერთიანება" | 8,696 | |
| | | ლოტი 4 - ორსულთა დამატებითი მომსახურება ქედის რაიონში | შ.პ.ს. „ქედის რაიონული პოლიკლინიკა" | 3,145 | |
| | | ლოტი 5 – ორსულთა დამატებითი მომსახურება შუახევის რაიონში | შ.პ.ს. „შუახევის რაიონული პოლიკლინიკა" | 1,410 | |
| | | ლოტი 6 – ორსულთა დამატებითი მომსახურება ხულოს რაიონში | შ.პ.ს. „ხულოს ამბულატორიულ პოლიკლინიკური გაერთიანება" | 4,654 | |
| 3 | მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის კომპონენტი | ლოტი 1 – სამედიცინო მომსახურების შესყიდვა | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | 41,335 | |
| | | ლოტი 2 – დიალიზატორის შეძენა | S.p.s. ,,via vita" | 78,904 | |
| 4 | გადაუდებელი ამბულატორიულ-ტრავმატოლოგიური დახმარების კომპონენტი | ლოტი 1 – ბავშვთა გადაუდებელი ამბულატორიულ ტრავმატოლოგიური დახმარება ქ. ბათუმში | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი" | 46,620 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| | | ლოტი 2 – მოზრდილთა გადაუდებელი ამბულატორიულ ტრავმატოლოგიური დახმარება ქ. ბათუმში | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო" | 86,710 | |
| 5 | მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტების უზრუნველყოფა | ლოტი 1 – სამედიცინო მომსახურების შესყიდვა | შ.პ.ს. „რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" | 5,031 | |
| | | ლოტი 2 სპეციფიკური მედიკამენტების შესყიდვა | შ.პ.ს. „კარაბადინი" | 112,665 | |
| 6 | რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების კომპონენტი | ლოტი 1 – მოსახლეობის კარდიოქირურგიული მომსახურება ქ. თბილისში | შ.პ.ს. „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი" | 474,133 | |
| | | ლოტი 2 მოსახლეობის ტრავმატოლოგიური (ენდოპროტეზირება) სტაციონარული სამედიცინო მომსახურება ქ. ბათუმში | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო" | 75,488 | |
| | | ლოტი 3 – პროთეზების შეძენა | შ.პ.ს. „ჯი-ემ-ესი" | 133,840 | |
| 7 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი | | შ.პ.ს. „კინდ სმენა" | 153,525 | |
| 8 | უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულთა მოვლა- პატრონობის კომპონენტი | | საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ბათუმისა და სხალთის ეპარქიის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის საქველმოქმედო ფონდი | 100,000 | |
| 9 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი | | შ.პ.ს. შ.შ.მ. პირთა საპროთეზო ორთოპედიული და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი" | 58,836 | |
| 10 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა" | 446,649 | |
| 11 | ნეირორეაბილიტაციის კომპონენტი | | შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო" | 67,838 | |
| 12 | სასამართლო სამედიცინო შემოწმების, გამოკვლევისა და ექსპერტიზის პროგრამა | | ს.ს.ი.პ. „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" | 152,800 | |
| 13 | მანქანა დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა | | შ.პ.ს. „ივერმედი" | 145,200 | |

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

## ცნობილი ავტოსათადარიგო ნაწილების მომწოდებელი კომპანია საქართველოში RED HOOD Group LLC აცხადებს ვაკანსიას სავაჭრო კონსულნანტის პოზიციაზე

პოზიციის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

სქესი: მდედრობითი;

ასაკი: 20-დან 30 წლამდე;

განათლება: უმაღლესი. დამატებითი ქართული და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;

გამოცდილება: მსგავს პოზიციაზე მუშაობის ორი წელი.

კანდიდატს უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებები: იყოს კომუნიკაბელური, ყურადღებიანი, ზრდილობიანი, სწრაფი და ენერგიული, პოზიციური და ლოიალური, პასუხისმგებლობისა და იუმორის გრძნობით. მან უნდა მოიპოვოს კლიენტის ნდობა და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მისი ინტერესი მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხის, ისტორიისა და სხვა თვისებების ცნობით; ამასთან, კანდიდატი გოგონა აუცილებლად უნდა იყოს სასიამოვნო გარეგნობის.

გამარჯვებულ კანდიდატს კომპანია შესთავაზებს კონტრაქტს სამთვიანი საგამოცდო პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ ერთი წლის ვადით (შემდგომში კონტრაქტის გახანგრძლივების პერსპექტივით).

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ: რეზიუმე და ერთი ცალი სრული ფოტოსურათი მისამართზე: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №118, I სართული. ტ.: 25 35 92. საბუთების მიღების ვადაა 22 მაისიდან 10 ივნისამდე.

კანდიდატები გასაუბრებაზე (II ტური) მოხვდებიან მათი რეზიუმეს გამორჩევის შემდგომ (I ტური).

**RED HOOD Group LIC-ის ადმინისტრაცია**

## განჩინება

### (კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ) 19 მაისი 2006 წელი

ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კოზმავამ ერთპიროვნულად განვიხილე შპს "ავანგარდი"-ს კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.

გამოვარკვიე:

2005 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით შპს "ავანგარდი"-ს მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება.

2005 წლის 21 ოქტომბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გაჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარრამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციეამ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კვლავ გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც 2006 წლის 21 მარტს მიღებული განჩინებით ძალაში დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად დანიშნული იყო კრედიტორთა საერთო კრება 2005 წლის 22 ნოემბერს და არ ჩატარდა განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამჟამად აღარ არსებობს კრედიტორთას კრების ჩატარების ხელის შემშლელი გარემოებები.

ვიხელმძღვანელე რა "გაკოტრების საქმის წარმოების" შესახებ საქართველოს კანონის 22-ე, მე-12 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით,

დავადგინე:

1. მოწვეულ იქნას შპს "ავანგარდი"-ს კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 2 ივნისს 15 საათზე. კრებაზე შემოწმდეს კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე6 მოსმენილ იქნას გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის შპს "ავანგარდი"-ს გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზები. არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებულ ღონისძიებებამდე.
2. კრედიტორთა კრება შედგება ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (კუპრაძის ქ. №11) მეხუთე სართულზე, სასამართლოს სხდომათა დარბაზში.
3. ამ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება.

**მოსამართლე მერაბ კოსტავა**

## განცხადება

შსს სსიპ- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს, ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

სხვადასხვა სახის მეტალი 730 კგ, თხელკედლიანი უნაკერო უჟანგავი მილი - 190 მეტრი და სხვადასხვა სახის სპეციარალები - საწყისი ფასი 6827-40 ლარი. სხვადასხვა სახის მეტალი - 1480 კგ, საწყისი ფასი - 1290 ლარი. პერგამენტის ქაღალდი - 548 კგ, საწყისი ფასი - 778 ლარი. კალა - 469,7 კგ, საწყისი ფასი - 3100 ლარი. ტიტანის ნაგლინი - 102,4 კგ და მაკომპლექტებელი ნაწილები, საწყისი ფასი - 70033-42, ვეტერინარული დანიშნულების საქონელი, საწყისი ფასი - 1513,68 ლარი. 1262 ტონა ფეროსილიციუმი, საწყისი ფასი - 189300 ლარი, და სხვადასხვა სახის მეტალი, საწყისი ფასი - 2905,25 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, წინასწარ გადაიხადოს "ბე", მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით და მონაწილის ბილეთის ღირებულება - 50 ლარი.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 23 ივნისს, დღის 2 საათზე, დეპარტამენტის შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აგლაძის 32, II სარტული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 35-67-23, 34-65-98. განაცხადები მიიღება 2006 წლის 22 ივნისის დღის 4 საათამდე.

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

## შპს " საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის"

## განცხადება

ზეთის რეგენერაციის და ფილტრაციის დანადგარების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერისათვის შექმნილი სატენდერო კომისია დამატებით გაცნობებთ, რომ ტენდერში შესაძენ დანადგარებზე ფასი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთ ლოტად, ხოლოს სატენდერო დოკუმენტაციის გახსნის დრო არის 2006 წლის 6 ივნისის 16:00 საათი.

**სატენდერო კომისია**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "24 საათის" 23 მაისის ნომერეში გაიპარა შეცდომა. მე-4 ობიექტი ნაცვლად "ქვიშა-ხრეში" უნდა იკითხებოდეს "გაჯის პროდუქტები".**




**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო აცხადებს სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალის სასერტიფიკაციო (სარესერტიფიკაციო) გამოცდების 2006 წლის საგაზაფხულო სესიისათვის მაძიებელთა საბუთების მიღებას (რესტიფიცირებას ექვემდებარება მაძიებელთა ის კატეგორია, რომელთაც სახელმწიფო სართიფიკატი მიენიჭათ 1999 წლის 7 ოქტომბრამდე).**

**საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე: ა. ყაზბეგის გამზ. N23. 29 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე.**

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**თბილისი**
**2006 წლის 22 მაისი**
**N40/ო**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიურ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტებზე აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის, პრეზიდენტის 2006 წლის 24 მარტის N146 განკარგულების შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების მოვალეობის შემსრულებლების წარდგინების საფუძველზე, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიურ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტებზე აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი" (დანართი 1).
2. დამტკიცდეს საკონკურსო განცხადების ფორმა (დანართი 2).
3. დამტკიცდეს "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მაძიებლის (კონკურსანტი) ანკეტა"-ს ფორმა (დანართი 3).
4. დამტკიცდეს "სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამის (სილაბუსი) სარეკომენდაციო ფორმა" (დანართი 4).
5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მ. ქავთარაძემ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და დანართი 1-ის გამოქვეყნება გაზეთში "24 საათი".
6. ამ ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დამტკიცებული დანართები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მენაბდე

დანართი 1

**დამტკიცებულია:**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო**
**უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის**
**შემსრულებ;ლის 2006 წლის ------- მაისის**
**N ---------- ბრძანებით**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიურ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტებზე აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) მედიცინის, სტომატოლოგიურ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტებზე აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესი შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N473 ბრძანებულებით განსაზღვრული წესით, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის" აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის მიზნით.

2. აკადემიურ თანამდებობებზე პირთა გადაყვანა ეფუძნება საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

3. წინამდებარე წესის შესაბამისად აკადემიურ თანამდებობაზე პირის გადაყვანა ხდება 3 წლის ვადით.

4. აკადემიურ თანამდებობაზე პირის გადაყვანის შემთხვევაში პირს ეკრძალება აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასეთ პირს უფლება აქვს კითხულობდეს ლექციებს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მიწვეული აკადემიური პირის სტატუსით.

5. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტის სტატუსი.

**მუხლი 2. საკონკურსო წესით დასაკავებელი აკადემიური თანამდებობები**

1. კონკურსი ცხადდება ფაკულტეტების შემდეგი მიმართულებების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:
ა) მედიცინის ფაკულტეტი:
- ფუნდამენტური მედიცინა - 58 საშტატო ერთეული;
- შინაგანი მედიცინა - 51 საშტატო ერთეული;
- í9 საშტატო ერთეული;
- ქირურგია - 52 საშტატო ერთეული;
- ონკოლოგია - 5 საშტატო ერთეული;
- მეან-გინეკოლოგია - 10 საშტატო ერთეული;
- ნეირომედიცინა - 12 საშტატო ერთეული;
- პედიატრია - 19 საშტატო ერთეული;
- სასამართლო მედიცინა - 3 საშტატო ერთეული;
- კანი და ვენ.სნეულებანი - 5 საშტატო ერთეული;
- თვალის სნეულებანი - 5 საშტატო ერთეული;
- ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი - 5 საშტატო ერთეული;
- რადიოლოგია - 7 საშტატო ერთეული;
- მედიცინის ისტორია და ბიოეთიკა - 2 საშტატო ერთეული;
ბ) სტომატოლოგიური ფაკულტეტი:
- თერაპიული სტომატოლოგია - 11 საშტატო ერთეული;
- ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია - 5 საშტატო ერთეული;
- ორთოდონტია - 2 საშტატო ერთეული;
- ორთოპედიული სტომატოლოგია - 5 საშტატო ერთეული;
- ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია - 7 საშტატო ერთეული
გ) ფარმაციის ფაკულტეტი:
- ბიოქიმია - 10 საშტატო ერთეული;
- ფარმაკოლოგია - 6 საშტატო ერთეული;
- ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმია - 5 საშტატო ერთეული;
- ფარმაკოგნოზია - 4 საშტატო ერთეული;
- სოციალური და კლინიკური ფარმაცია - 5 საშტატო ერთეული;
- ფარმაცევტული ტექნოლოგია - 5 საშტატო ერთეული
დ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი:
- ჯანდაცვის მენეჯმენტი, პოლიტიკა და ეკონომიკა - 3 საშტატო ერთეული;
- e- 3 საშტატო ერთეული;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობა - 4 საშტატო ერთეული;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 2 საშტატო ერთეული;
- გარემოსა და შრომის ჰიგიენა - 4 საშტატო ერთეული;
ე) ენების შემსწავლელი ცენტრი - 2 საშტატო ერთეული.

**მუხლი 3. განცხადებების მიღების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა კომისიას უნდა წარუდგინოს:
ა) პირადი მონაცემები (დამადასტურებელი დოკუმენტაციით), შემდეგი სახის ინფორმაციის აუცილებელი მითითებით:
- აკადემიური ხარისხი;
- პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კონკურსანტის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;
- სამეცნიერო საბჭოს (აკადემიის) წევრობა;
- რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა;
- წიგნის (კრებულის) რედაქტორობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) სამი ფოტოსურათი 3/4.

2. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამა (სილაბუსი), წერილობითი და ელექტრონული ფორმით, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:
- პროგრამის მიზანი;
- დეტალური სასწავლო გეგმა;
- სწავლების მეთოდი;
- კრედიტების მინიჭების წესი;
- შეფასების მეთოდოლოგია;
- ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით .განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული დანართი 3-ის (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მაძიებლის (კონკურსანტი) ანკეტა) საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული დანართი 4-ის (სასწავლო კურსის სასწავლო პროგრამის (სილაბუსი) სარეკომენდაციო ფორმა) გათვალისწინებით.

5. საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33, ოთახი 208; ტელ. 39-01-63.

6. კონკურსანტს უფლება აქვს განცხადება შეიტანოს მხოლოდ ერთ აკადემიურ თანამდებობაზე.

7 უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღება ხდება წინამდებარე წესის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადში. კონკურსი ტარდება კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ორი თვის ვადაში.

# სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ხელახალ ღია ტენდერს პროზექტურის მოწყობილობების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** პროზექტურის მოწყობილობები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით და დამონტაჟებით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 14 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N84 მე-4 სართული ოთახი N47 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი
ანგ. N 007700425
ბანკის კოდი: 220101502

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 15 ივნისიდან 19 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N84, მე-4 სართული, ოთახი N47, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 19 ივნის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**
1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**ფიზიკურ პირთათვის:**
1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**
1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტროქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიას, კომისიის წევრი დავით რეხვიაშვილი, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზი. N84 მე-4 სართული ოთახი N47 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ტელეფონი **29-04-91.**

| ლოტი | № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოტი | №1 | სასექციო მაგიდა | კომპ | 4 | 30.06.06–30.08.06. | ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი. №84 |
| | | გვამის შესანახი მაცივარი (არანაკლებ 10 და არაუმეტეს 12 გვამისათვის) | ცალი | 1 | | |
| | | ელექტროოპტიკური გარდამქნელი | ცალი | 1 | | |
| | | სასექციო ნაკრები | ცალი | 10 | | |
| | | საკაცე (ავტომატური ამწით, გვამის შესანახი მაცივრისათვის) | ცალი | 1 | | |

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. N13-ში მდებარე N33 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის სარეკონსქტრუქციო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

*2.* სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 ოქტომბერი.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 15 ივნისის 12 საათიდან 15 ივნისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.(იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 მაისის 12 საათიდან 14 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N

ქ. თბილისი "..........." ..................................... 2006 წ.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და მისი რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე**

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისს N50 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე და მათი შესრულების მიზნით:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" თანდართული საკონკურსო კომისიის რეგლამენტი (დანართი N1)
2. დამტკიცდეს ზემოაღნიშნული საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი N2);
3. დამტკიცდეს განცხადების თანდართული ფორმა (დანართი N3, N4);
4. დამტკიცდეს თანდართული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი N5);
5. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს (ღიად განთავსდეს) სამინისტროს შენობაში საინფორმაციო დაფაზე.
6. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N6) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საფუძველი: რატი ჯაფარიძის მოხსენებითი ბარათი

**გ. პაპუაშვილი**
**მინისტრი**

**დანართი N1**
**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**ბუნებრივი რესურსების მინისტრის**
**2006 წლის --------**
**N -------- ბრძანებით**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" საკონკურსო კომისიის რეგლამენტი**

**მუხლი 1. გამოყენების მიზანი**

ამ რეგლამენტის მიზანია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" შესაბამის თანამდებობებზე კანდიდატურის შერჩევა.

**მუხლი 2. კომისიის ამოცანა და ფუნქციები**

1. კომისიის ამოცანაა:
ა) დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე პირის კონკურსის წესით შერჩევა;
ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დაკავებულ თანამდებობასთან მუშაკის შესაბამისობის დადგენა;
2. კომისიის ფუნქციებია:
ა) პირის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შეფასების პროცედურის წარმართვა;
ბ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისათვის კონკურსანტის შეფასების თაობაზე დასკვნის (ოქმის) წარდგენა

**მუხლი 3. მოთხოვნები რომელიც წაეყენება კანდიდატს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" შესაბამის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და აკმაყოფილებს სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

**4. კონკურსის გამოცხადება**

1. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს ოფიციალური ბეჭვდით ორგანოში აცხადებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.
2. საკონკურსო კომისიის სხდომა ტარდება არა უადრეს ორი კვირისა კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან

**მუხლის 5. კომისიის საქმიანობის წესი**

1. მუშაკთა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია (შემდგომში კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
2. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაღვრავს კომისიის თავმჯდომარე. მინისტრის გადაწყვეტილებით კომისიის თავმჯდომარეს შეიძლება ყავდეს თავჯდომარის მოადგილე, რომელიც ახორციელებს თავმჯდომარის ფუნქციას მის არყოფნის შემთხვევაში.
3. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა საერთო რიცხვიდან ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც აღინიშნება ოქმში.
6. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს (შემდგომში სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.
7. სამდივნოს უფროსს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.
8. სამდივნოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
9. სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის გამართვისათვის ყველა ორგანიზაციული საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის, კანდიდატების განცხადებების მიღებასა და მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და დოკუმენტების კომისიისათვის წარდგენას.
10. კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს კომისიის წევრთა უფლებამოსილების შეყვეტას.
11. კონკურსის დამთავრებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ კომისია და კომისიის სამდივნო წყვეტს თავის საქმიანობას.

**მუხლი 6. კონკურსისათვის წარმოსადგენი საბუთები და ვადა**

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა კომისიის თავმჯდომარის სახელზე მითითებული წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად (დანართი N3)
ბ) ავტობიოგრაფია ან C/V;
გ)უმაღლესი განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; (დედანტან ერთად)
დ) შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში), ან სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. შრომის წიგნაკის არქონის შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარადგინოს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მისი სამუშაო ადგილისა (თუ მუშაობს ან თუ მუშაობდა) და მუშაობის ხანგრძლივობის (სტაჟის) დადგენა;
ე) ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);
ვ) საკონკურსო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული და კანდიდატის მიერ შევსებული ანკეტა (დანართი N2);
ზ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი. (დედანთან ერთად)
2. კანდიდატის განცხადებას რეგისტრაციაში ატარებს და შესაბამის სარეგისტრაციო ბარათს აძლევს სამდივნო.
3. კანდიდატის განცხადების და თანდართული საბუთების შესატანად სამდივნოში ეძლევათ ერთი კვირა კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. ამ ვადის დარღვევა ან/და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბუთების დადგენილი წესით წარმოუდგენლობა ან/და სათანადო ფორმის დარღვევით წარმოდგენა, სამდივნოს მიერ წარმოადგენს პირისათვის განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.
4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს სამდივნოს მიერ გაცემული სარეგისტრაციო ბარათი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
5. სარეგისტრაციო ბარათის და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის უქონლობა, კონკურსზე დაგვიანება ან/და სხვა მიზეზით გამოუცხადებლობა წარმოადგენს კონკურსანტის (კანდიდატის) კონკურსზე დაშვების უარის თქმის საფუძველს.
6. კონკურსანტებს სამდივნოში წარმოდგენილი საბუთები უკან არ უბრუნდებათ, გარდა ამ ბრძანების მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**მუხლი 7. განცხადების შეცვლა**

კონკურსანტს, რეგისტრაციის ვადის განმავლობაში უფლება აქვს გამოიტანოს წარმოდგენილი საბუთები ან შეცვალოს განცხადებაში მითითებული კონკურსის წესით დასაკავებელი ადგილი.

**მუხლი 8. გასაუბრება**

პირის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობისა და პირადი თვისებების დასაკავებელ თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ტარდება ზეპირი გასაუბრება (ინტერვიუ).

**მუხლი 9. კომისიის მიერ კონკურსანტების თანამდებობასთან შესაბამისობის განხილვა**

1. კომისია კონკურსანტებს გასაუბრების შემდეგ თავის სხდომაზე განიხილავს საკითხს მათ დაუსწრებლად.
2. კომისია აფასებს კონკურსანტების შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 10. კენჭისყრის წესი და გადაწყვეტილების მიღება**

1. გადაწყვეტილების მისაღებად კომისია თავის სხდომაზე ატარებს ღია კენჭისყრას.
2. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
3. გადაწყვეტილება მიიღება ამ ბრძანებისF მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.
4. კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატზე იწერება დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
5. ყოველი კანდიდატის შეფასებისას თითოეულმა კომისიის წევრმა უნდა დააფიქსიროს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი პოზიცია. არც ერთ კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

**მუხლი 11. კონკურსის შედეგი**

1. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კომისია წარადგენს კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
2. კონკურსის შედეგების შესახებ დანიშვნის უფლების მქონე პირს მოხსენდება კონკურსის ჩატარებიდან ორი დღის ვადაში.
3. მინისტრი კომისიის დასკვნის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.
4. კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი კომისიის ერთერთი წევრი, გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა სამდივნოს მეშვეობით აქვეყნებს კონკურსის შედეგებს.

**მუხლი 12. ჩაშლილი კონკურსი**

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.

**დანართი N2**

**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**ბუნებრივი რესურსების მინისტრის**
**2006 წლის --------**
**N -------- ბრძანებით**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" საკონკურსო კომისიის შემადგენლობა**

**კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი წევრებისაგან:**

**1. სოფიკო ახობაძე** - მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

**2. დავით ჩანტლაძე** - მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

**3. ირაკლი ღვალაძე** - მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

**4. გიორგი ფუტკარაძე -** ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

**5. რუსლან საჯაია -** ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკადრო რესურსების მართვის
სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

**დანართი N3**

**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**ბუნებრივი რესურსების მინისტრის**
**2006 წლის --------**
**N -------- ბრძანებით**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი**
**რესურსების სამინისტროს საკონკურსო**
**კომისიის თავმჯდომარეს**

კონკურსანტი ----------------
მცხ. ---------------------
-------------------------
ტელ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამრთოთ ნება მონაწილეობა მივიღო კონკურსში --------------------------------------------------------
--------------------------------------------------------------
-------------------------------------------- თანამდებობაზე.

პატივისცემით,

(ხელმოწერა, თარიღი)

**დანართი N4**
**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**ბუნებრივი რესურსების მინისტრის**
**2006 წლის --------**
**N -------- ბრძანებით**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მონაცემები:

1. სახელი, გვარი ---------------------------------------
2. დაბადების წელი თვე და რიცხვი -----------------------
3. დაბადების ადგილი ----------------------------------
4. ოჯახური მდგომარეობა -------------------------------
5. განათლება -------------------------------------------
-----------------------------------------------------------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის, მობილურის ნომერი
-----------------------------------------------------------
7. უცხო ენის ფლობა (სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.)

| ენა | კითხვა | მეტყველება | წერა |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

8. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:
-----------------------------------------------------------
9. კვალიფიკაციის ამაღლება
-----------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------
10. სამეცნიერო ხარსიხი, სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები
-----------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------
11. შრომითი საქმიანობა
-----------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------

ხელმოწერა -----------

**დანართი N5**

**"დამტკიცებულია"**
**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**ბუნებრივი რესურსების მინისტრის**
**2006 წლის --------**
**N -------- ბრძანებით**

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო"-ს საკონკურსო წესით თანამდებობებზე დასანიშნ პირთათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

**თავი I სააგენტოს ხელმძღვანელობა**

**მუხლი 1. სააგენტოს გენერალური დირექტორი**

1. მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
ა) ახორციელებს საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების, საქართველოს სატყეო განვითარების, საქართველოს ინტეგრირებული სანაპირო მართვის პროექტებისა და კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების გრანტის (პროექტების) კოორდინირებასა და მართვას, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უშუალო ზედამხედველობით;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში წარადგენს პროექტებს საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, მსოფლიო ბანკის, დონორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე;
გ) ახორციელებს პროექტების ტექნიკურ ხელმძღვანელთა და საგრანტო ოფიცრის ზედამხდველობას, პროგრესზე დაკვირვებას დასახულ მიზნებთან მიმართებით და მონიტორინგს;
დ) სააგენტოს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, მათთვის კონკრეტულ მოვალეობათა განსაზღვრა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
ე) ტექნიურ ხელმძღვანელთა საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა პროექტის მიზნებთან;
ვ) პროექტის სახსრებზე ფიდუციარული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და აღნიშნული სახსრების გამოყენება საკრედიტო და საგრანტო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის დებულებების მიხედვით;
ზ) ფინანსური, შესყიდვებისა და საერთო/ადმინისტრაციულ ქმედებათა უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;
თ) საჭიროების შემთხვევაში პროექტით მშენებარე ობიექტების ადგილზე მონახულება და შინაარსობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
ი) სააგენტოს ქმედებათა გამჭვირვალეობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის უზრუნვეყოფა პროექტის მიზნებთან მიმართებით.
კ) სხვა უფლებამოსიელების განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. კვალიფიკაცია და გამოცდილება:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება დონორებით დაფინანსებულ პროექტებში;
გ) მოცემული სფეროს სათანადო ცოდნა;
დ) კომუნიკაბელურობა, მართვის უნარი და ძლიერი ანალიტიკური უნარ ჩვევები;
ე) წერითი და სალაპარაკო ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა.
ვ) MS Office-ის პროგრამების მოხმარების უნარჩვევები.

3. კანდიდატს სასურველია გააჩნდეს:
ა) უცხოური უნივერსიტეტის ხარისხი შესაბამის სფეროში;
ბ) გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, დაცული ტერიტორიების, ინტეგრირებული სანაპირო ზოლისა და ტყეების მდგრადი მართვის პრინციპების კარგი ცოდნა;
გ) საერთაშორისო გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაცული ტერიტორიების მართვა, ბუნებრივი და კულტურული რესურსებისა და გარემოს მართვა, მდგრადი განვითარება, სახელმწიფო და ბიზნეს ადმინისტრირება ან/და სხვა მსგავს სფეროებში;
დ)სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის, სატყეო სექტორის მდგრადი განვითარებისა და დაცული ტერიტორიების სისტემის - დანიშნულებასთან და მიზნებთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამების და ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების სათანადო ცოდნა;
ე) საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ კარგი ცოდნა.

**თავი II სააგენტოს პერსონალი**

**მუხლი 2. მშენებლობის/მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მენეჯერი**

1. მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
ა) ანგარიშვალდებულია განმახორციელებელი გენერალური დირექტორის წინაშე;
ბ) მას ევალება სამშენებლო ნახაზების ინტერპრეტირება და მშენებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა თავდაპირველ გეგმებთან და დადგენილ სპეციფიკაციებთან;
გ) ვალდებულია დაეხმაროს სააგენტოს გენერალურ დირექტორსა და შესაბამის ტექნიკურ მენეჯერებს შეხვედრების / სამუშაო სესიების / სემინარების ტექნიკურ მომზადებასა და მატერიალურ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში;
დ) უზრუნველყოს ტექნიკური და პროფესიული საინჟინრო მხარდაჭერა, რომელიც უკავშირდება მშენებლობის / მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მენეჯერისთვის დადგენილ მოვალეობებს;
ე) უზრუნველყოს კონტრაქტორი სამშენებლო კომპანიების მიერ განმახორციელებელ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების პირობებისა და სამშენებლო სამუშაოების გრაფიკისა და ყველა შეთანხმებული სპეციფიკაციის დაცვა;
ვ) დაეხმაროს განმახორციელებელი სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ტექნიკურ მენეჯერსა და შესყიდვების სპეციალისტს ტექნიკური მახასიათებლებისა და ტექნიკური დავალების მომზადებაში.
ზ) დაეხმაროს გენერალურ დირექტორს იმ დამატებითი ქმედებების განსაზღვრაში, რომლებიც ხელს შეუწყობს პროექტების მიზნების განხორციელებას;
თ) სააგენტოს გენერალური დირექტორის მითითების საფუძველზე მიიღოს / შეასრულოს სხვა მოვალეობები / დავალებები, რომლებიც უკავშირდება მშენებლის / მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მენეჯერის თანამდებობას, მაგრამ არ არის მოცემული მისი მოვალეობის აღწერილობაში.

2. კვალიფიკაცია და გამოცდილება:
ა) უმაღლესი განათლება სპეციალობით;
ბ) სამშენებლო ობიექტებზე ზედამხედველად მუშაობის სამწლიანი პრაქტიკული გამოცდილება;
გ) გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
დ) მართვის მოწმობა;
ე) სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების კარგი ცოდნა, მათ შორის: Word, Excel, Power Point, ელექტრონული ფოსტა.

3. კანდიდატს სასურველია გააჩნდეს:
ა) ინგლისური ენის ცოდნა;
ბ) კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევები;
გ) ადამიანებთან ურთიერთობის ძლიერი უნარ-ჩვევები, მათ შორის: მოთმინება, დიპლომატია, მოსმენის სურვილი და სხვა კოლეგების პატივისცემა.

**მუხლი 3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი**

1. მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
ა) რჩევები მისცეს ოფისის ქსელების დიზაინისა და კომ-

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N

### გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

პიუტერული ტექნიკის შესყიდვების განხორციელებაზე;

ბ) დაამონტაჟოს, დააინსტალიროს და ადმინისტრირება გაუწიოს ოფისის ქსელს 20-25 სამუშაო ადგილზე სერვერის ჩათვლით;

გ) უზრუნველყოს და ადმინისტრირება გაუწიოს ქსელებზე ხელმისაწვდომობას, ე.წ. fire wall-s, anti-virussa და ა.შ.;

გ) მოთხოვნისამებრ დაეხმაროს თანამშრომლებს კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამებისა და ინტერენტ კავშირის გამოყენებით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) ამუშავოს ანალოგ სისტემის სატელეფონო კაბელები და ხაზები;

ე) განაახლოს პროექტების ვებ-გვერდები ამის მოთხოვნის შემთხვევაში;

ვ) განმახორციელებელი სააგენტოს გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც უკავშირდება საინოფრმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის თანამდებობას, მაგრამ არ არის მოცემული მისი მოვალეობის აღწერილობაში;

ზ) ინფორმაციების ტექნოლოგიების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია განმახორციელებელი სააგენტოს გენერალური დირექტორის წინაშე;

თ) სხვა უფლებამოსილების განხორციელება დადგენილი წესის შესაბამისად.

2. კვალიფიკაცია და გამოცდილება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციების ტექნოლოგიების სპეციალისტის თანამდებობაზე მინიმუმ 3 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) TCP/IP-ზე დაფუძნებული ქსელური სისტემის და Unix/Linux, Windows 2003 საფუძვლების ცოდნა;

დ) წერითი და სალაპარაკო ინგლისური ენის ცოდნა.

3. კანდიდატს სასურველია გააჩნდეს:

ა) სამუშაო გამოცდილება საერთაშორისო კომპანიებში ან ტექნიკური დახმარების პროგრამებში;

ბ) გამოცდილება ვებ-გვერდების დიზაინში;

გ) ორგანიზაციული და დროის ეფექტურად გამოყენების უნარჩვევები.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები სამინისტრო აცხადებს კონკურსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო"-ს შემდეგ თანამდებობებზე:**

**სწრაფი რეაგირების სამსახური (სულ 12 საშტატო ერთეული)**

1. **"მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო"-ს** - გენერალური დირექტორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 3698 ლარი);
2. **"მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო"-ს - მშენებლობის/მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მენეჯერი** - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 2405 ლარი);
3. **მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო"-ს** - საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1678 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომში - კონკურსი) უზრუნველყოფს სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის. კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას სამდივნოში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და მისი რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 22 მაისის N399 ბრძანებით. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ 21-დან ასაკის საქართველოს მოქალაქეებმა, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კონკურსს ატარებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს" საკონკურსო კომისია

კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება
2. ავტობიოგრაფია ან CV:
3. უმაღლესი განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ორიგინალთან ერთად);
4. მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ორიგინალთან ერთად);
5. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);
6. შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში), ან სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. შრომის წიგნაკის არქონის შემთხვევაში კანდიდატმა უნდა წარადგინოს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მისი სამუშაო ადგილისა (თუ მუშაობს ან თუ მუშაობდა) და მუშაობის ხანგრძლივობის (სტაჟის) დადგენა;
7. კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული და კანდიდატის მიერ შევსებული ანკეტა.

**საბუთების მიიღება წარმოებს 24 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით 11:00სთ-დან 17:00სთ-მდე.**

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს ორი კვირისა.

კონკურსი ჩატარდება ერთ ეტაპად - გასაუბრება.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში მისამართი: ქ. თბილისი გულუას ქ. N6. საკონტაქტო ტელ. 27-57-10.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. მცხეთის რაიონის გამგეობა ს/კ 236033234, ბანკი: "სახალხო ბანკი"-ის მცხეთის ფილიალი, კოდი 220101415, ა/ა 33030001, მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73, ატარებს ტენდერს ქ. მცხეთაში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და აივნების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 13 ივნისის 12 საათიდან 15 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდზა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ადგილობრივი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიპანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ სის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებულს;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).

5. თუ პრეტენპდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომიასიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი ართულ ენაზე გაიცემა 24 მაისის 12 საათიდან 12 ივნისის 15 საათამდე შემდგომ მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელოეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი პაპაშვილი. ტელ.: 893 327240.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ბოლნისის რ-ნის დ. კაზრეთის გამგეობა (მის.: დ. კაზრეთის გამგეობის შენობა. სს "სახალხო ბანკის ბოლნისის ფილიალი" (საგადასახადო კოდი 22359162, ანგ. 330013) აცხადებს ტენდერს სოფ. ბალიჭის გაზიფიცირების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მიწოდების სავალდებელო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 ოქტომბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 ივნისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი (გამგეობის შენობა, I სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები იუნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- უკანაკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

5. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებიი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შემდეგ მისამართზე: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი (გამგეობის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდენრო კომისიის თავმჯდომარე, დაბა კაზრეთის გამგეობის კპარატის უფროსი თ. სარაჯიშვილი, ტელ.: 8 99 71 76 56, 8 25 85 01 28.

**სატედერო კომისიის თავმჯდომარე**
**დაბა კაზრეთის გამგეობის აპარატის უფროსი თ. სარაჯიშვილი**

# შპს „საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 23 მაისიდან აცხადებს ტენდერს საღებავების შესყიდვის შესახებ

***შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"***, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ღია ტენდერს საღებავების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, სატენდერო დკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | თეთრი ფასადის საღებავი | ტონა | 3 |
| | თეთრი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 5.5 |
| | წითელი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 2.2 |
| | მწვანე ზეთოვანი საღებავი | ტონა | 2 |
| | ყვითელი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 1 |
| | ლურჯი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 1 |
| | შავი ზეთოვანი საღებავი გოსტ6465-75 | ტონა | 3.4 |
| | საღებავი ზეთოვანი სურიკი გოსტ6465-75 | ტონა | 1.5 |
| | რუხი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 5 |
| | სპილოსძვლისფერი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 2 |
| | ალუმინის ზეთოვანი საღებავი | ტონა | 1 |
| | საღებავი ზეთოვანი შავი | ტონა | 4 |
| | ყავისფერი ზეთოვანი საღებავი | ტონა | 4 |
| | ოლიფა ,,ოკსოლი» ГОСТ 190-78 | ტონა | 1.2 |
| ლოტი №2 | თეთრი ემალის | ტონა | 0.1 |
| | ალუმინის ბრონზა (ნიტროემალი) გოსტი პ 51691-2000 | ტონა | 2.125 |
| | ყვითელი (ნიტროემალი) | ტონა | 0.243 |
| | ლაქი ბტ ГОСТ -5631-79 | ტონა | 0.050 |
| | შავი ლაქი გოსტი პ -51691 | ტონა | 4.520 |
| | თეთრი (ნიტროემალი) | ტონა | 0.218 |
| | წითელი (ნიტროემალი) | ტონა | 0.175 |
| | ლურჯი (ნიტროემალი) | ტონა | 0.020 |

**მიწოდების ადგილი: - DDP** ქ. თბილისი

3. **მიწოდების სასურველი ვადა**: - 2006 წლის 3 და 4 კვარტალი.

4. პრეტენდენტებმა **სატენდერო წინადადება** და **საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა წარმოადგინოთ ორ ეგზემპლარად (ორიგინალი და მისი ასლი) შევსებული ქართულ და/ან რუსულ ენაზე.

5. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი იქნება აშშ დოლარებში სატენდერო წინადადების ღირებულება აინგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი - 1, 8020 ლარი.

- დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადაა 2006 წლის **15 ივნისს** 900-1800 სთ-მდე.
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული).

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*იურიდული პირებისათვის:*

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**დ)** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ფიზიკური პირებისათვის:*

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. მეწარმეთ რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იქნას წინადადების მოქმედების ვადა; პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები; საქონლის მიწოდების ვადები;
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში), საქონლის მახასიათებლების მითითებით;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

***სატენდერო კომისია***

უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006წლის 23 მაისიდან აცხადებს ტენდერს მასალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სალიანდაგო მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| ლოტი N | საქონლის დასახელება | საქონლის მიწოდების სავარაუდო ვადა | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | ასაღები ნიჩაბი რკინის საშუალო სტანდარტული ზომის | 2006 წ II კვარტ | 1565 ც |
| | | 2006 წ IV კვარტ | 25 ც |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 100 მმ-ის სიგრძის | 2006 წ II კვარტ | 180 კგ |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 150 მმ -ის სიგრძის | 2006 წ II კვარტ | 70 კგ |
| | რკინის ლურსმანი სამშენებლო 70 მმ- ის სიგრძის | 2006 წ II კვარტ | 150 კგ |
| 2 | ფოლადის გვარლი (ტროსი) 16 მმ გოსტი 2688-80 | 2006 წ II კვარტ | 500 მ |
| | ფოლადის გვარლი (ტროსი) 18 მმ გოსტი 2688-80 | 2006 წ II კვარტ | 500მ |
| | ფოლადის გვარლი (ტროსი) 22 მ გოსტი 2688-80 | 2006 წ II კვარტ | 700 მ |
| | ბიმეტალის გვარლი მრავალძარღვა ПБСМ-95 მმ | 2006 წ III კვარტ | 733 კგ |
| | ბიმეტალის გვარლი მრავალძარღვა ПБСМ-70 მმ | 2006 წ IIIკვარტ | 489 კგ |
| 3 | ანტიფრიზი ,,ტოსოლი" (-40$^{0}$) | 2006 წ II და IV კვარტ | 2 ტ |
| 4 | იზომილისი კზ | II კვარტ | 20000 ც |
| | იზოფიბრების მოწყობილობები: P-65 | II კვარტ | 800 კომპლ |
| | P-50 | II კვარტ | 200 კომპლ |
| 5 | აკუმულატორი 6სტ-190 | 2006 წ II კვარტ | 8 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-140 | 2006 წ II კვარტ | 45ც |
| | აკუმულატორი 6სტ-75 | 2006 წ II კვარტ | 11 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-132 | 2006 წ II კვარტ | 55ც |
| | აკუმულატორი 6სტ-130 | 2006 წ II კვარტ | 1 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-60 | 2006 წ II კვარტ | 8 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-100 | 2006 წ II კვარტ | 10 ც |
| | აკუმულატორი სსპ-100 | 2006 წ II კვარტ | 350 ც |
| | | 2006 წ IV კვარტ | 350 ც |
| | აკუმულატორი სსპ-200 | 2006 წ II კვარტ | 12 ც |
| | აკუმულატორი სსპ-400 | 2006 წ II კვარტ | 48 ც |

**2. მიწოდების ადგილი:**
**DDP** ქ. თბილისი

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი იქნება აშშ დოლარებში სატენდერო წინადადების ღირებულება აინგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი - 1, 8020 ლარი.

5. ლოტი N5 - აკუმულატორების საგარანტიო ვადა არ უნდა იყვეს 1 წელზე ნაკლები.

6. **პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 15 ივნისს** 9 სთ 00 წთ-დან 18 სთ და 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*იურიდული პირებისათვის:*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ფიზიკური პირებისათვის:*

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. მეწარმეთ რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იქნას წინადადების მოქმედების ვადა; პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები; საქონლის მიწოდების ვადები;
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში), საქონლის მახასიათებლების მითითებით;
3. ლოტი NN2, 3 და 4-ზე - ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
4. ლოტი N5 - ინფორმაცია აკუმულატორების საგარანტიო ვადის შესახებ.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

***სატენდერო კომისია***

უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2005 წლის 23 მაისიდან აცხადებს ტენდერს ელმავლების კაპიტალური რემონტისა და ელმავლების წევის ელექტროძრავების რემონტის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ელმავლების კაპიტალური რემონტისა და ელმავლების წევის ელექტროძრავების რემონტის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატედერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

**ლოტი N1 მუდმივი დენის ელექრომავლების საშუალო საქარხნო (1 მოცულობის) რემონტი; - 4 ცალი**

*უნდა აკმაყოფილებდეს მუდმივი დენის ელექტრომავლების საშუალო და კაპიტალურ რემონტის* №цт/3878 *ინსტრუქციის მოთხოვნებს;*

**ლოტი N2 ელმავლის წევის ელექტროძრავის რემონტი - 20 ცალი**

*უნდა აკმაყოფილებდეს მუდმივი დენის ელექტრომავლების მანქანების საშუალო და კაპიტალურ რემონტის* №цт*/2931 ინსტრუქციის მოთხოვნებს*

3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი;
4. მიწოდების სასურველი ვადები: ლოტი N1 - 2006 წლის მე-3 კვარტალი;
 ლოტი N2 - 2006 წლის ბოლომდე ეტაპობრივად;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ და/ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლიარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **15 ივნისს** მარტს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი იქნება აშშ დოლარებში სატენდერო წინადადების ღირებულება აინგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი - 1, 8020 ლარი.
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*იურიდული პირებისათვის:*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ფიზიკური პირებისათვის:*

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. მეწარმეთ რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იქნას წინადადების მოქმედების ვადა; პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები; საქონლის მიწოდების ვადები;
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში), საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

***სატენდერო კომისია***

უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 23 მაისიდან აცხადებს ტენდერს ელქტრო საქონლისა და მასალების შესყიდვის შესახებ

***შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"***, ქ. თბილისი თამარ მეფის გამზ. №15, აცხადებს ტენდერს ელექტრო საქონლისა და მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადოთ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ს/ს ბანკი ***"რესპუბლიკა"*** ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205) და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტო (შენობის მე-3 სართული), რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**2. შესყიდვის ობიექტი :**

| ლოტი | საქონლის დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები და განსაკუთრებული თავისებურება | ერთე-ული | რაოდე-ნობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1) საკონტაქტო ქსელის რკინა-ბეტონის ანძა ჰიდროიზოლაციით და სამაგრი დეტალებით,მარკა სს-136.6-3 | დენის სახეობა: მუდმივი; ნორმატიული მღუნავი მომენტი 79კნ/მ; ანძის სიგრძე 13600მმ; ანძის თავის დიამეტრი 290მმ; ანძის ძირის დიამეტრი 492მმ; კედლის სისქე 60მმ | ც | 200 |
| | 2) საანკერო ფუნდამენტი მარკით ტა-8-4,0 | სიმაღლე 4000მმ | ც | 14 |
| | 3) ჭიქური ფუნდამენტი მარკით ტს-8-4,0 | სიმაღლე 4000მმ | ც | 10 |
| 2 | 1) განმუმხტველი მცველი მარკით რვპ-6 | ძაბვის კლასი 6კვ ნომინალური ძაბვა 7,5 კვ | ც | 25 |
| | 2) განმუმხტველი მცველი მარკით რვპ-10 | ძაბვის კლასი 10კვ ნომინალური ძაბვა 12,7 კვ | ც | 25 |
| | 3) გამთიში მარკით რლნდ-10/400 უხლ1 | ნომინალური ძაბვა 10კვ; ნომინალური მუშა ძაბვა 12კვ; ნომინალური დენი-400ა; | ც | 25 |
| | 4) განმუმხტველი მარკით რვკუ-3,3-ბ-01 | დენის სახეობა: მუდმივი; ნომინალური ძაბვა 3,3კვ | ც | 20 |
| 3 | კოუში ჩანგლისებრი საყურისათვის | კს-006 | ც | 200 |
| | კოუში ჩანგლისებრი საყურისათვის პესტიკით | კს-007 | ც | 50 |
| | უნაგირა ცალმაგი ყურიანი | კს-008 | ც | 300 |
| | უნაგირა ცალმაგი ყურიანი პესტიკით | კს-009 | ც | 100 |
| | უნაგირა ორმაგი ყურიანი | კს-010 | ც | 180 |
| | უნაგირა ორმაგი ყურიანი პესტიკით | კს-011 | ც | 50 |
| | ყურიანი ცალთათა მომჭერი | კს-012 | ც | 100 |
| | ყურიანი ორთათა მომჭერი | კს-013 | ც | 50 |
| | სოლიანი მომჭერი | კს-035 | ც | 600 |
| | სოლი (დიდი) | კს--035-1 | ც | 600 |
| | ორმაგი ყურიანი საკიდი | კს-036 | ც | 80 |
| | ერთმაგი მომჭერი გვარლის | კს-037 | ც | 50 |
| | მომჭერი ცალუღიანი | კს-039 | ც | 50 |
| | მომჭერი ყურით | კს-040 | ც | 400 |
| | საკომპენსატორო ბლოკი | კს-041 | ც | 150 |
| | სოლისებური საყელური | კს-044 | ც | 100 |
| | სასიმე მომჭერი | კს-046 | ც | 9000 |
| | შეერთების მომჭერი საკ.გამტარის | კს-047 | ც | 100 |
| | მომჭერი შუა დაანკერების გვარლისათვის | კს-048 | ც | 300 |
| | საფიქსატორო მომჭერი | კს-049 | ც | 1200 |
| | მომჭერი შუა დაანკერების საკ.გამტარისათვის | კს-051 | ც | 100 |
| | საკ.გამტარის მომჭერი | კს-053 | ც | 1000 |
| | შემაერთებელი მომჭერი | კს-054 | ც | 800 |
| | შემაერთებელი მომჭერი | კს-055 | ც | 800 |
| | შემახორცებელი მომჭერი | კს-059 | ც | 200 |
| | სადენების კავი | კს-061 | ც | 500 |
| | ალუმინის გამტარის მკვებავი მომჭერი | კს-064 | ც | 250 |
| | დამიწების სადენის მომჭერი | კს-066 | ც | 700 |
| | გარდამავალი სადენის მომჭერი | კს-069 | ც | 150 |
| | ყურიანი პესტიკი | კს-075 | ც | 200 |
| | შემახორცებელი მომჭერი ფოლადის ტროსისათვის | კს-079 | ც | 80 |
| | შემაერთებელი პლანკა | კს-082 | ც | 100 |
| | ბუგელი I ტიპის | კს-089-I | ც | 80 |
| | ბუგელი ფირფიტოვანი | კს-093 | ც | 300 |
| | შტანგა ორმაგი ტვირთებისათვის | კს-106 | ც | 20 |
| | კავიანი ჭანჭიკი | კს-107 | ც | 100 |
| | დამატებითი ფიქსატორი | კს-109 | ც | 350 |
| | ტრავერსი კონუსური საყრდენისათვის | კს-112 | ც | 40 |
| | პირდაპირი ფიქსატორის საყრდენი | კს-115-117 | ც | 200 |
| | შებრუნებული ფიქსატორის საყრდენი | კს-116-118 | ც | 200 |
| | დამიწების კლემა | კს-124 | ც | 200 |
| | ჯვარებზე გადასაკვეთი დეტალები | კს-126 | ც | 30 |
| | საფიქსატორო იზოლატორების შემაერთებელი | კს-128 | ც | 250 |
| | ზედა უღელი | კს-129 | ც | 30 |
| | ქვედა უღელი | კს-130 | ც | 30 |
| | კრონშტეინის დასამაგრებელი უღელი | კს-131 | ც | 30 |
| | ტროსის ჩამოსაკიდი უღელი | კს-132 | ც | 30 |
| | კონსოლის ქუსლის სამაგრი კვანძი | კს-139 | ც | 100 |
